სახელმწიფოს რეაგირება გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე საქართველოში

კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სახელმწიფოს რეაგირება გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე საქართველოში

კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი

თბილისი
2024

კვლევა დაფინანსებულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს მიერ. წარმოდგენილ კვლევაზე პასუხისმგებელია საია და ის არ გამოხატავს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროსა და ამერიკის მთავრობის მოსაზრებებს.

კვლევის ხელმძღვანელი:	თამარ ონიანი
კვლევის ავტორები:	თამაზ კირტავა მარიამ ოქრუაშვილი
ინტერვიუებზე მუშაობდა:	მაკა აბულაძე
კვლევის ავტორების თანაშემწეები:	ნიკა ამირანაშვილი ნინო ყარალაშვილი
რედაქტორი:	ხათუნა ყვირალაშვილი
ტექ. რედაქტორი:	ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2024, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

აბრევიატურები 6
შესავალი 7
მეთოდოლოგია 8
ძირითადი მიგნებები 10
რეკომენდაციები 16

1. კანონმდებლობა გენდერულად მოტივირებული ძალადობის შესახებ 21
1.1. რელევანტური ნორმატიული აქტები 21
1.1.1. კონსტიტუცია 21
1.1.2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები 22
1.2. გენდერულად მოტივირებული ძალადობა კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან ჰარმონიზაციის კონტექსტში 25
1.2.1. საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში 25
1.2.2. დირექტივა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 27
1.2.3. ევროკავშირი-საქართველო - დღის წესრიგი 2021-2027 27
1.3. საქართველოს სხვა ნორმატიული აქტები 28
1.3.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 28
1.3.2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 29
1.3.3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 30
1.3.4. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონი 31
1.3.5. საქართველოს პენიტენციური კოდექსი 31
1.4. საქართველოს კანონქვემდებარე აქტები 32
1.4.1. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ 32
1.4.2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლის (თავშესაფრის) მოწყობისა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების დამტკიცების თაობაზე 33
1.4.3. მთავრობის დადგენილება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ 34
1.5. გენდერულად მოტივირებული ძალადობის ფორმები ქართულ კანონმდებლობაში და მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან 34
1.5.1. ოჯახში ძალადობა 35
1.5.2. ფემიციდი 37
1.5.3. ფიზიკური ძალადობა 38
1.5.4. ფსიქოლოგიური ძალადობა 38
1.5.5. ადევნება 40
1.5.6. სექსუალური ძალადობა 41
1.5.7. ქორწინების იძულება 42
1.5.8. სასქესო ორგანოს დასახიჩრება 44
1.5.9. იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია 45

1.5.10. სექსუალური შევიწროება 48
1.5.11. ეკონომიკური ძალადობა 51
1.5.12. გენდერულად მოტივირებული ძალადობის ციფრული განზომილება 53
1.6. სიძულვილით მოტივირებული ძალადობის წამახალისებელი, დისკრიმინაციული საკანონმდებლო ინიციატივები 56
რეკომენდაციები 61

2. გენდერულად მოტივირებული ძალადობის სტატისტიკა 62
რეკომენდაციები 65

3. პოლიტიკის დოკუმენტები 66
3.1. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა 67
3.2. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022-2030 წლებისთვის) და სამოქმედო გეგმა (2024-2026 წლებისთვის) ... 69
3.3. პოლიტიკის შემუშავების პროცესი ადგილობრივ დონეზე 73
რეკომენდაციები 75

4. გენდერულად მოტივირებული ძალადობის პრევენცია 76
4.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება 76
4.1.1. სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის სივრცის შევიწროება 76
4.1.2. გენდერულად მოტივირებული შეურაცხყოფის ნორმალიზება ქალი პოლიტიკოსების მიმართ 79
4.1.3. განათლება 81
4.2. პროფესიონალთა და სახელმწიფოს წარმომადგენელთა კომპეტენციის ამაღლება 82
რეკომენდაციები 86

5. გენდერულად მოტივირებული ძალადობის გამოვლენა და მასზე რეაგირება 88
5.1. ძალადობის გამოვლენა 88
5.2. საგამოძიებო ორგანოების რეაგირება 91
5.2.1. მსხვერპლის დაცვის ღონისძიებების გამოყენება 91
5.2.2. გამოძიება 97
რეკომენდაციები 99

6. საქმის წარმოება სასამართლოში 100
6.1. სპეციალიზებული მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები 100
6.1.1. სპეციალიზებული მოსამართლეები 100
6.1.2. სპეციალიზებული პროკურორები და გამომძიებლები 102
6.2. სასამართლოს სტატისტიკა 104
6.2.1. თბილისის საქალაქო სასამართლო 104
6.2.2. ქუთაისის საქალაქო სასამართლო 105
6.2.3. ბათუმის საქალაქო სასამართლო 105
6.2.4. გორის რაიონული სასამართლო 105
6.2.5. ზუგდიდის რაიონული სასამართლო 105
6.2.6. რუსთავის საქალაქო სასამართლო 105
6.2.7. თელავის რაიონული სასამართლო 107

რეკომენდაციები 108
7. სასჯელის აღსრულება და დამნაშავის ქცევის კორექცია 109
რეკომენდაციები 110

8. მსხვერპლის მიერ კომპენსაციის მიღება 111
8.1. ზიანის ანაზღაურების მიღება მოძალადის მხრიდან 111
8.2. კომპენსაციის მიღება სახელმწიფოს მხრიდან 111
რეკომენდაციები 116

9. მსხვერპლის მხარდაჭერა 117
9.1. ცხელი ხაზი 117
9.2. თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები 118
9.3. ფსიქოსოციალური მხარდაჭერა 125
9.4. გაუპატიურების მსხვერპლთა მხარდაჭერა 126
9.5. ბავშვი მსხვერპლების მხარდაჭერა 126
9.6. მსხვერპლის მხარდაჭერა სამართალწარმოების პროცესში 126
9.6.1. იურიდიული დახმარების სამსახური 126
9.6.2. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობა პროცესში 127
რეკომენდაციები 129

10. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები 130
10.1. ECtHR-ის გადაწყვეტილებები საქართველოს წინააღმდეგ 130
10.1.1. „თხელიძის საქმეების“ ჯგუფი 130
10.1.2. „იდენტობა და სხვების“ ჯგუფი 132
10.2. გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ 133
რეკომენდაციები 136

11. გენდერულად მოტივირებული ძალადობის გაშუქება 137
11.1. საგამოძიებო ორგანოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სტანდარტები გენდერულად მოტივირებული ძალადობის შემთხვევებზე 137
11.2. საგამოძიებო ორგანოების მხრიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკა გენდერულად მოტივირებული ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით 138
11.3. გენდერულად მოტივირებული ძალადობის მედიაში გაშუქების სტანდარტები 138
11.4. გენდერულად მოტივირებული ძალადობის მედიაში გაშუქების პრაქტიკა 140
რეკომენდაციები 141

აბრევიატურები

ასკ	საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
BPfA	პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა
CCJJE	ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო
CEDAW	ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია
CEDAW კომიტეტი	ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
ECtHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
GREVIO	ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი
ICCPR	სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი
სსსკ	საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
სზაკ	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
ქარტია	საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია
შსს	შინაგან საქმეთა სამინისტრო

შესავალი

გენდერულად მოტივირებული ძალადობა გულისხმობს ძალადობას, რომელიც მიმართულია ადამიანის წინააღმდეგ მისი გენდერის გამო ან ძალადობას, რომელიც რომელიმე გენდერის მქონე ადამიანზე არაპროპორციულად ახდენს გავლენას.[1]

ტერმინი „გენდერულად მოტივირებული ძალადობა“ მხოლოდ ქალებს და გოგონებს არ მიემართება,[2] თუმცა ისინი უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან, ვიდრე მამაკაცები.[3] ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინები „გენდერული ძალადობა” და „ქალთა მიმართ ძალადობა“ სინონიმები არ არის, ზოგიერთ საერთაშორისო კონვენციაშიც კი ისინი ურთიერთშენაცვლებით გამოიყენება.[4] გაეროს კომიტეტი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გენდერულ ძალადობას განმარტავს, როგორც დისკრიმინაციის ფორმას, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს ქალების შესაძლებლობას, მამაკაცებთან თანასწორობის საფუძველზე ისარგებლონ უფლებებითა და თავისუფლებებით.[5]

გენდერული ძალადობის, როგორც მთელ მსოფლიოში გავრცელებული ძალადობის ფენომენის აღმოფხვრა გაცხადებული პრიორიტეტია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არაერთი სახელმწიფოსთვის.[6] გენდერულად მოტივირებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოს კონტექსტშიც.

წარმოდგენილ კვლევაში განხილულია გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე რეაგირების სისტემა საქართველოში და დაბრკოლებები, რომლებსაც ასეთი ძალადობის მსხვერპლნი აწყდებიან. ნაშრომის მიზანია, გენდერულად მოტივირებული ძალადობის პრევენციის, მასზე რეაგირების, სამართალწარმოების, დამნაშავის დასჯისა და მსხვერპლის მხარდაჭერის კუთხით არსებული გამოწვევების გამოვლენა, შესაბამისი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი.

---

[1] European Commission, What is gender-based violence?, <https://commission.europa.eu/strategy-and-policy/policies/justice-and-fundamental-rights/gender-equality/gender-based-violence/what-gender-based-violence_en> [05.06.2024].

[2] Ristik, J., Protection from gender-based violence before the European Court of Human Rights. Journal of Liberty and International Affairs, 2020, 74.

[3] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, პრეამბულა.

[4] Ristik, J., Protection from gender-based violence before the European Court of Human Rights. Journal of Liberty and International Affairs, 2020, 83.

[5] Report of United Nations Committee on the Elimination of All Forms of Discrimination against Women Session 11, 1993, 1.

[6] Klugman, J., Gender based violence and the law, Jeni Klugman, 2017, 1.

მეთოდოლოგია

კვლევაში შეფასებულია საქართველოს კანონმდებლობაში გენდერულად მოტივირებული ძალადობის ფორმების ასახვა, რეაგირების მექანიზმები და მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. ასევე, განხილულია ამ მექანიზმების პრაქტიკაში რეალიზებასთან დაკავშირებული გამოწვევები. კვლევის მიზანია, კომპლექსურად შეაფასოს გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე სახელმწიფოს რეაგირების მთლიანი ჯაჭვი და გამოკვეთოს მისი პრევენციის, მსხვერპლის დაცვის, გამოძიების, სამართალწარმოების, დამნაშავის დასჯის, სასჯელის აღსრულების და მსხვერპლის მხარდაჭერის კუთხით არსებული ძირითადი გამოწვევები.

დოკუმენტის მომზადების საწყის ეტაპზე შეიქმნა მეთოდოლოგია და კითხვარი, რომელიც დაეყრდნო ევროსტატისა და გაეროს მეთოდოლოგიურ მითითებებს, ქართული კონტექსტის გათვალისწინებით.[7] კითხვარში ასევე გამოყენებულია ვაშინგტონის ექსპერტთა ჯგუფის მოკლე კითხვარის შეკითხვები შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ.[8] კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ საკონსულტაციო შეხვედრაზე ინფორმაცია მიეწოდათ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

ამ კითხვარის საფუძველზე გამოიკითხა 66 პირი, ასევე, ინტერვიუ ჩატარდა გენდერულად მოტივირებული ძალადობის გამოცდილების მქონე 20 ადამიანთან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამოკითხვების მიზანი იყო კვლევის მომზადების პროცესში გენდერულად მოტივირებული ძალადობისა და სერვისების შესახებ საზოგადოების ცნობიერებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება და არა - განზოგადებადი სტატისტიკური მონაცემების წარმოება.

კვლევის ჯგუფმა საჯარო უწყებებიდან გამოითხოვა რელევანტური საჯარო ინფორმაცია, რომელიც ფარავდა 2019 წლიდან 2024 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდს. ამ მიზნით, 19 სახელმწიფო უწყებაში/ინსტიტუტში გაიგზავნა 39 წერილი. მათ შორის, გენდერულად მოტივირებულ ძალადობასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებების გამოთხოვნის მიზნით, განცხადებები გაიგზავნა თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში, ასევე, თელავის, ზუგდიდისა და გორის რაიონულ სასამართლოებში. უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული პასუხები ზოგჯერ სრულად არ პასუხობდა დასმულ შეკითხვას, ზოგ შემთხვევაში კი, უწყებისგან პასუხი საერთოდ არ მიგვიღია. განსაკუთრებული გამოწვევა იყო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიღება: არცერთ მათგანს ისინი არ მოუწოდებია, რასაც მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავებისთვის საჭირო რესურსის არარსებობით ასაბუთებდნენ. ამიტომ, ამ ნაწილში კვლევა დაეყრდნო საიას მიერ წარმოებულ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს და საიას 2024 წლის სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის ანგარიშს.

კვლევის მომზადების პროცესში ინტერვიუ ჩატარდა ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკთან და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან. კვლევის მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებდა ფოკუს-ჯგუფების შეხვედრებს პოლიციის თანამშრომლებისა და გამომძიებლების მონაწილეობით. თუმცა, ამ საკითხზე თანამშრომლობის, კვლევის მეთოდოლოგიის გაცნობისა და ფოკუს-ჯ-

[7] Eurostat, Methodological manual for the EU survey on gender-based violence against women and other forms of inter-personal violence (EU-GBV), 2021, <https://ec.europa.eu/eurostat/documents/3859598/13484289/KS-GQ-21-009-EN-N.pdf/1478786c-5fb3-fe31-d759-7bbe0e9066ad?t=1633004533458> [04.06.2024]; UN Women, UNFPA, UNICEF, *GBV service assessment methodology, A guide on how to assess the essential services for women and girls who gave experienced gender-based violence*, 2022, <https://asiapacific.unwomen.org/sites/default/files/2022-03/bd-Guide-on%20How-to-Assess-Essential-Services-for-GBV-survivors-s.pdf>; [04.06.2024], Guidelines for Producing Statistics on Violence against Women— Statistical Surveys, 2014, <https://unstats.un.org/unsd/gender/docs/guidelines_statistics_vaw.pdf> [04.06.2024].

[8] The Washington Group Short Set on Functioning (WG-SS), 2022, <https://www.washingtongroup-disability.com/question-sets/wg-short-set-on-functioning-wg-ss/> [04.06.2024].

გუფების ორგანიზების ინიციატივაზე[9] პასუხი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან არ მიგვიღია, შესაბამისად, მათი ჩატარება ვერ მოხერხდა.

კვლევის მიზნებისთვის გაანალიზდა საქართველოს ნორმატიული აქტებიდან, მათ შორის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები გენდერულად მოტივირებულ ძალადობასთან დაკავშირებით. აგრეთვე, არსებული ეროვნული კანონმდებლობა შეფასდა საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით. გაანალიზდა საქართველოს სახალხო დამცველის რელევანტური ანგარიშები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ანგარიშები, GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში და რელევანტური ლიტერატურა, როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, მომზადდა ანგარიში და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

[9] 2024 წლის 25 აპრილს მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, მათ შორის, საიამ გაავრცელეს ერთიანი განცხადება, რომლის მიხედვითაც, ისინი აჩერებდნენ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ჩაგდებამდე. ამ კვლევაზე მუშაობა დაიწყო ამ კანონის ინიციირებამდე და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროშიც ფოკუს-ჯგუფებთან დაკავშირებული თანამშრომლობის ინიციატივის შეტყობინებები მანამდე, 2024 წლის თებერვალსა და მარტში გაიგზავნა.

ძირითადი მიგნებები

<u>თავი 1. კანონმდებლობა გენდერულად მოტივირებული ძალადობის შესახებ</u>

გენდერულად მოტივირებული ძალადობის ფორმები კანონმდებლობაში

1. დადებითად უნდა შეფასდეს, რომ ოჯახში ძალადობის მიზნებისთვის, ოჯახის წევრის განმარტება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში პირთა ფართო წრეს ითვალისწინებს, თუმცა, **სტამბოლის კონვენციის სტანდარტის საწინააღმდეგოდ,** ის არ მოიცავს პარტნიორებს, რომლებიც არ არიან/არ ყოფილან დაქორწინებულნი და ერთად არ ცხოვრობენ/არ უცხოვრიათ.

2. სისხლის სამართლის კოდექსის 151[1]-ე მუხლი, რომლითაც კრიმინალიზებულია ადევნება, **არ შეესაბამება სტამბოლის კონვენციის სტანდარტს,** რადგან ითვალისწინებს მსხვერპლის მიერ ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლისა ან ამის რეალური საჭიროების არსებობის მოთხოვნას, რაც ზედმეტად ავიწროებს ადევნების მნიშვნელობას. ასევე, ამ მუხლის მიხედვით, მოძალადის ქცევა უნდა იწვევდეს „ფსიქიკურ ტანჯვას“, რაც უფრო მაღალ ზღვარს აწესებს ქცევის ადევნებად კვალიფიკაციისთვის, ვიდრე სტამბოლის კონვენცია.

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გაუპატიურების განმარტება **შეუსაბამოა სტამბოლის კონვენციის სტანდარტთან,** რადგან ის, თანხმობის არარსებობის ნაცვლად, ეფუძნება ძალადობის კომპონენტს.

4. სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე და 139-ე მუხლებიდან ორივე ახდენს ქმედების კრიმინალიზებას, რომელიც, შინაარსობრივად, გაუპატიურებაა. ეს მუხლები ერთმანეთისგან განსხვავდება მოძალადის მიერ მსხვერპლის ნების დასათრგუნად გამოყენებული საშუალებებით და სანქციის ოდენობით. ასეთი სამართლებრივი მოწესრიგება **შეუსაბამოა სტამბოლის კონვენციასთან** და განამტკიცებს სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც, ქმედება „რეალურ“ გაუპატიურებად რომ იყოს მიჩნეული, აუცილებელია, მას წინ ფიზიკური ძალადობა უძღოდეს.

5. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ახდენს უკანონო აბორტის კრიმინალიზებას (მუხლი 133), **სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს ექსპლიციტურ ნორმას ან მითითებას იძულებითი აბორტის შესახებ.**

6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებული **დანაშაული „ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა“ გამოუყენებელია პრაქტიკაში**. ამ დანაშაულის დამთავრებულად ცნობისთვის შედეგად უნდა დადგეს ადამიანის უფლების არსებითი ხელყოფა, რაც ართულებს „ადამიანთა თანასწორუფლებიანობის” გამიჯვნას სხვა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისგან.

7. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ძალადობის კრიმინალიზების საერთაშორისო ვალდებულება არ არსებობს, ეს ხშირად განიხილება, როგორც ეკონომიკურ ძალადობასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალება. დადებითად უნდა შეფასდეს, რომ ეკონომიკური ძალადობა, როგორც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფორმა, აღიარებულია „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით. თუმცა, **ეკონომიკური ძალადობა, როგორც ცალკე აღებული დანაშაული ან სამართალდარღვევა, გათვალისწინებული არ არის არც სისხლის სამართლის და არც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ის ასევე არ მოიაზრება საქართველოს სისხლის**

სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის (ოჯახში ძალადობა) შემადგენლობაში.

8. **სექსუალური შევიწროების განმარტება საქართველოს შრომის კოდექსში უფრო ვიწროა, ვიდრე დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ კანონსა ან სტამბოლის კონვენციაში.** საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით, ქმედების სექსუალურ შევიწროებად კვალიფიკაციისთვის, საჭიროა, ის ქმნიდეს დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს და საკმარისი არ არის მხოლოდ ასეთი გარემოს შექმნის მიზნის არსებობა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა

9. დადებითად უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც, **დაზარალებულს უფლება მიეცა, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში გაასაჩივროს ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება** სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტის შესახებ, თუ ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობა ან მე-11^1 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაული.

კანონქვემდებარე აქტები

10. **სოციალური რეაბილიტაციის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზნების ცვლილება ბუნდოვანია**. ამ პროგრამის ერთ-ერთი მიზანია „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, იურიდიული და მოვლის მომსახურების მიწოდება“. 2023 წლის პროგრამა ითვალისწინებდა მსხვერპლის/დაზარალებულის სამედიცინო დახმარების ხელშეწყობას, ხოლო ამჟამინდელი რედაქციის მიზნებში ის აღარ არის მითითებული. მეტიც, იგი ჩანაცვლებულია „მოვლის მომსახურების მიწოდებით“.

11. სოციალური რეაბილიტაციის 2024 წლის **სახელმწიფო პროგრამაში ცალკე არ არის გამოყოფილი, რა რაოდენობის თანხაა გათვალისწინებული ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა თავშესაფრით უზრუნველყოფისთვის**.

12. სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის ბიუჯეტის გაზრდის მიუხედავად, **უცვლელია თავშესაფრის მომსახურებით ერთდროულად მოსარგებლე პირთა რაოდენობა, რაც შეიძლება მიუთითებდეს თანხების არარაციონალურ გამოყენებაზე.**

კანონპროექტები „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“

13. **„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის პროექტი, „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მასთან დაკავშირებული ცვლილებების პაკეტი არის დისკრიმინაციული და ადამიანის უფლებების დაცვასთან შეუსაბამო.** სახელმწიფოს წარმომადგენლები მსგავსი ინიციატივებით, ასევე, სიძულვილის ენის გამოყენებით, გენდერისა და სექსუალური ორიენტაციის შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელებით აქტიურად ახალისებენ ჰომოფობიას, ბიფობიასა და ტრანსფობიას. **ეს კი, თავის მხრივ, ახალისებს ძალადობას, მათ შორის, გენდერული მოტივით.**

თავი 2. გენდერულად მოტივირებული ძალადობის სტატისტიკა

14. დადებითად უნდა შეფასდეს ყოველწლიური ერთიანი ანგარიშის გამოქვეყნება დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის შესახებ. თუმცა, ეს **სტატისტიკა არ შეიცავს ანალიტიკურ ნაწილს**. მონაცემთა ცალკეული ასპექტების დროში ცვალებადობას, ტენდენციებსა და გამოწვევებს საქართველოს პროკურატურა აანალიზებს და აქვეყნებს. თუმცა, საჭიროა, სტატისტიკის გაერთიანებულ ანგარიშს ერთოდეს ანალიტიკური ნაწილი, რომელიც მონაცემების კონტექსტუალიზაციას უზრუნველყოფს.

თავი 3. პოლიტიკის დოკუმენტები

15. პოლიტიკის დოკუმენტებით გათვალისწინებული ინდიკატორების ნაწილი არის ზედმეტად ზოგადი და არაგაზომვადი, შედეგად, **ვერ აკმაყოფილებს SMART ინდიკატორის სტანდარტს**.

16. 2024 წლის 12 ივნისის მდგომარეობით, ადამიანის უფლებათა სამდივნოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული არ არის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში, რაც **მთავრობის 629-ე დადგენილებით განსაზღვრული წესის დარღვევაა.**

17. **საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა (2022-2030 წლებისთვის) და სამოქმედო გეგმის (2024-2026 წლებისთვის)** შემუშავების პროცესი 2022-2023 წლებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გარეშე წარმართა.

18. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022-2030 წლებისთვის) და სამოქმედო გეგმა (2024-2026 წლებისთვის) **უგულებელყოფს ლგბტქი+ თემის უფლებრივ საკითხებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ თემის წევრები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან გენდერულად მოტივირებული ძალადობის მიმართ**.

თავი 4. გენდერულად მოტივირებული ძალადობის პრევენცია

19. სახელმწიფო, თანამშრომლობის ნაცვლად, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონით და შესაბამისი რიტორიკით, აქტიურად ცდილობს **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სტიგმატიზებას და მათი საარსებო სივრცის შევიწროებას, რაც მიზნად ისახავს არასამთავრობოების, მათ შორის, ქალთა ორგანიზაციების გაქრობას.** ეს იწვევს სტამბოლის კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას.

20. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონი **სერვისებისა და მხარდაჭერის გარეშე დატოვებით ემუქრება, მათ შორის, გენდერულად მოტივირებული ძალადობის მსხვერპლებს**, რომლებიც სამოქალაქო ორგანიზაციების ბენეფიციარები არიან.

21. დეპუტატების მხრიდან მათი კოლეგა **ქალი პოლიტიკოსების გენდერულად მოტივირებული შეურაცხყოფა საქართველოს პარლამენტში დამკვიდრებული პრაქტიკაა**, რაც საზოგადოებაში სექსიზმის ნორმალიზებას ამკვიდრებს.

22. სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალისტების პერიოდულ გადამზადებას გენდერულად მოტივირებული ძალადობის საკითხებზე. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებისა და ადვოკატების შემთხვევაში, **ეს საკითხები ინტეგრირებული არ არის პროფესიის დასაუფლებლად აუცილებელ საგანმანათლებლო/კვალიფიკაციის პროგრამებში**.

<u>თავი 5. გენდერულად მოტივირებული ძალადობის გამოვლენა და მასზე რეაგირება</u>

23. **გამოწვევაა ძალადობაგამოვლილი ადამიანების დაბალი მიმართვიანობა ფორმალური ინსტიტუტებისადმი.** ამის ძირითადი მიზეზებია საზოგადოებაში არსებული სექსისტური დამოკიდებულებები, დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და ფორმალური ინსტიტუციების მიმართ არასათანადო ნდობა.

24. **გამოწვევაა სამედიცინო, საგანმანათლებლო და სამართალდამცავი ინსტიტუტების კოორდინირებული მუშაობა** გენდერულად მოტივირებული ძალადობის გამოვლენის მიზნით.

25. გამოწვევაა **ძალადობის რისკების შეფასება, ასევე, გამოცემულ შემაკავებელ ორდერებთან დაკავშირებული ქმედითი მონიტორინგი** და, მათი დარღვევის შემთხვევაში, გადამარწმუნებელი ეფექტის მქონე, **ადეკვატური სანქციების გამოყენება**.

26. დადებითად უნდა შეფასდეს ბოლო წლებში ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების მაჩვენებლის ზრდა.[10] თუმცა, **შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ მხრივ ძალისხმევა უნდა გააძლიეროს და უზრუნველყოს**, მათ შორის, ელექტრონული ზედამხედველობის შესახებ მსხვერპლისა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ასევე, ინფორმაციის ისე მიწოდება, რომ მსხვერპლს არ გაუჩნდეს უსაფუძვლო შიში ელექტრონული ზედამხედველობის პროცედურებთან, მათ შორის, შესაბამისი მოწყობილობის მოვლასთან დაკავშირებით.

27. დადებითად უნდა შეფასდეს, რომ **სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში გენდერული მოტივის გამოკვეთის კუთხით პროგრესი შეინიშნება**. მიუხედავად ამისა, ზოგ შემთხვევაში ეს საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება.

28. **პრობლემატურია, როდესაც საქალწულე აპკის ექსპერტიზაზე დაყრდნობით დგინდება, მოხდა თუ არა გაუპატიურება**. ამგვარმა პრაქტიკამ, შესაძლოა, დამნაშავის დაუსჯელობა ანდა მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაცია გამოიწვიოს.

29. **კვლავ გამოწვევაა ქალი სამედიცინო ექსპერტების ნაკლებობა**, ხოლო ზოგიერთ რეგიონში - მათი საერთოდ არარსებობა. ამან, შესაძლოა, გამოიწვიოს ძალადობაგამოვლილი ქალის მხრიდან ექსპერტიზაზე უარის თქმა, მისი დროულად ჩატარების შეუძლებლობა ან ქალის არაპირდაპირი იძულება, ექსპერტიზა გაიაროს საპირისპირო სქესის სამედიცინო ექსპერტთან, რაც დისკრიმინაციაა.

[10] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ელექტრონული ზედამხედველობა დაწესდა: 2020 წელს - 6 პირზე; 2021 წელს - 15 პირზე; 2022 წელს - 18 პირზე; 2023 წელს - 104 პირზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 7 მარტის წერილი, MIA 7 24 00707921.

თავი 6. საქმის წარმოება სასამართლოში

სპეციალიზებული მოსამართლეები

30. პირი უფლებამოსილია, ჩააბაროს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან ერთ-ერთი სპეციალიზაციით (სისხლი, ადმინისტრაციული, სამოქალაქო), თუმცა, შესაძლებელია, მას **სხვა დარგში შესთავაზონ მოსამართლედ დანიშვნა და ამან უარყოფითი გავლენა იქონიოს საქმის ეფექტიან განხილვაზე.**

31. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში **მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის ჯგუფებში საკითხები არათემატურადაა გადანაწილებული:** სქესობრივი დანაშაულები და სამოხელეო დანაშაულები თავმოყრილია ერთი სპეციალიზაციის ჯგუფში, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული, ასევე სამოხელეო და ფინანსური დანაშაულები - მეორეში, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის, ოჯახისა და არასრულწლოვანის წინააღმდეგ ჩადენილი, ასევე გარემოს დაცვის დანაშაულები კი - მესამეში. **მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის სიაში გენდერულად მოტივირებული ძალადობის დანაშაულები ცალკე არ არის გამოყოფილი.**

სპეციალიზებული პროკურორები

32. დადებითად უნდა შეფასდეს, რომ, წინა წლებთან შედარებით, **გაიზარდა ბრალდების მხარის მიერ გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივზე მითითება და ბრალდებულისთვის მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნა**.

თავი 7. დამნაშავის ქცევის კორექცია

33. გენდერულად მოტივირებული ძალადობის ჩამდენ პირთა ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პროგრამების დანერგვის კუთხით გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, **კვლავ არ არსებობს სპეციალური პროგრამა სქესობრივი დანაშაულის განმახორციელებელთათვის**.

34. მსჯავრდებულისთვის დამატებითი ვალდებულების, მათ შორის, ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული **სავალდებულო სწავლების კურსის გავლის ვალდებულების დაკისრება სასამართლოს მხოლოდ პირობითი მსჯავრის დროს შეუძლია**.

თავი 8. მსხვერპლის მიერ კომპენსაციის მიღება

35. სახელმწიფოს მიერ გაცემული **კომპენსაციის მაქსიმალურ ოდენობად განისაზღვრება 10 000 (ათი ათასი) ლარი**, რაც, გარკვეულ შემთხვევებში, არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულ კომპენსაციად.

თავი 9. მსხვერპლის მხარდაჭერა

თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი

36. დადებითად უნდა შეფასდეს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ **თავშესაფარში მოთავსებისთვის მსხვერპლის სტატუსის სავალდებულო მოთხოვნის გაუქმება და ბენეფიციარის რეალური საჭიროებების შეფასებაზე აქცენტის გაკეთება.** თუმცა, პრაქტიკაში, ეს საჭიროებები ზოგჯერ ზედ-

მეტად მკაცრი კრიტერიუმებით ფასდება, რაც ამ ცვლილების მიზანს ეწინააღმდეგება.

37. ხშირად, **თავშესაფრის დატოვების შემდეგ ბენეფიციარებს არ გააჩნიათ საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი**.

38. სახელმწიფოსგან **არასაკმარისი დაფინანსების და ადგილების სიმწირის გამო, ვერ ხერხდება თავშესაფრის ყველა მაძიებლის დაბინავება შესაბამის დაწესებულებაში.** ასევე, პრობლემურია უკვე განთავსებული პირებისთვის სხვადასხვა სერვისის გაწევა.

39. **არ არსებობს ცალკე თავშესაფარი კაცებისთვის**.

40. ლგბტქი+ პირები, განსაკუთრებით, ტრანსგენდერი ადამიანები სახელმწიფო თავშესაფარში ძალადობის და დისკრიმინაციის მომეტებული რისკის ქვეშ არიან. **ტრანსგენდერ პირებს სახელმწიფო მათ საჭიროებებზე მორგებული თავშესაფრის სერვისით ვერ უზრუნველყოფს**.

41. საქართველოში **არ არსებობს გაუპატიურების მსხვერპლთათვის ცალკე კრიზისული ცენტრები თუ თავშესაფრები**. ისინი სარგებლობენ სხვა მსხვერპლებისთვის განკუთვნილი თავშესაფრითა და კრიზისული ცენტრით, რაც ნეგატიურადაა შეფასებული. სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლები საჭიროებენ სპეციფიკურ სერვისებს, რაც არ არის გათვალისწინებული საერთო თავშესაფარში.

42. **200,000 სულ მოსახლეზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ერთი კრიზისული ცენტრი.** საქართველოს მოსახლეობა, საქსტატის მიხედვით, შეადგენს 3 694 600 ადამიანს, შესაბამისად, ქვეყანაში მხოლოდ 7 კრიზისული ცენტრის არსებობა ამ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს.

<u>თავი 10. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები</u>

43. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის გადაწყვეტილებების ანალიზი მიუთითებს **სისტემურ პრობლემებზე ოჯახში ძალადობის შემთხვევების პრევენციის, მათზე რეაგირებისა და გამოძიების კუთხით.**

<u>თავი 11. გენდერულად მოტივირებული ძალადობის გაშუქება</u>

44. **მედიაში კვლავ არსებობს გენდერულ სტერეოტიპები**. ზოგ შემთხვევაში, მედიის მხრიდან აქცენტი კეთდება მსხვერპლის ქცევაზე და არა მოძალადის მიერ ჩადენილ ქმედებებზე. ასევე, სიუჟეტები გადმოცემულია არასაკმარისი მგრძნობელობით, რაც ხშირად იწვევს მეორეულ ვიქტიმიზაციას და ძალადობის ტრივიალიზაციას.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

1. მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები შემდეგი საკითხების უზრუნველსაყოფად:

   1.1. GREVIO-ს რეკომენდაციის შესაბამისად, **ოჯახში ძალადობის განმარტება გავრცელდეს იმ პარტნიორებზეც, რომლებიც არ არიან/არ ყოფილან დაქორწინებულნი და არ ცხოვრობენ/არ უცხოვრიათ ერთად**.

   1.2. **სისხლის სამართლის კოდექსის 151[1]-ე მუხლი მოვიდეს შესაბამისობაში სტამბოლის კონვენციასთან.** გაუქმდეს ქმედების ადევნებად კვალიფიკაციისთვის „ფსიქიკური ტანჯვის“ და „ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლისა ან ამის რეალური საჭიროების არსებობის“ მოთხოვნა.

   1.3. **გაუპატიურების საკანონმდებლო განმარტება, სტამბოლის კონვენციის სტანდარტის შესაბამისად, დაეფუძნოს თანხმობის** და არა ძალადობის და ძალადობის მუქარის **კომპონენტს.**

   1.4. **სისხლის სამართლის 137-ე და 139-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები ჩამოყალიბდეს ერთ მუხლში**.

   1.5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს **მუხლი იძულებითი აბორტის შესახებ**.

   1.6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომლის შედეგადაც, **ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის დაკისრება აღარ იქნება დაკავშირებული მხოლოდ პირობით მსჯავრთან** და სასამართლოს შეეძლება, ის ნებისმიერ სასჯელთან მიმართებით გამოიყენოს.

   1.7. საქართველოს შრომის კოდექსში სექსუალური შევიწროების განმარტება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **„პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას <u>ან</u> ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს“.**

   1.8. შემუშავდეს ეკონომიკური ძალადობის, როგორც ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი ფორმისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკანონმდებლო მექანიზმები.

   1.9. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შევიდეს ცვლილებები, რომლითაც აღდგება „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ 2024 წლის 15 მაისის ორგანული კანონის (დოკუმენტის ნომერი 4158-XIVმს-Xმპ) მიღებამდე არსებული **სამართლებრივი რეგულირება გენდერულ კვოტებთან დაკავშირებით.**

   1.10. **განსაზღვროს გონივრული, შემჭიდროებული ვადები კომპენსაციის გაცემის პროცედურისთვის,** რათა მსხვერპლმა დროულად შეძლოს მისი მიღება.

2. **უარი თქვას თანასწორობის წინააღმდეგ მიმართულ, სიძულვილით მოტივირებული ძალადობის წამახალისებელ საკანონმდებლო ინიციატივებზე:** 3 აპრილს ინიციირებულ კონსტიტუციურ კანონპროექტზე „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, ასევე, 4 ივნისს დაანონსებულ კანონპროექტზე „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტზე.

3. **მიიღოს ზომები პარლამენტში ქალი პოლიტიკოსების მიმართ დამამცირებელი ლექსიკისა და გენდერულად მოტივირებული შეურაცხყოფის აღმოსაფხვრელად**, მათ შორის, შესაბამისი დისციპლინური სანქციების შემუშავების და გამოყენების გზით.

პარლამენტის გენდერული მუდმივმოქმედი საბჭოს

4. საბჭოს წევრები დაესწრონ სხდომებს.
5. უზრუნველყოს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ზედამხედველობის მექანიზმების გამოყენება, მათ შორის, რეკომენდაციების გაცემის და მათი შესრულების მონიტორინგის გზით.

საქართველოს მთავრობას:

6. **გააძლიეროს ძალისხმევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე მინისტრთა კომიტეტის მიერ განსაზღვრული ზოგადი და ინდივიდუალური ზომების აღსასრულებლად.**
7. **გაზარდოს თავშესაფართა დაფინანსება** მათი რაოდენობის გასაზრდელად და სხვადასხვა სერვისით ბენეფიციართა უზრუნველსაყოფად. აშენდეს ცალ-ცალკე თავშესაფრები ქალებისა და კაცებისთვის, ასევე, გაუპატიურების მსხვერპლთათვის.
8. **პოლიტიკის დოკუმენტები უნდა დაეფუძნოს სიტუაციის შეფასების დოკუმენტს,** რომელიც საჯაროდ იქნება გამოქვეყნებული, მთავრობის 629-ე დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
9. პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს **გენდერული და სოციალური ინკლუზიის პერსპექტივები.**
10. პოლიტიკის შემუშავების პროცესში **უზრუნველყოფილი იყოს სამოქალაქო საზოგადოების არსებითი ჩართულობა.**
11. სამოქმედო გეგმების აქტივობის შედეგის ინდიკატორები ჩამოყალიბდეს ისე, რომ **აკმაყოფილებდეს მთავრობის 629-ე დადგენილების დანართებით განსაზღვრულ SMART სტანდარტს.**
12. **პოლიტიკის დოკუმენტები უნდა ითვალისწინებდეს ლგბტქი+ პირთა უფლებების დაცვის საკითხებს,** მათ შორის, გენდერულად მოტივირებული ძალადობისგან მათი დაცვის მიზნით.
13. **საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს პოლიტიკის დოკუმენტების მონიტორინგის ანგარიშები,** მთავრობის 629-ე დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტს და საქართველოს მთავრობას:

14. **შეწყვიტოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო სივრცის შევიწროება,** თავი შეიკავოს ამ სექტორის საწინააღმდეგო საკანონმდებლო ინიციატივებისა და რიტორიკისგან. სახელმწიფომ უნდა ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, სტამბოლის კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს:

15. **შეწყვიტონ სიძულვილის რიტორიკის, მათ შორის, ჰომოფობიური, ტრანსფობიური და ბიფობიური ნარატივების გავრცელება.**

განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს:

16. **უზრუნველყოს ზოგად განათლებაში გენდერულად მოტივირებული ძალადობის საკითხების უფრო ეფექტიანი და მრავლისმომცველი ფორმით ინტეგრირება,** მათ შორის, სკოლებში ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების CSE-ს გაძლიერების გზით.

17. **უზრუნველყოს მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობისა და გენდერულად მოტივირებული ძალადობის შესახებ**, მათ შორის, მასწავლებლის განათლებისა და მომზადების პროგრამებში ამ საკითხების ინტეგრირების გზით.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

18. **შემუშავდეს შესაბამისი სპეციალური ოპერაციული პროცედურები (სოპ) საგანმანათლებლო და ჯანდაცვის დაწესებულებების თანამშრომლებისთვის,** გენდერულად მოტივირებული ძალადობის ამოცნობის და მათზე ეფექტიანი, კოორდინირებული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით.

19. **უწყვეტად უზრუნველყოს საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლების ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლება** გენდერულად მოტივირებული ძალადობის ამოცნობის და მასზე რეაგირების საკითხებზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

20. **უზრუნველყოს სქესობრივ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთათვის სპეციალური პროგრამების დანერგვა** დანაშაულის გამეორების პრევენციის მიზნით, სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

21. უზრუნველყოს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ელექტრონული ზედამხედველობის მოწყობილობების დაზღვევის საკითხთან დაკავშირებით, რათა **მოწყობილობის დაზიანების შედეგად წარმოშობილი ფინანსური პასუხისმგებლობის შიშმა არ გამოიწვიოს მსხვერპლის მხრიდან ელექტრონულ ზედამხედველობაზე უარის თქმა.**

საქართველოს პროკურატურას:

22. **უზრუნველყოს მეტი ქალი პროკურორის გადამზადება,** რათა მათ მიიღონ „ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა“ და „შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების“ სპეციალიზაცია.

23. **უზრუნველყოს პროკურორების მუდმივი სწავლება-გადამზადება.**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პროკურატურას:

24. **უზრუნველყონ გამომძიებლებისა და პროკურორების უწყვეტი განათლება** გენდერულად მოტივირებული დანაშაულის გამოძიებისას გენდერის ნიშნის გამოკვეთის თაობაზე.

25. **უარი ითქვან პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც, საქალწულე აპკის ექსპერტიზის შედეგად დგინდება, რეალურად მოხდა თუ არა გაუპატიურება.**

26. **უზრუნველყონ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის აქტიური, ეფექტიანი მუშაობა.**

27. **უზრუნველყონ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩატარება.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

28. **მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციას დაემატოს გენდერულად მოტივირებული ძალადობის სპეციალიზაცია**.

29. **მოხდეს სპეციალიზაციის თემატურად გადანაწილება.** ცალკე სპეციალიზაციად ჩამოყალიბდეს გენდერულად მოტივირებული ძალადობის დანაშაული (ძალადობის ყველა ფორმის გათვალისწინებით) და ოჯახური დანაშაულები.

საერთო სასამართლოებს:

30. **უზრუნველყოს სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან.**

31. გააძლიეროს ძალისხმევა გენდერულად მოტივირებული ძალადობის შესახებ **სტატისტიკის წარმოების მიმართულებით.**

მართლმსაჯულების და საგამოძიებო ორგანოებს:

32. უზრუნველყონ **ინფრასტრუქტურისა და სერვისების მისაწვდომობა შშმ პირებისთვის.**

საქართველოს უზენაეს სასამართლოს, საქართველოს პროკურატურას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს და სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს:

33. **დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის შესახებ ანგარიშს დაერთოს ანალიტიკური ნაწილი,** რომელშიც შეფასდება ძირითადი ტენდენციები, არსებული სტატისტიკის მიზეზები, გამოწვევები და სამომავლო მიზნები. ასეთი ანალიტიკური დოკუმენტის შექმნა და საქსტატისთვის გაზიარება განისაზღვროს, როგორც დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ თანამშრომლობის მემორანდუმის მხარეთა ვალდებულება და არა - უფლებამოსილება.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს:

34. უზრუნველყოს **მეტი ქალი სამედიცინო ექსპერტის დასაქმება და მათი გადანაწილება რეგიონებში**.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას:

35. **უწყვეტად იზრუნოს ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე,** მათ შორის, ადაპტაციის პროგრამის თეორიულ ნაწილში გენდერული თანასწორობის და გენდერულად მოტივირებული ძალადობის საკითხების ინტეგრირების გზით.

მუნიციპალიტეტებს

36. უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დაფუძნება მტკიცებულებებზე, ადგილობრივ დონეზე ჩატარებულ კვლევებზე და წინამორბედი პოლიტიკის დოკუმენტების შედეგების ანალიზზე.

37. უზრუნველყოს მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებაში.

38. უწყვეტად იზრუნოს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების გადამზადებასა და ცნობიერების ამაღლებაზე.

39. უზრუნველყოს, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს სათანადო ზედამხედველობის განსახორციელებლად, ჰქონდეს საკონტროლო მექანიზმები, მათ შორის, თემატური მოკვლევის ჩატარების შესაძლებლობა.

მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებს

40. საბჭოს წევრები დაესწრონ სხდომებს.

41. უზრუნველყოფილი იყოს სხდომის ოქმების საჯაროობა და მისაწვდომობა.

ჟურნალისტებსა და მედიის სხვა წარმომადგენლებს:

42. **გაავრცელონ ზუსტი ინფორმაცია** ქალთა მიმართ და გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებზე.

43. ახალი ამბების გაშუქებისას **გაითვალისწინონ გენდერული ასპექტი.**

44. **უზრუნველყონ ძალადობაგამოვლილი პირების ანონიმურობის დაცვა** (არ გაამჟღავნონ ისეთი ინფორმაცია, რომლითაც შეიძლება მათი იდენტიფიკაცია).

45. **ყურადღება არ გაამახვილონ ქალის გარეგნობასა** ან ჩაცმულობაზე, თუნდაც ნეიტრალურ კონტექსტში.

46. **ფემიციდის შემთხვევების გაშუქებისას არ დაუშვან ასეთი დანაშაულების რაიმე ფორმით გამართლება ან/და დაცვა.**

47. **სიუჟეტში არ უნდა იყოს მითითება, თუ როგორ „გამოიწვია“ კონკრეტულმა ქცევამ ან მოვლენამ ძალადობა.**

48. **უზრუნველყონ ცალკეული შემთხვევების მიღმა უფრო ფართო კონტექსტის განხილვა და გაშუქებისას გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ სტატისტიკის მოყვანა (**სტატისტიკა უნდა იყოს ზუსტი და შინაარსის შესაბამისი, ასევე, აღიარებული უნდა იყოს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ბევრი შემთხვევა პოლიციას არ ეცნობება).

1. კანონმდებლობა გენდერულად მოტივირებული ძალადობის შესახებ

გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ისევე, როგორც ძალადობის პრევენცია და მსხვერპლთა დაცვა, საქართველოს ხელისუფლების მიერ საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულებაა. იმავდროულად, ის შიდა ეროვნული კანონმდებლობითა და სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტით[11] გათვალისწინებული საკითხია.

1.1. რელევანტური ნორმატიული აქტები

ნორმატიული აქტები იყოფა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად. აგრეთვე, ნორმატიული აქტებია საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. ქვემოთ მოცემულია გენდერულად მოტივირებულ ძალადობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა და რელევანტური საერთაშორისო სამართლებრივი წყაროები 2024 წლის მარტის მდგომარეობით.

1.1.1. კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში დაცულია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები. კონსტიტუციის მე-11 მუხლი კი არის **თანასწორობის, როგორც ადამიანის უფლებათა სამართლის სტრუქტურული პრინციპის, განმამტკიცებელი დებულება,** რომლის თანახმად:

> *„აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“.*[12]

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი კი, მისი კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ შეიცავს განაცხადს ე.წ. ***ტრანსფორმაციული თანასწორობის***[13] პოლიტიკის შესახებ.

[11] საჯარო კონსულტაციები და მათი მნიშვნელობა, 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა.

[12] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, პუნქტი 1.

[13] იხ. ონიანი, თ. თანასწორობის უფლების შემოწმების სტანდარტი და გამოწვევები - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართლის სადოქტორო პროგრამა, პირველი სასემინარო ნაშრომი, 2023, 13, ციტ. Dinah Shelton (ed), The Oxford Handbook on International Human Rights Law, (Oxford University Press, 2015), 430. „ ტრანსფორმაციული თანასწორობის პოლიტიკა აღიარებულია ევროკავშირის მიერ, როგორც მექანიზმი, ისწრაფოს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად. განსხვავებით „შედეგების თანასწორობის“ კონცეფციისგან, რომელიც ინდივიდებს სთავაზობს გარკვეულ „პრივილეგიებს,“ ტრანსფორმაციული თანასწორობა მიზნად ისახავს, ზოგადად, მოწყვლადი ჯგუფების პოზიციონირების გაუმჯობესებას არსებული სოციალური სტრუქტურისა და ინსტიტუციების ფუნქციონირების გზების ცვლილებით.“

„სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისთვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“.[14]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, *„ამ მექანიზმით, კონსტიტუცია სცდება ვიწროდ სამართლის წინაშე თანასწორობის იდეას, ცნობს და აღიარებს საზოგადოების წევრების უნარების თანასწორად რეალიზების მიღწევის საჭიროებას და სახელმწიფოსგან მოითხოვს სპეციალური ღონისძიებების გატარებას“.*[15]

1.1.2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები

ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა რეგულირდება სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით.[16] ეს უზრუნველყოფს სახელმწიფოების ეფექტიან თანამშრომლობას ისეთი ეროვნული კანონმდებლობის შემუშავებისა და მიღების პროცესში, რომელიც აღიარებს არა მხოლოდ გენდერის ასპექტებს, არამედ ითვალისწინებს კონკრეტულ ზომებსაც გენდერისა და ძალადობის ურთიერთკავშირისას.[17] საერთაშორისო ხელშეკრულებები განეკუთვნება საერთაშორისო სამართლის წყაროს.[18] შესაბამისად, მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, მიიღონ ზომები ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად. ამ შემთხვევაში, მათ უნდა უზრუნველყონ გენდერულად მოტივირებული ძალადობისგან ადამიანების დასაცავად ეფექტიანი უფლებრივი გარანტიების შექმნა როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკული მექანიზმების საშუალებით**.**

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, გასული საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოს მთავრობამ დაიწყო გენდერული თანასწორობის კუთხით ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან.[19] ხელი მოეწერა საერთაშორისო აქტებს, რომლებიც მიმართულია ქალთა მიმართ სტრუქტურული ძალადობის შეწყვეტისკენ.

---

[14] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, პუნქტი 3.
ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით, საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა დადგენილება, რომელშიც აღინიშნა ქალებთან დაკავშირებით რესურსების ხელმისაწვდომობის უთანასწორობა, სოციალური პოლიტიკის დახვეწის საჭიროება, პროფესიებთან მიმართებით სტერეოტიპული განწყობები, გენდერული სახელფასო სხვაობა, მათ შორის, სტრუქტურული დისკრიმინაციის შედეგად, ამ სხვაობით გამოწვეული ცალკეული ფინანსური უთანასწორობები და სხვა სტრუქტურული ბარიერები (იხ. 2023 წლის 23 მარტის საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ).

[15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება N3/3/1526, საქმეზე ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი», ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[16] Johansson, F., Femicide as a Form of Gender-Based Violence Against Women in International Human Rights Law, Critique of Current Regulation and Suggestions for Future Development, Fanny, 2021, 1.

[17] იქვე, 39.

[18] STATUTE OF THE INTERNATIONAL COURT OF JUSTICE, Article 38.1.

[19] თოდუა ნ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო (მეოთხე გამოცემა), ავტორთა კოლექტივი, 2019, 501.

საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ქრონოლოგია



ქვემოთ განხილულია ზემოაღნიშნული საერთაშორისო აქტები.

1.1.2.1. საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

1994 წელს საქართველო გახდა ***სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის*** ხელშემკვრელი სახელმწიფო (შემდგომში ICCPR). ICCPR კრძალავს სქესის ნიშნით დისკრიმინაციას[20] და ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს:

> *„უზრუნველყონ მამაკაცთა და ქალთა თანასწორი უფლება, ისარგებლონ წინამდებარე პაქტით გათვალისწინებული ყველა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებით“.*[21]

ამ პაქტით დაცულია სიცოცხლის უფლება[22] და აკრძალულია წამება, სასტიკი, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოქცევა თუ სასჯელი.[23] სიცოცხლის დაცვის თაობაზე ჩანაწერი პაქტის წევრ სახელმწიფოს ავალდებულებს, მიიღოს სპეციალური ზომები მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, ოჯახური და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად,[24] ხოლო „არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის“ შესახებ მითითება მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობის აკრძალვას.[25]

---

[20] საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 2, ნაწილი 1, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0> [27.04.2023].
[21] იქვე, მუხლი 3.
[22] იქვე, მუხლი 6, ნაწილი 1.
[23] იქვე, მუხლი 7, ნაწილი 1.
[24] CCPR/C/GC/36,2019, https://www.ohchr.org/en/documents/general-comments-and-recommendations/general-comment-no-36-article-6-right-life [13.05.2023].
[25] Klugman, J., Gender based violence and the law, 2017, 7.

1.1.2.2. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია

1994 წელს საქართველო გახდა გაეროს ***ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის*** *ხელშემკვრელი სახელმწიფო* (შემდგომში CEDAW). გენერალურმა ასამბლეამ CEDAW 1979 წელს მიიღო, თუმცა ძალაში 1981-ში შევიდა. ამ კონვენციის თანახმად, მაღალმა ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, დაიცვან ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციით გათვალისწინებული პრინციპები და, ამ მიზნით, მიიღონ დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და გამოვლინების აღმოსაფხვრელად საჭირო ზომები.[26]

ამ კონვენციის შესრულების მონიტორინგისთვის შექმნილია ***ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი***[27] (შემდგომში CEDAW კომიტეტი). წევრი სახელმწიფოები წარადგენენ ანგარიშებს კონვენციით გათვალისწინებული დებულებების შესრულების შესახებ.[28] CEDAW კომიტეტი კი ამზადებს ანგარიშს, რომელშიც მოცემულია წინადადებები, ზოგადი რეკომენდაციები და შენიშვნები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.[29] **1992 წელს CEDAW კომიტეტმა მე-11 სხდომაზე მიიღო ზოგადი რეკომენდაცია 19, რომელიც გენდერულ ძალადობას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმად განსაზღვრავს.**[30] საგულისხმოა, რომ კომიტეტი გასცემს რეკომენდაციებს საკითხებზე, რომლებზეც წევრმა სახელმწიფოებმა ყურადღება მეტად უნდა გაამახვილონ. 2002 წელს საქართველო გახდა ***ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი***ს ხელშემკვრელი სახელმწიფო. ეს დოკუმენტი, ძირითადად, ეხება CEDAW კომიტეტისთვის ინფორმაციის მიწოდების წესს და ამ უკანასკნელის მიერ მის განხილვას.[31]

1.1.2.3. პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა

1995 წელს ქალთა საკითხებზე გამართულ მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე მიიღეს **პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა** (BPfA). საქართველო იყო ამ კონფერენციაზე დამსწრე ერთ-ერთი სახელმწიფო. პეკინის დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ დებულებებს ასახავს.

> *„ქალების მიმართ ძალადობა“ გენდერული ნიშნით ძალადობის ნებისმიერ აქტია, რომელიც იწვევს ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ შედეგებს, ან შეიძლება გამოიწვიოს ქალებისთვის ზიანის მიყენება ან ტანჯვა, მათ შორის, ასეთი ქმედებების მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა საჯარო თუ პირად ცხოვრებაში.*[32]

1.1.2.4. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

1999 წლის 20 მაისს საქართველომ განახორციელა ***ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიკაცია.***[33] დღევანდელი მდგომარეობით, 46 სახელმწიფოა ევროპის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის წევრი.[34]

---

[26] კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, პრეამბულა, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5691899?publication=0 [27.04.2023].
[27] იქვე, მუხლი 17, ნაწილი 1.
[28] იქვე, მუხლი 18, ნაწილი 1.
[29] იქვე, მუხლი 21, ნაწილი 1.
[30] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია 19, 1992.
[31] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3860268?publication=0 [27.04.2023].
[32] Beijing Declaration and Platform for Action, 1995, para 112.
[33] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მიღების თარიღი: 27.04.1999, ძალაში შევიდა: 20.05.1990).
[34] https://www.coe.int/en/web/portal/46-members-states [27.04.2024].

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და მისი ოქმებით ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, დაარსდა **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო** (შემდგომში ECtHR),[35] რომლის ადგილსამყოფელიც სტრასბურგშია.[36] ECtHR ევროპული საზოგადოებრივი წესრიგის ინსტრუმენტად შეიძლება განვიხილოთ.[37] მისმა იურისპრუდენციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის საერთაშორისო ჩარჩოს ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში.[38] სქესის და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლითა და მე-12 დამატებითი ოქმით. გარდა ამისა, გენდერულად მოტივირებული ძალადობის შემთხვევაში, ევროსასამართლოს პრაქტიკაში გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლებიც.

1.1.2.5. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია

ევროპის საბჭოს კონვენცია ***ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის*** შესახებ ასევე ცნობილია სტამბოლის კონვენციის სახელით. საქართველო სტამბოლის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო გახდა 2017 წელს. ის მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციას, მსხვერპლთა დაცვას და დამნაშავეთა დევნას. ***სტამბოლის კონვენცია წევრ სახელმწიფოებს (მათ შორის, საქართველოს) აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყონ ქალებისა და გოგონების დაცვა ძალადობისგან, დანაშაულის პრევენცია, დროული რეაგირება, დამნაშავეთა დასჯა და მსხვერპლთა კომპენსაცია სტანდარტის დაცვით***.[39]

ამ კონვენციის საფუძველზე შექმნილია ***ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში GREVIO)***, რომელიც მონიტორინგს უწევს სახელმწიფოების მიერ კონვენციის შესრულებას.[40] GREVIO ადგენს კითხვარს, რომლის საფუძველზეც, სახელმწიფოები ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ანგარიშს წარუდგენენ.[41] თავის მხრივ, GREVIO-ც ამზადებს ანგარიშს და დასკვნებს, თუ რა ზომები მიიღო შესაბამისმა მხარემ ამ კონვენციის დებულებების შესასრულებლად.[42] ეს დოკუმენტი შემდგომ ეროვნულ პარლამენტს წარედგინება.[43]

1.2. გენდერულად მოტივირებული ძალადობა კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან ჰარმონიზაციის კონტექსტში

1.2.1. საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში

2022 წლის 3 მარტს საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადი წარადგინა. იმავე წლის 17 ივნისს კი გამოქვეყნდა ევროკომისიის დასკვნა, რომლითაც

[35] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 19 (მიღების თარიღი: 27.04.1999, ძალაში შევიდა: 20.05.1990).
[36] Rules of Court of the European Court of Human Rights, 22.01.2024, Rule 19.
[37] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 23 მარტის განჩინება საქმეზე Loizidou v. Turkey, პარ. 93.
[38] Gasimova K.D., Guideline on Gender-Sensitive Approach for Adjudicating Gender-Based Violence Cases, 1.
[39] JALAGHANIA L., Gender Equality in Georgia: BARRIERS AND RECOMMENDATIONS, 43.
[40] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, 66.1 მუხლი.
[41] იქვე, 68.1 მუხლი.
[42] იქვე, 68.10 მუხლი.
[43] იქვე, 70.2 მუხლი.

კანდიდატის სტატუსის მისაღებად განისაზღვრა სახელმწიფოს მიერ შესასრულებელი 12-პუნქტიანი ამოცანები.[44] აქედან, მე-9 პრიორიტეტი ამგვარად ჩამოყალიბდა:

> ***„გაძლიერდეს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის ზრდისთვის და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის წინააღმდეგ."***

2023 წლის 8 ნოემბრის ანგარიშში **ევროკომისიამ მე-9 პრიორიტეტი შესრულებულად მიიჩნია**, ვინაიდან, მათი გადმოსახედიდან, საქართველოს პარლამენტმა ინკლუზიურ გარემოში მიიღო სტამბოლის კონვენციის შესაბამისი კანონპროექტების პაკეტი, დაამტკიცა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია და პარლამენტში გენდერული კვოტების მოქმედების ვადა 2032 წლის არჩევნებამდე გააგრძელა.[45] თუმცა, ***2024 წლის 4 აპრილს საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებები შეიტანა და გენდერული კვოტები გაუუქმა,[46] რაც მე-9 პრიორიტეტთან მიმართებით უკან გადადგმული ნაბიჯია.***

ასევე, ევროკომისიამ აღნიშნა, რომ ინსტიტუციურ დონეზე კარგად განსაზღვრული და ორგანიზებულია გენდერულ ძალადობაზე რეაგირება, თუმცა გაუმჯობესებას საჭიროებს დამცავი ზომები, დახმარების სერვისები და თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხები.[47]

ამასთანავე, **ევროკომისიამ საქართველოს განუსაზღვრა 9 პრიორიტეტის შესრულება:**

> *„ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება, მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცვის ამბიციური სტრატეგიის მიღებით, ასევე, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფით. მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიების დაწყება და ძალადობის ორგანიზატორების/დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა მოწყვლადი ჯგუფების, მედიაპროფესიონალების, სამოქალაქო აქტივისტების მიმართ მუქარის ფაქტებზე. სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვა, მათი ჩართულობის უზრუნველყოფა კანონშემოქმედებით და პოლიტიკის შემუშავების პროცესში, მათი თავისუფლად მუშაობის უზრუნველყოფა".[48]*

ევროკომისია სახელმწიფოს რეკომენდაციას აძლევს, გააუმჯობესოს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტი. გენდერულად მოტივირებული ძალადობა მნიშვნელოვნად არღვევს ადამიანის უფლებებს და მის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ამ სტანდარტების დახვეწა. აქედან გამომდინარე, ეს რეკომენდაცია ცალსახად ითვალისწინებს გენდერულად მოტივირებული ძალადობის პრევენციას.

---

[44] https://www.consilium.europa.eu/en/policies/enlargement/georgia/ [27.04.2023].
[45] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy, SWD(2023) 697 final, 8.11.2023, 11.
[46] https://parliament.ge/legislation/28439 [27.04.2023].
[47] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy, SWD(2023) 697 final, 8.11.2023, 8.
[48] https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/2023-communication-eu-enlargement-policy-extract-about-georgia_en [27.04.2023].

1.2.2. დირექტივა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

2022 წლის 8 მარტს ევროკომისიამ დააინიციირა დირექტივა ***ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ***. ეს დოკუმენტი იქნება ევროკავშირის პირველი აქტი, რომელიც უშუალოდ მიემართება ამ ტიპის ძალადობას. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის კანონმდებლობაში არსებობს არაერთი აქტი, რომლებიც ეხება გენდერულად მოტივირებულ ძალადობას, თუმცა, კვლევების თანახმად, ყოვლისმომცველი მიდგომა და პრობლემის ყველა კომპონენტის ერთ აქტში თავმოყრა ეფექტიანად შეუწყობს ხელს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრას.[49] 2024 წლის თებერვალში ევროკავშირის ორგანოებმა მიაღწიეს შეთანხმებას გენდერულად მოტივირებული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, განსაკუთრებით, ქალთა დაცვის წესების შესახებ,[50] ხოლო 2024 წლის 14 მაისს ევროპარლამენტმა მიიღო **დირექტივა (EU) 2024/1385**.

ამ დირექტივის თანახმად, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა არღვევს ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორებიცაა: ადამიანის ღირსების, სიცოცხლისა და პიროვნების ერთიანობის უფლება; არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა; პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა; თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება; პერსონალური მონაცემების დაცვა; დისკრიმინაციის დაუშვებლობა, მათ შორის, სქესის ნიშნით.[51]

1.2.3. ევროკავშირი-საქართველო - დღის წესრიგი 2021-2027

2022 წლის 22 აგვისტოს ასოცირების საბჭომ გასცა ***ევროკავშირი-საქართველო - დღის წესრიგი 2021-2027-ის*** იმპლემენტაციის რეკომენდაცია. დოკუმენტი ითვალისწინებს გენდერულად მოტივირებულ ძალადობასთან დაკავშირებულ დებულებებს და სახელმწიფოს მიუთითებს: გააგრძელოს წინსვლა სტამბოლის კონვენციის პრინციპების შესრულებისკენ; გაუმჯობესოს პრევენციული ზომები, გამოძიება და მსხვერპლთა მხარდაჭერა-რეაბილიტაცია; ასევე, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ კანონმდებლობის იმპლემენტაციის გასაძლიერებლად, უზრუნველყოს საზოგადოებისა და კონკრეტული პროფესიული ჯგუფების ცნობიერების ამაღლება; გაზარდოს შესაბამის სერვისებზე მსხვერპლთა ხელმისაწვდომობა.

[49] Proposal for a DIRECTIVE OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL on combating violence against women and domestic violence, COM/2022/105 final.

[50] https://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20240205IPR17412/first-ever-eu-rules-on-combating-violence-against-women-deal-reached [27.04.2023].

[51] DIRECTIVE (EU) 2024/1385 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL on combating violence against women and domestic violence, 14.05.2024. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=OJ:L_202401385&qid=1718280590328#d1e899-1-1 [13.06.2023].

1.3. საქართველოს სხვა ნორმატიული აქტები

1.3.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლი ადგენს **სასჯელის დამამძიმებელ გარემოებებს:**

> *„დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის".*[52]

ამ ნორმაში დისკრიმინაციის შემცველი გარემოებების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, რაც იძლევა მისი ფართოდ გამოყენების საშუალებას.[53] თუმცა, ხაზგასასმელია, რომ მუხლში ნახსენებია სიტყვები „გენდერი" და „გენდერული იდენტობა". შესაბამისად, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა.[54]

ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში, გამოძიება უნდა დაიწყოს იმ გადმოსახედიდან, ხომ არ იყო დანაშაული ჩადენილი გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით. მოტივის დადგენას პრევენციული დატვირთვაც აქვს და, ხშირად, დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის აუცილებელი წინაპირობაა. სსკ-ის 53[1]-ე მუხლი სასამართლოს ავალდებულებს, სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინოს დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი.[55]

53[1]-ე მუხლში სასჯელის დანიშვნის დამამძიმებელი გარემოებების შესახებ გაკეთებული დათქმის გარდა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი დანაშაულის ნორმის ტექსტი ასევე მოიცავს **გენდერის ნიშნით დამამძიმებელ გარემოებებს.** ესენია:

- *განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (109-ე მუხლი);*
- *თვითმკვლელობამდე მიყვანა (115-ე მუხლი);*
- *ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (117-ე მუხლი).*

ამასთანავე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **142-ე მუხლი ითვალისწინებს დანაშაულს - ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა.**

---

[52] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53[1].

[53] თოდუა ნ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო (მეოთხე გამოცემა), ავტორთა კოლექტივი, 2019, 593.

[54] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2021 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი, 2023, 29.

[55] საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებში #12, მონიტორინგის პერიოდი: თებერვალი 2017 - თებერვალი 2018 თბილისი, 2018, 55.

გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში UN Doc. A/HRC/23/49 (14 მაისი, 2013 წელი), §73; ასევე, IACtHR, Case of Gonzalez et al. ("Cotton Field") v. Mexico, 2009 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება, §455; იხ. დეკანოსიძე, თ. ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 18-19. ასევე, იხ. ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, 11.05.2011, სტამბოლი, მუხლი: 3 (ა); იხ. დეკანოსიძე, თ. ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 35.

„ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება“.

ამ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დაცვის გარანტიები ვრცელდება ადამიანის თავისუფლებასა და თანასწორობაზე.[56] დანაშაული შეიძლება ჩადენილ იყოს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. გარდა ამისა, იმისთვის, რომ ის დამთავრებულად ჩაითვალოს, შედეგად უნდა დადგეს ადამიანის უფლების არსებითი ხელყოფა. სუბიექტური თვალსაზრისით, ეს არის განზრახ დანაშაული. მისი ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი[57] და არაპირდაპირი[58] განზრახვით. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში ეს მუხლი არ გამოიყენება, რასაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკაც ადასტურებს. 2023 წელს 142-ე მუხლით დანაშაული რეგისტრირებული არ არის.[59] ის არც შსს-ს 2021 და 2022 წლების სტატისტიკებშია მოცემული.[60]

1.3.2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

გენდერულად მოტივირებულ ძალადობასთან დაკავშირებით, რელევანტურია, განვიხილოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (შემდგომში სსსკ) გათვალისწინებული სპეციალური რეგულირება.

გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრება

სსსკ-ის 106.1 მუხლის მიხედვით, *დაზარალებულს უფლება აქვს, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, როდესაც დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, მათ შორის, მაშინ, თუ[61] ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაული.*[62]

---

[56] თოდუა ნ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, სახელმძღვანელო (მეოთხე გამოცემა), ავტორთა კოლექტივი, 2011, 197.

[57] **პირდაპირი განზრახვა** - პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 9, ნაწილი 2).

[58] **არაპირდაპირი განზრახვა**-ქმედება არაპირდაპირი განზრახვითა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 9, ნაწილი 3).

[59] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა 2023, 2, https://info.police.ge/uploads/65ba233e8609a.pdf [27.04.2023].

[60] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა 2022, 2, https://info.police.ge/uploads/63d90004cd52a.pdf [27.04.2023].

[61] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 106, ნაწილი 1[1].

[62] ამ მუხლის მიზნებისთვის ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის

აღკვეთის ღონისძიების დანიშვნა

ხაზგასასმელია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილი ცალკე გამოყოფს აღკვეთის ღონისძიების დანიშვნის საკითხს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში. ასეთი ცვლილება სსსკ-ში განპირობებული იყო ოჯახში ძალადობისა და ოჯახურ დანაშაულებთან ბრძოლის მეტად დახვეწის აუცილებლობით.[63] ეს ნორმა განსაზღვრავს, რომ სასამართლო, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან ერთად, პრიორიტეტულად განიხილავს ბრალდებულისთვის იარაღის ჩამორთმევის, ასევე გარკვეულ ადგილზე მისი შესვლისა და დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვის საკითხებს.[64] თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია, კოდექსში ხაზი გაესვას, რომ სასამართლომ პრიორიტეტულად უნდა იმსჯელოს ასეთ დანაშაულში ბრალდებული პირისთვის იარაღის ჩამორთმევის თაობაზე.[65]

1.3.3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (შემდგომში ასკ) პირის ადმინისტრაციული დაკავების საფუძვლად განსაზღვრავს მდგომარეობას, როდესაც სახეზეა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და მის აღსაკვეთად ზემოქმედების სხვა ზომები ამოწურულია.[66] ასევე, კოდექსი ადგენს, რომ ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული დაკავების უფლება აქვს შინაგან საქმეთა ორგანოებს.[67]

ამასთანავე, ასკ-ის 166[1]-ე მუხლი ითვალისწინებს სექსუალურ შევიწროებას, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთ-ერთ ფორმას:

> **სექსუალური შევიწროება** – *საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა,*[68] *რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.*[69]

მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133[1]-ე, 133[2]-ე, 137-ე–141-ე, 143-ე, 144-ე–144[3]-ე, 149-ე–151[1]-ე, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე–255[1]-ე, 381[1]-ე და 381[2]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახური დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით.

[63] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 1, https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/177583 [27.04.2023].

[64] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 199, ნაწილი 3.

[65] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 1, https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/177583 [27.04.2023].

[66] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 244, ნაწილი 1.

[67] იქვე.

[68] ***სექსუალური ხასიათის ქცევა*** - *ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიზნებისთვის სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩნევა სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა* (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 161[1]-ე მუხლის შენიშვნა).

[69] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 161[1], ნაწილი 1.

1.3.4. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონი

2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, რომელიც ფუნდამენტური ნაბიჯია სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ***2017 წელს, საქართველოს მიერ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, კანონის ფარგლები გაფართოვდა და მის დაცულ სფეროდ განისაზღვრა, ზოგადად, ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები. შეიცვალა კანონის სახელიც და ეწოდა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ“ საქართველოს კანონი.***[70]

ზემოხსენებული კანონი განსაზღვრავს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობისთვის დამახასიათებელ ქმედებათა ერთობლიობას, ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე, მსხვერპლთა სოციალური, სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს.[71] მისი მიზანია ოჯახის ყველა წევრის, განსაკუთრებით, ქალების სამართლებრივი თანასწორობისა და დაცვის უზრუნველყოფა ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის მექანიზმების ჩამოყალიბებით. მასში ხაზგასმულია ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობის, მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, რეაბილიტაციის, მხარდაჭერისა და მოძალადის ქცევის ცვლილების მნიშვნელობა.[72]

ამასთანავე, კანონი ადგენს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისთვის სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქოსამართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმების გამოყენების შემთხვევებს, რითაც, ფაქტობრივად, მიუთითებს საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებზე.

- ***სისხლისსამართლებრივი მექანიზმები*** *- გამოიყენება, როდესაც ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.*
- ***სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმები*** *- გამოიყენება ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.*
- ***ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები*** *- გამოიყენება, როდესაც საჭიროა შემაკავებელი/დამცავი ორდერების გამოყენება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალდარღვევის ხასიათი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით.*[73]

1.3.5. საქართველოს პენიტენციური კოდექსი

2023 წლის 15 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი - პენიტენციური კოდექსი. მის მიღებამდე მოქმედი პატიმრობის კოდექსის მსგავსად, ისიც უწესებს გარკვეულ შეზღუდვებს ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და

[70] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO), 2022, 9.
[71] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი.
[72] იქვე, მუხლი 2.
[73] იქვე, მუხლი 9.

ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებს. დაზარალებულის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მათ ეზღუდებათ დაზარალებულთან მიმოწერის,[74] სატელეფონო საუბრის[75] ან/და ამანათის გაგზავნის უფლება.[76]

ამასთანავე, ეს კოდექსი პენიტენციურ დაწესებულებას ავალდებულებს, დაუყოვნებლივ შეატყობინოს საქართველოს შინაგან სამინისტროს ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობისთვის მსჯავრდებული პირის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლება, გაქცევა, ხანმოკლე გასვლა, გათავისუფლებისთვის მომზადება.[77]

ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირის რეაბილიტაციის მიზნით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ორგანიზებით, ტარდება ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსები.[78]

1.4. საქართველოს კანონქვემდებარე აქტები

1.4.1. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 26 აგვისტოს №126 ბრძანება არეგულირებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესს, ელექტრონული საშუალების ტექნიკურ მახასიათებლებსა და მისი ექსპლუატაციის წესს.[79]

ეს აქტი ითვალისწინებს მოძალადისთვის ელექტრონული სამაჯურის დამაგრებას ქვედა კიდურზე (წვივზე), თუმცა, თუკი, ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, ქვედა კიდურზე მისი გაკეთება შეუძლებელია, მაშინ ელექტრონული სამაჯური მაგრდება მოძალადის მაჯაზე.[80]

თავის მხრივ, მსხვერპლსაც აქვს მიმღები აპარატი, რომელიც ითვლის მას და მოძალადეს შორის არსებულ დისტანციას და, მოძალადის მოახლოების შემთხვევაში, მას ამის შესახებ განგაშის სიგნალით ატყობინებს.[81]

---

[74] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 115, ნაწილი 3.
[75] იქვე, მუხლი 116, ნაწილი 11.
[76] იქვე, მუხლი 117, ნაწილი 2.
[77] იქვე, მუხლი 93, ნაწილი 6.
[78] იქვე, მუხლი 137, ნაწილი 9.
აღსანიშნავია, რომ ***სწავლების ეს კურსი*** *შედგება 25 სესიისგან. ბენეფიციარებისთვის მიწოდება ხორციელდება კვირაში ერთხელ და კურსის ხანგრძლივობა შეადგენს, საშუალოდ, 6 თვეს (*საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის 25 მარტის წერილი №3526).
[79] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 26 აგვისტოს ბრძანება ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 1.
[80] იქვე, მუხლი 6.1. ***ნიშანდობლივია, რომ 2024 წლის მდგომარეობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე ირიცხება 350 ელექტრონული საშუალება.*** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 7 მარტის წერილი, MIA 7 24 00707921.
[81] იქვე, მუხლი 8, ნაწილი 1.

1.4.2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლის (თავშესაფრის) მოწყობისა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 11 ივლისის ბრძანება №50/ნ არეგულირებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლის (თავშესაფრის) მოწყობისა და ფუნქციონირების (მომსახურების) მინიმალურ სტანდარტებს. ბრძანებაში თავშესაფარი განმარტებულია შემდეგნაირად:

„მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბაზაზე არსებული მსხვერპლთა დროებითი (სადღეღამისო) განთავსების ადგილი, რომელიც უზრუნველყოფს მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ დახმარებას/რეაბილიტაციას, იურიდიულ დახმარებას, სამედიცინო დახმარებასა და დაცვას“.[82]

ამგვარად, თავშესაფრის მიზანია პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ხელახალი[83] და მეორეული ვიქტიმიზაციის[84] თავიდან აცილება და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა.[85] თავშესაფარში უზრუნველყოფილია 24-საათიანი მომსახურება.[86] პირის მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, მისი საჭიროებების გათვალისწინებით და მონაწილეობით/ჩართულობით, თავშესაფარი ადგენს მომსახურების ინდივიდუალურ გეგმას/შემთხვევის მართვის გეგმას,[87] რომელსაც, არანაკლებ 6 თვეში ერთხელ ან გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად, თავიდან გადახედავს.[88]

ამასთანავე, მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება თავშესაფრით მოსარგებლე პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა,[89] ასევე, ძალადობისა და დისკრიმინაციისგან მათი დაცვის უზრუნველყოფის დებულებები.[90]

---

[82] საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის 2023 წლის 11 ივლისის ბრძანება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლის (თავშესაფრის) მოწყობისა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 2, ნაწილი 1.

[83] ***ხელახალი ვიქტიმიზაცია*** *- სიტუაცია, როდესაც ერთი და იგივე პირი განიცდის ერთზე მეტ დანაშაულებრივ შემთხვევას გარკვეული დროის განმავლობაში* (იხ. https://www.veritaszim.net/sites/veritas_d/files/UNODC%20Model%20Law%20on%20Trafficking%20in%20Persons.pdf).

[84] ***მეორეული ვიქტიმიზაცია*** *- დაზარალებულისთვის განმეორებით შესაძლო ზიანის მიყენება მართლმსაჯულების პროცესში მისი მონაწილეობის შედეგად* (იხ. https://eige.europa.eu/publications-resources/thesaurus/terms/1248?language_content_entity=en#:~:text=Secondary%20victimisation%20occurs%20when%20the,individuals%20deal%20with%20the%20victim).

[85] საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის 2023 წლის 11 ივლისის ბრძანება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლის (თავშესაფრის) მოწყობისა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების დამტკიცების თაობაზე, 1.4. ა, დ.

[86] იქვე, მუხლი 1, ნაწილი 2.

[87] იქვე, მუხლი 8, ნაწილი 2.ა.

[88] იქვე, მუხლი 8, ნაწილი2.ე.

[89] იქვე, მუხლი 3, ნაწილი 2.გ.

[90] იქვე, მუხლი 5, ნაწილი 5.ი.

1.4.3. მთავრობის დადგენილება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №558 დადგენილებით დამტკიცდა ***სოციალური რეაბილიტაციის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამა***, რომლის ერთ-ერთი მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის, იურიდიული და მოვლის მომსახურების მიწოდება.[91] აღსანიშნავია, რომ 2023 წლის პროგრამის მიზნები განსხვავებული იყო. ის ითვალისწინებდა მსხვერპლის/დაზარალებულის სამედიცინო დახმარების ხელშეწყობას, ამჟამინდელი რედაქციის მიზნებში კი ის აღარ არის მითითებული. მეტიც, იგი ჩანაცვლებულია „მოვლის მომსახურების მიწოდებით“.

სოციალური რეაბილიტაციის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი 22 800 ლარია, შარშან კი ის 17 100.6 ლარს შეადგენდა,[92] შესაბამისად, ბიუჯეტი გაზრდილია. პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტია ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა თავშესაფრით უზრუნველყოფა, თუმცა ზუსტად გაწერილი არ არის, რა რაოდენობის თანხაა ამისთვის გამოყოფილი. ამასთანავე, **მიუხედვად იმისა, რომ 2024 წელს პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა, თავშესაფრის მომსახურებით ერთდროულად მოსარგებლე პირთა რაოდენობა არ შეცვლილა.**

სახელმწიფო პროგრამით სხვადასხვა ქალაქში ერთდროულად თავშესაფრით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგი რაოდენობის პირებს:

ბათუმი – 10, ქუთაისი – 15, გორი – 24, თბილისი –24, სიღნაღი – 15.[93]

1.5. გენდერულად მოტივირებული ძალადობის ფორმები ქართულ კანონმდებლობაში და მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან

გენდერულად მოტივირებული ძალადობის სხვადასხვა ფორმა ყოველთვის არ არის გამიჯნული, რაც ნიშნავს, რომ ისინი, შესაძლოა, ერთდროულად ხორციელდებოდეს, ან ერთმანეთს აძლიერებდეს. ამასთანავე, გენდერულად მოტივირებული ძალადობა შეიძლება ჩაიდინოს სხვადასხვა პირმა, მათ შორის, პარტნიორმა, ოჯახის წევრმა, მსხვერპლის ნდობით აღჭურვილმა პირმა, ძალაუფლების პოზიციაში მყოფმა ან უცხო ადამიანმა.[94]

წინამდებარე თავში განხილულია გენდერულად მოტივირებული ძალადობის ფორმები, მათი ასახვა ქართულ კანონმდებლობაში და შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

---

[91] 2023 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N558 დადგენილება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, მუხლი 1 (დანართი 1 - სოციალური რეაბილიტაციის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამა).

[92] იქვე (დანართი 1 - სოციალური რეაბილიტაციის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამა), მუხლი 2.

[93] იქვე. ასევე იხ. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის N69 დადგენილება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 1-ლი მუხლი (დანართი 1 - სოციალური რეაბილიტაციის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამა).

[94] United States Strategy to Prevent and Respond to Gender-Based Violence Globally, 2022, 8 <https://www.state.gov/wp-content/uploads/2022/12/GBV-Global-Strategy-Report_v6-Accessible-1292022.pdf> [16.04.2024].

1.5.1. ოჯახში ძალადობა

სტამბოლის კონვენციის მიხედვით, **ოჯახში ძალადობა განიმარტება, როგორც *ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტი, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა***.[95] მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, ძალადობის ამ ფორმით, კაცებთან შედარებით, გოგონები და ქალები არაპროპორციულად ზიანდებიან. შესაბამისად, აშკარაა ოჯახში ძალადობის გენდერული განზომილება.[96] ოჯახში ძალადობის გენდერულად მოტივირებულ ბუნებას აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც და მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ოჯახში ძალადობისგან ქალების დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება არღვევდეს სამართლის წინაშე თანასწორობას.[97]

ოჯახში ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან/და ეკონომიკური და, შესაძლებელია, ერთდროულად მოიცავდეს ძალადობის სხვადასხვა ფორმას.[98] ***სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიშის მიხედვით, ოჯახში ძალადობა, ძირითადად, ორი სახისაა:*** *ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა (როდესაც ძალადობა ხორციელდება ამჟამინდელი ან ყოფილი პარტნიორის მიერ)* ***და თაობათაშორისი ძალადობა*** *(მშობლებსა და შვილებს შორის ან სხვადასხვა თაობის წარმომადგენელ ოჯახის წევრებს შორის).[99] თუმცა, ოჯახში ძალადობა შეიძლება განხორციელდეს ოჯახის ნებისმიერი წევრის მხრიდან.*

ოჯახის წევრად შეიძლება მიჩნეული იყოს ისეთი პირიც, რომელთანაც მსხვერპლს ბიოლოგიური ან სამართლებრივი კავშირი არ აქვს.[100] ქმედების ოჯახში ძალადობად კვალიფიკაციისთვის მსხვერპლისა და მოძალადის თანაცხოვრება აუცილებელი კომპონენტი არ არის.[101] ოჯახში ძალადობა შეიძლება მოხდეს (ან გაგრძელდეს) მას შემდეგაც, რაც ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობა დასრულდება (მაგალითად, ყოფილი პარტნიორის ან ყოფილი მეუღლის მხრიდან).[102] გარდა იმ პირებისა, რომლებიც ოჯახში ძალადობის უშუალო ობიექტები არიან, მსხვერპლი შეიძლება იყოს ბავშვიც, რომელიც შეესწრო ძალადობის ფაქტს, იმის მიუხედავად, მას უშუალოდ მიემართებოდა თუ არა.[103]

ოჯახში ძალადობის განმარტება მოცემულია „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც, ***ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით***.[104]

---

[95] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 3, პუნქტი „ბ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0 [16.04.2024].

[96] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 1.

[97] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Halime Kılıç v. Türkiye, *63034/11,* პარ. 115, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Opuz v. Turkey, *33401/02*, პარ. 191.

[98] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 42

[99] იქვე, პარ. 42.

[100] იქვე, პარ. 41

[101] იქვე, პარ. 42.

[102] იქვე.

[103] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, პრეამბულა.

[104] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 3.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას ოჯახური დანაშაულისთვის.[105] ეს ნორმა შეიცავს სსკ-ის მუხლების ჩამონათვალს. თუ ამ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებიდან რომელიმე ჩადენილია ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, სახეზეა ოჯახური დანაშაული. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, მე-11[1] მუხლზე მითითებით.[106] ამასთანავე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის მიხედვით, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ დანაშაულის ჩადენა სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა.[107]

სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული მუხლებისთვის ოჯახში ძალადობა ბრალის დამამძიმებელ გარემოებად არის განსაზღვრული (მაგალითად, 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი - განზრახ მკვლელობა ოჯახის წევრის მიმართ). ამასთანავე, 126[1]-ე მუხლით კრიმინალიზებულია ***„ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი“***.[108] 126[1]-ე მუხლის შემადგენლობიდან 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლებით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) გათვალისწინებული შედეგების გამორიცხვა განპირობებულია იმით, რომ კოდექსის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლებში ოჯახის წევრის მიერ ამ დანაშაულების ჩადენა ისედაც გათვალისწინებულია, როგორც დამამძიმებელი გარემოება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ისევე, როგორც „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, განმარტავს, ვინ შეიძლება იყოს მიჩნეული ოჯახის წევრად. ეს განმარტება ოჯახის წევრთა საკმაოდ ფართო წრეს მოიცავს, მათ შორის, ყოფილ მეუღლეს, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირს, ამჟამად ან წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს, ასევე პირებს, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.[109] თუმცა, ეს განმარტება არ მოიცავს პარტნიორებს, რომლებიც არ ყოფილან ქორწინებაში, არ უცხოვრიათ ერთად და არ ეწეოდნენ ერთობლივ საოჯახო მეურნეობას. GREVIO-ს რეკომენდაციის მიხედვით, **ოჯახში ძალადობის განმარტება იმ პარტნიორებზეც უნდა გავრცელდეს, რომლებიც არ არიან ან არ ყოფილან დაქორწინებულნი და არ ცხოვრობენ ან არ უცხოვრიათ ერთად.[110]**

---

[105] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 11[1].

[106] იქვე.

[107] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53[1], ნაწილი 2.

[108] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 126[1].

[109] საქართველოს კანონმდებლობით, ოჯახის წევრი განიმარტება, როგორც *„დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას“,* იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 11[1], ასევე „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4, ქვეპუნქტი „ზ“.

[110] GREVIO, (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, პარ. 11, https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [18.04.2024].

1.5.2. ფემიციდი

ფემიციდი გულისხმობს ქალის გენდერულად მოტივირებულ მკვლელობას. ის ქალთა მიმართ ძალადობის უმძიმესი ფორმაა.[111] არ არსებობს ტერმინ „ფემიციდის" ერთიანი, საყოველთაოდ აღიარებული განმარტება.[112] ფემიციდის შესახებ ვენის დეკლარაციის მიხედვით, ***ფემიციდი არის ქალებისა და გოგონების მკვლელობა მათი გენდერის გამო, რაც, შესაძლოა, სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს, მათ შორის, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შედეგად ქალის მკვლელობა, ქალის წამება და მიზოგინიური მკვლელობა, „ღირსების დაცვის" გამო ქალის ან გოგონას მკვლელობა, ქალების და გოგონების მიზანმიმართული მკვლელობა შეიარაღებული კონფლიქტის დროს* და სხვა.**[113]

ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების შესახებ ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმის მიხედვით, ფემიციდი განიმარტება, როგორც ქალის მკვლელობა, იმის გამო, რომ ქალია.[114] სახელმძღვანელო ოქმის მიხედვით, ფემიციდი შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც კერძო პირის, ისე სახელმწიფოს ან მისი წარმომადგენლების მიერ, აგრეთვე, როგორც ოჯახის წევრის, ისე უცხო პირის მიერ.[115]

ამ სახელმძღვანელო ოქმზე დაყრდნობით და ქართული კონტექსტის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი ფემიციდის მონიტორინგის ანგარიშში იყენებს ფემიციდის შემდეგ განმარტებას: **„გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით ან მის გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით, ასევე, ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით".**[116]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, როდესაც საქმე ეხება ძალადობრივი თავდასხმის გამოძიებას, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა გამოავლინოს შესაძლო დისკრიმინაციული მოტივი.[117] არსებითად განსხვავებული საქმეების მიმართ ერთნაირმა მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა მე-2 მუხლთან (სიცოცხლის უფლება) ერთობლიობაში.[118] როდესაც საქმის გარემოებები

---

[111] OHCHR, Latin American Model Protocol for the investigation of gender-related killings of women (femicide/feminicide), 2015, 3, https://lac.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Americas/Documentos/Publicaciones/LatinAmericanProtocolForInvestigationOfFemicide.pdf [18.04.2024].

[112] იქვე, 13.

[113] Academic Council on United Nations System, Vienna Declaration on Femicide, 2012, E/CN.15/2013/NGO/1, https://www.unodc.org/documents/commissions/CCPCJ/CCPCJ_Sessions/CCPCJ_22/_E-CN15-2013-NGO1/E-CN15-2013-NGO1_E.pdf [19.04.2024].

[114] OHCHR, Latin American Model Protocol for the investigation of gender-related killings of women (femicide/feminicide), 2015, 14, https://lac.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Americas/Documentos/Publicaciones/LatinAmericanProtocolForInvestigationOfFemicide.pdf [18.04.2024].

[115] იქვე.

[116] საქართველოს სახალხო დამცველი, ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2020, 2021, 7, https://ombudsman.ge/res/docs/2022070609293527273.pdf [18.04.2024], ასევე საქართველოს სახალხო დამცველი, 2021 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი, 2023, 6, https://ombudsman.ge/res/docs/2023071314513662215.pdf [02.06.2024].

[117] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Stoyanova v. Bulgaria, *56070/18*, პარ. 64.

[118] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Nachova and Others v. Bulgaria, *43577/98, 43579/98*, პარ. 160.

გენდერულად მოტივირებული ძალადობის არსებობაზე მიუთითებს, სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული ძალისხმევა გამოძიების წარმართვისას.[119]

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სიტყვა „ფემიციდი" ნახსენები არ არის, თუმცა გენდერის ნიშნით განზრახ მკვლელობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „თ" ქვეპუნქტით და მიეკუთვნება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას.[120] ასევე, თვითმკვლელობამდე მიყვანის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი განსაზღვრავს „ქმედების ჩადენას გენდერის ნიშნით".[121] შესაბამისად, ფემიციდის შემთხვევაში, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა იძლევა გენდერული მოტივის გამოკვეთისა და ბრალის ფორმულირების, სასჯელის შეფარდების პროცესში მისი გათვალისწინების შესაძლებლობას.

1.5.3. ფიზიკური ძალადობა

სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიშის მიხედვით, ფიზიკური ძალადობა გულისხმობს სხეულებრივი ზიანის მიყენებას, რაც გამოწვეულია უკანონო და პირდაპირი ძალის გამოყენებით.[122] მათ შორისაა ისეთი ფიზიკური ძალადობა, რომელიც მსხვერპლის გარდაცვალებას იწვევს.[123]

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, ფიზიკური ძალადობა განიმარტება, როგორც **„ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს".**[124]

ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულია გენდერულად მოტივირებული ფიზიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, განზრახ მკვლელობა.[125]

1.5.4. ფსიქოლოგიური ძალადობა

სტამბოლის კონვენციის მიხედვით, **ფსიქოლოგიური ძალადობა არის წინასწარ განზრახული ქმედება, რომელიც ადამიანზე მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს იძულების ან მუქარის გამოყენებით**.[126] კონვენციის ხელშემკვ-

---

[119] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზეËrshana v. Albania, *48756/14*, პარ. 160.

[120] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 109, ქვეპუნქტი „თ".

[121] იქვე, მუხლი 115, ნაწილი 2, ქვეპუნქტი „ა".

[122] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 188.

[123] იქვე.

[124] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", მუხლი 4, ქვეპუნქტი „ა".

[125] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „თ" ქვეპუნქტი (განზრახ მკვლელობა გენდერის ნიშნით); 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „კ" ქვეპუნქტი (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება გენდერის ნიშნით); 118-ე მუხლის მე-2 ნაწილი (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება გენდერის ნიშნით); 120-ე მუხლის მე-2 ნაწილი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება გენდერის ნიშნით); 126[1]-ე მუხლი (ოჯახში ძალადობა).

[126] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 33.

რელმა მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა, რათა ამგვარი ქმედება კრიმინალიზებული იყოს.[127]

კონვენციის განმარტებითი ანგარიშის მიხედვით, ქმედება ფსიქოლოგიურ ძალადობად უნდა იყოს მიჩნეული, როდესაც ის არის განზრახ ჩადენილი და არსებითად აზიანებს ადამიანის ფსიქოლოგიურ მთლიანობას.[128] ფსიქოლოგიური ძალადობა შეიძლება განხორციელდეს იძულების ან/და მუქარის მეშვეობით.[129] ამასთანავე, განმარტებითი ანგარიშის მიხედვით, ფსიქოლოგიურ ძალადობაში სტამბოლის კონვენცია მოიაზრებს გარკვეული დროის განმავლობაში არსებული ქცევის ძალადობრივ პატერნს და არა ერთჯერად ქმედებას. იგი შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც ოჯახში, ასევე სხვა გარემოში.[130] საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, უფრო და უფრო აქტუალური ხდება ციფრულ სფეროში ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობა, რამაც, შესაძლოა, სხვადასხვაგვარი გამოვლინება პოვოს. ასეთია, მაგალითად, ინტიმური ფოტოების გავრცელება, კიბერბულინგი, სუიციდისა ან თვითდაზიანებისკენ წაქეზება.[131]

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ფსიქოლოგიური ძალადობა განმარტებულია, როგორც „შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას“.[132]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კრიმინალიზებულია ფსიქოლოგიური ძალადობის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, **იძულება** (მუხლი 150) და **მუქარა** (მუხლი 151). ასევე, სისხლის სამართლის 144^3-ე მუხლი ითვალისწინებს ***პირის დამცირებასა ან იძულებას, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას, რამაც ფსიქიკური ტკივილი ან მორალური ტანჯვა გამოიწვია.*** სქესის ნიშანი ამ დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა.[133] კოდექსის 126-ე მუხლის 1^2-ლი ნაწილის მიხედვით, **კრიმინალიზებულია სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა,** რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან **ფსიქიკური ტანჯვა** გამოიწვია, მაგრამ არ გამოუწვევია კოდექსის 117-ე-118-ე მუხლებით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება) გათვალისწინებული შედეგები.[134]

სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლი (ოჯახში ძალადობა) ასევე ითვალისწინებს ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმებს.[135] ამ მუხლის მიხედვით, **კრიმინალიზებულია „ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება**, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი“. დადებითად უნდა შეფასდეს, რომ ეს მუხლი ექსპლიციტურად ასახელებს სისტემატურ შეურაცხყოფას, შანტაჟს და დამცირებას, რითაც ხაზს უსვამს ფსიქოლოგიური ძალადობის კომპონენტს. ამასთანავე, პრაქტიკაში „ტანჯვის“ განმარტება მოიცავს მსხვერპლის მიერ განცდილ ფსი-

[127] იქვე.
[128] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 179-180.
[129] იქვე.
[130] იქვე, პარ. 181
[131] GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women adopted on 20 October 2021, 43-48.
[132] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 4, ქვეპუნქტი „ბ“.
[133] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 144^3, ნაწილი 2, ქვეპუნქტი „ვ“.
[134] იქვე, მუხლი 126.
[135] იქვე, მუხლი 126^1.

ქოლოგიურ ტანჯვას.[136] თუმცა, **სასურველია, ნორმის შემადგენლობაში ასევე დაკონკრეტდეს, რომ ამ ქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური შედეგები**.

1.5.5. ადევნება

ადევნება არის განზრახ ჩადენილი, განმეორებადი და დამაშინებელი ქცევა, რომელიც ადამიანში საფრთხის შიშს იწვევს.[137] ასეთი ქცევის ცალკეული ელემენტები, შესაძლოა, იზოლირებულად არ განეკუთვნებოდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, თუმცა, არაერთგზისობის გამო ან სხვა ქმედებებთან ერთობლიობის გათვალისწინებით, ჰქონდეს დამაშინებელი ხასიათი.[138] დამაშინებელი ქცევა შეიძლება გულისხმობდეს როგორც ფიზიკურ სივრცეში პირის თვალთვალს, ფიზიკურ ადევნებას, სამუშაო, გასართობ ან სხვა ადგილებში დახვედრას, ასევე ვირტუალურ სივრცეში ადევნებას, საკომუნიკაციო საშუალებებით აქტიური კონტაქტის ძიებას არასასურველი კომუნიკაციის მიზნით, ქონების მიმართ ვანდალიზმს, პირად ნივთებზე წვდომის მსუბუქი ნიშნების დატოვებას, ცრუ ინფორმაციის გავრცელებას და ა.შ.[139]

ადევნება კრიმინალიზებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151[1]-ე მუხლით.[140] დადებითად უნდა შეფასდეს, რომ მასში ხაზგასმულია ელექტრონული და სხვა საშუალებებით არასასურველი კომუნიკაცია, როგორც ადევნების ფორმა, **თუმცა, ის არ შეესაბამება სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებულ სტანდარტს.** ამ მუხლის მიხედვით, პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ განხორციელებული ქმედება უნდა იწვევდეს *„ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს,* ***რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის“.*** ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლისა ან ამის რეალური საჭიროების არსებობის მოთხოვნა ზედმეტად ავიწროებს ადევნების მნიშვნელობას.[141] ასევე, ასეთმა მოთხოვნამ, შესაძლოა, მსხვერპლს დააკისროს დამატებითი მტკიცების ტვირთი საკუთარი ცხოვრების წესის მნიშვნელოვან ცვლილებასთან დაკავშირებით.[142] პრობლემურია ისიც, რომ ტერმინი „მნიშვნელოვანი შეცვლა“ შეიძლება არაერთგვაროვნად იყოს ინტერპრეტირებული.[143] ამასთანავე, სტამბოლის კონვენციის თანახმად, იმისთვის, რომ ქცევა ადევნებად ჩაითვალოს, ის უნდა იწვევდეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შიშს, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით - „ფსიქიკურ ტანჯვას“. ეს კი უფრო მაღალ ზღვარს აწესებს ქმედების ადევნებად კვალიფიკაციისთვის.[144]

---

[136] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 29 მაისის განაჩენი №733აპ-18, https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/39847/2?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR39g91gk0AH_pdJLR8EqiFvtNqAyJxKisYQX9T2pp71CjLCLVBB9xuKc50_aem_ZmFrZWR1bW15MTZieXRlcw [21.06.2024].

[137] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 34.

[138] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 185.

[139] იქვე, 182-183.

[140] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 151[1].

[141] GREVIO, (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, პარ. 241, https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [18.04.2024].

[142] იქვე.

[143] იქვე.

[144] იქვე.

1.5.6. სექსუალური ძალადობა

სექსუალური ძალადობა ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და დაფარული ფორმაა.[145] სტამბოლის კონვენციის თანახმად, კრიმინალიზებული უნდა იყოს სექსუალური ძალადობა, მათ შორის, გაუპატიურება.[146] კონვენციის 36-ე მუხლის მიხედვით, სექსუალური ძალადობა მოიცავს ყველა სახის სექსუალურ აქტს, რომელიც პირის მიმართ ხორციელდება მისი ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე და ჩადენილია განზრახ.[147] ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა-გ" ქვეპუნქტებში გამოყოფილია სექსუალური ძალადობის შემდეგი ფორმები:

(ა) როდესაც ხდება სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ორალური ან ანალური შეღწევა სხვა ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე. შეღწევა შეიძლება განხორციელდეს როგორც სხეულის ნებისმიერი ნაწილით, ასევე საგნით.

(ბ) თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ყველა სხვა ქმედება, რომელიც არ განეკუთვნება შეღწევას.

(გ) შემთხვევები, როდესაც დამნაშავე თავად არ ახორციელებს სქესობრივ აქტს, მაგრამ მსხვერპლს აიძულებს სქესობრივი კავშირის დამყარებას მესამე პირთან.

სტამბოლის კონვენციის მიხედვით, **თანხმობის არარსებობა არის ის ძირითადი კომპონენტი, რომელსაც სექსუალური ძალადობის განმარტება ეფუძნება. თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით.**[148] სტამბოლის კონვენციის მსგავსად, სექსუალური ძალადობის განმარტების მთავარ კომპონენტად თავისუფლად მიცემული თანხმობის არარსებობას მოიაზრებს გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია No. 35.[149] სექსუალური ძალადობის განმახორციელებელი პირი შეიძლება იყოს როგორც მეუღლე ან პარტნიორი, ასევე სხვა პირი.[150]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლში გაუპატიურება განმარტებულია, როგორც *„პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით"*.[151] **ეს განმარტება, თანხმობის არარსებობის ნაცვლად, ეფუძნება ძალადობის, ძალადობის მუქარის ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენების კომპონენტს, რაც არ შეესაბამება სტამბოლის კონვენციის სტანდარტს**.

ამასთანავე, კოდექსის 139-ე მუხლით კრიმინალიზებულია პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, ჩადენილი ქონებრივი დაზიანების, სახელის გამტეხი ინფორმაციის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქარით, რომე-

---

[145] საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, 2020, 6, https://ombudsman.ge/res/docs/2020121613551185316.pdf [22.04.2024].

[146] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 36.

[147] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 189.

[148] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 36, ნაწილი 2.

[149] Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No. 19, CEDAW/C/GC/35, 2017, 29(e).

[150] იქვე.

[151] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 137.

ლმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს ამ პირის უფლება, ანდა დაზარალებულის უმწეობის ან მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით.[152] **ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგება ორი სხვადასხვა მუხლით ახდენს ქმედების კრიმინალიზებას, რომელიც, შინაარსობრივად, გაუპატიურებაა. მათ დიფერენცირებას საფუძვლად უდევს მოძალადის მიერ მსხვერპლის ნების დასათრგუნად გამოყენებული საშუალებები, რაც განამტკიცებს სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც, იმისთვის, რომ ქმედება „რეალურ" გაუპატიურებად ჩაითვალოს, აუცილებელია, მას წინ უძღოდეს ფიზიკური ძალადობა. ასეთი სამართლებრივი რეგულირება არ შეესაბამება სტამბოლის კონვენციის სტანდარტებს.** GREVIO კრიტიკულად აფასებს ამგვარ სამართლებრივ მოწესრიგებას, რადგან იგი ამყარებს გაუპატიურების მსხვერპლთა იერარქიის ცნებას, რომლის მიხედვითაც, გარკვეული გარემოებები, როგორიცაა ქონების დაზიანების, სახელის გამტეხი ან პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გახმაურების მუქარა ან მოძალადეზე დამოკიდებულების ბოროტად გამოყენება, შესაძლოა, დაექვემდებაროს უფრო მსუბუქ სასჯელს ან, უბრალოდ, ჯარიმას, განსხვავებით სხვა გარემოებებისგან, როგორიცაა, მაგალითად, ფიზიკური ზიანის მიყენების მუქარა.[153]

საჭიროა, გაუპატიურების განმარტება დაეფუძნოს თავისუფლად მიცემული თანხმობის არარსებობას, რაშიც მოიაზრება როგორც ფიზიკური ძალადობა და ძალადობის მუქარა, ასევე, მსხვერპლის ნებაზე ზემოქმედების ან მისი ნების დათრგუნვის/უგულებელყოფის სხვა გზები. როდესაც ქმედების გარემომცველი პირობები არის განსაკუთრებით ძალადობრივი, უაღრესად შეურაცხმყოფელი და ტრავმის გამომწვევი, გამოყენებული უნდა იყოს დამამძიმებელი გარემოებები.[154] ამასთანავე, GREVIO-მ საქართველოს მოუწოდა, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეიტანოს ნორმა, რომელიც მოიცავს ისეთ შემთხვევას, როდესაც მოძალადე თავად არ ამყარებს სქესობრივ აქტს, არამედ მსხვერპლს აიძულებს, ქმედება განახორციელოს მესამე პირთან.[155]

ამ ნორმების სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობის მიზნით, 2023 წელს სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე-139-ე მუხლებში ცვლილებების პროექტი, თუმცა სახელმწიფოს მის დასამტკიცებლად ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს.[156]

1.5.7. ქორწინების იძულება

ბავშვობის ასაკში ქორწინება, ადრეული ქორწინება და იძულებითი ქორწინება საზიანო პრაქტიკაა, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს, უკავშირდება სხვა საზიანო ჩვეულებებსა და უფლებათა დარღვევებს, არაპროპორციულად აზიანებს ქალებსა და გოგონებს.[157]

იძულებითი ქორწინება განიმარტება, როგორც ნებისმიერი ქორწინება, რომელიც ხდება ერთ-ერთი ან ორივე მხარის სრული და თავისუფალი თანხმობის გარეშე, ან/

[152] იქვე, მუხლი 139.
[153] GREVIO, (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, პარ. 257, https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [18.04.2024].
[154] იქვე.
[155] იქვე, 262.
[156] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 199, https://ombudsman.ge/res/docs/2024040116015759558.pdf [12.06.2024].
[157] Resolution adopted by the Human Rights Council on 2 July 2015, 29/8. Strengthening efforts to prevent and eliminate child, early and forced marriage, UN, A/HRC/RES/29/8. https://documents.un.org/doc/undoc/gen/g15/163/06/pdf/g1516306.pdf?token=hkKw86MY479axJhkoR&fe=true [22.04.2024].

და როდესაც ერთ-ერთ ან არცერთ მხარეს არ შეუძლია დატოვოს ქორწინება იძულების ან ინტენსიური საზოგადოებრივი, ოჯახური წნეხის გამო.[158]

ბავშვობის ასაკში ქორწინება განიმარტება, როგორც ქორწინება, რომლის, სულ მცირე, ერთი მხარე 18 წელზე უმცროსი ასაკისაა.[159] ტერმინი **„ადრეული ქორწინება“** ხშირად გამოიყენება როგორც ბავშვობის ასაკში ქორწინების სინონიმი, თუმცა, ასევე, შეიძლება აღნიშნავდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც ორივე მხარე 18 წლის ან უფროსი ასაკისაა, თუმცა, სხვა ფაქტორების გამო, მზად არ არიან ქორწინებაზე თანხმობის გაცემისთვის.[160] ასეთი ფაქტორები შეიძლება იყოს, მაგალითად, მათი ფიზიკური, ემოციური, სქესობრივი ან ფსიქოლოგიური განვითარების დონე ან სხვა ცხოვრებისეული არჩევანის შესახებ ინფორმაციის არქონა.[161] ბავშვობის ასაკში ქორწინება და ადრეული ქორწინება, როგორც წესი, იძულებითი ქორწინების ფორმებად განიხილება, რადგან, ამ შემთხვევაშიც, ერთ-ერთ მხარეს არ აქვს შესაძლებლობა, სრული, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა გასცეს.[162]

CEDAW კონვენციის მე-16 მუხლის მიხედვით, ***სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქალებსა და მამაკაცებს შორის ქორწინების თანაბარი უფლება***, მათ შორის, მეუღლის თავისუფალი არჩევის და, მხოლოდ ნებაყოფლობითი და სრული თანხმობის შემთხვევაში, ქორწინების თანაბარი უფლებები.[163] მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ბავშვის დანიშვნას და ქორწინებას იურიდიული ძალა არ აქვს.[164]

სტამბოლის კონვენციის 37-ე მუხლის მიხედვით, **სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მიიღოს ყველა საკანონმდებლო ან სხვა ზომა ისეთი განზრახ ქცევის კრიმინალიზების მიზნით, რომელიც ზრდასრულ ადამიანებს ან ბავშვებს დაქორწინებას აიძულებს.[165]** ასევე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი განზრახ ქმედების კრიმინალიზება, რომელიც გულისხმობს ზრდასრული ადამიანის ან ბავშვის შეტყუებას იმ მხარის ან სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ის არ ცხოვრობს, ამ ადამიანის დაქორწინების იძულების მიზნით.[166] „იძულებაში“ მოიაზრება ფიზიკური და ფსიქოლოგიური იძულება, ძალდატანების ან ზეწოლის გზით.[167]

ქორწინების იძულება კრიმინალიზებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150^1-ე მუხლით. არასრულწლოვანის მიმართ იგივე ქმედების ჩადენა არის დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება.[168] დადებითად უნდა შეფასდეს, რომ ეს მუხლი „ქორწინებად“ განსაზღვრავს არარეგისტრირებულ ქორწინებასაც.

---

[158] Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, 2 April 2014, A/HRC/26/22, 6, https://documents.un.org/doc/undoc/gen/g14/128/76/pdf/g1412876.pdf?token=XpbGzeZyu4Vi3Kq9nn&fe=true [22.04.2023].

[159] იქვე, 4.

[160] იქვე, 5.

[161] იქვე.

[162] Joint general recommendation No. 31 of the Committee on the Elimination of Discrimination against Women/ general comment No. 18 of the Committee on the Rights of the Child (2019), CEDAW/C/GC/31/Rev.1–CRC/C/GC/18/Rev.1, para. 20, https://documents.un.org/doc/undoc/gen/g19/134/42/pdf/g1913442.pdf?token=SflM3YNIa7sulGHpVv&fe=true [22.04.2024].

[163] კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (მიღების თარიღი: 22.09.1994, ძალაში შევიდა: 25.11.1994), მუხლი 16.

[164] იქვე.

[165] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 37, ნაწილი 1.

[166] იქვე, მუხლი 37, ნაწილი 2.

[167] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 169.

[168] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 150^1.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ქორწინების ასაკად განსაზღვრავს 18 წელს.[169] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე არ არის გამოყოფილი ბავშვობის ასაკში ქორწინება, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლი ახდენს თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში სექსუალური შეღწევის კრიმინალიზებას.[170] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, „ეს მუხლი [სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 150[1] - ქორწინების იძულება] არასრულწლოვანთან მიმართებით იმგვარად უნდა დარეგულირდეს, რომ ბავშვს, განსაკუთრებით 16 წლამდე არასრულწლოვანს, არ შეუძლია თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობა გამოთქვას სრულწლოვანთან ქორწინებაზე".[171] ამ ანგარიშის თანახმად, არასრულწლოვანთან მიმართებით უნდა მოქმედებდეს ისეთივე მიდგომა, როგორიც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევაში, სადაც აქტი და შედეგი ქმნის დანაშაულს. შესაბამისად, ბავშვთან ქორწინება უკვე უნდა მიიჩნეოდეს დანაშაულად, ხოლო იძულების ის ხერხები, რომლებიც სრულწლოვანთან დაკავშირებით მოქმედებს (ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება), ბავშვთან მიმართებით არარელევანტური უნდა იყოს.[172]

მართებული იქნება ამ მსჯელობის გავრცელება 16 წელს მიღწეულ ბავშვებზე. იმ ფაქტმა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით სქესობრივ აქტზე თანხმობის ასაკი 16 წელია, შესაძლოა, 16-17 წლის ბავშვებთან დაკავშირებით კიდევ უფრო გააძლიეროს განცდა, რომ მათ მიმართ გამოყენებული უნდა იყოს იძულების ისეთი მეთოდები, როგორიც ზრდასრულის შემთხვევაში, რათა ქმედება ქორწინების იძულებად ჩაითვალოს.

GREVIO-ს რეკომენდაციის მიხედვით, **საჭიროა, ასევე, სახელმწიფომ მოახდინოს ქორწინების იძულების მიზნით ზრდასრულის ან ბავშვის სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეტყუების კრიმინალიზება, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული არ არის**.[173]

აღსანიშნავია, რომ საქართველოში გამოწვევას წარმოადგენს ადრეულ ასაკში ნიშნობის პრაქტიკა.[174] აღნიშნულ შემთხვევებში, ხშირად, უწყებები ვერ ახერხებენ სავარაუდო ქორწინების იძულების გამოკვეთას.[175] **სასურველია, თუ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის გზით მოხდება არასრულწლოვანის ნიშნობის კრიმინალიზება.**

1.5.8. სასქესო ორგანოს დასახიჩრება

ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრება გულისხმობს გარეგანი მდედრობითი გენიტალიის სრულად ან ნაწილობრივ მოშორებას ან მდედრობითი სასქესო ორგანოს

[169] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1108.

[170] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 140.

[171] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა საქართველოში - არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები, 2022, 15, https://ombudsman.ge/res/docs/2022122716265251568.pdf [22.04.2024].

[172] იქვე.

[173] GREVIO, (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, პარ. 268, https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [18.04.2024].

[174] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, 2023, 205, https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf [12.06.2024]; საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, 2024, 192, https://ombudsman.ge/res/docs/2024040116015759558.pdf [12.06.2024]

[175] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, 2023, 205, https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf [12.06.2024];

სხვაგვარ დაზიანებას არასამედიცინო მიზნებისთვის.[176] სასქესო ორგანოს დასახიჩრებას შეიძლება ჰქონდეს ისეთი მყისიერი და ხანგრძლივი შედეგები, როგორებიცაა ძლიერი ტკივილი, შოკი, ინფექციები, მშობიარობასთან დაკავშირებული გართულებები (როგორც დედის, ისე ახალშობილისთვის), ხანგრძლივი გინეკოლოგიური პრობლემები, ფსიქოლოგიური შედეგები და გარდაცვალებაც კი.[177]

სტამბოლის კონვენციის მიხედვით, სასქესო ორგანოს დასახიჩრება განიმარტება, როგორც „ქალის დიდი სასირცხო ბაგეების, მცირე სასირცხო ბაგეების ან კლიტორის მთლიანი ან ნაწილობრივი ამოკვეთა, ინფიბულაცია ან სხვა ნებისმიერი სახით დასახიჩრება“.[178] კონვენციის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ასეთი ქმედების კრიმინალიზება. ასევე, კონვენციის მიხედვით, დანაშაულად უნდა იყოს მიჩნეული ქალის იძულება ან დაყოლიება იმ მიზნით, რომ ჩაუტარდეს სასქესო ორგანოს დასახიჩრება, ასევე, გოგონას წაქეზება, იძულება ან დაყოლიება იმავე მიზნით.[179] კონვენცია ერთმანეთისგან განასხვავებს ზრდასრულ ქალებთან და არასრულწლოვანებთან (გოგონებთან) მიმართებით განხორციელებულ ქმედებას, რაც გამოიხატება გოგონებთან დაკავშირებით, დამატებით, წაქეზების კრიმინალიზებაში. ეს მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ნებისმიერი პირი, განსაკუთრებით, მშობლები, ბებია, ბაბუა და სხვა ნათესავები იძულებით ითანხმებენ გოგონებს სასქესო ორგანოს დასახიჩრებაზე.[180]

სასქესო ორგანოს დასახიჩრება გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133²-ე მუხლით. ამ მუხლით კრიმინალიზებულია „რელიგიური, რიტუალური, ეთნიკური ან სხვა ტრადიციის გავლენით ან ამგვარი გავლენის გარეშე ქალის სასქესო ორგანოების მთლიანად ან ნაწილობრივ ამოკვეთა, ინფიბულაცია ან სხვაგვარი დასახიჩრება, ან ქალის იძულება ან დაყოლიება, ჩაიტაროს ამგვარი ოპერაცია“. იმავე ქმედების ჩადენა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ დანაშაულის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა.[181]

1.5.9. იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია

იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია ქალის რეპროდუქციული უფლებების, ფიზიკური ხელშეუხებლობის და უსაფრთხოების მძიმე დარღვევაა.[182] სტამბოლის კონვენციის მიხედვით, **იძულებითი აბორტი განიმარტება, როგორც „ქალისთვის აბორტის გაკეთება მისი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე“, ხოლო იძულებითი სტერილიზაცია - როგორც „ისეთი ქირურგიული ოპერაციის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ქალის ბუნებრივი რეპროდუქციის უნარის შეწყვეტას მისი წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის**

---

[176] Joint general recommendation No. 31 of the Committee on the Elimination of Discrimination against Women/ general comment No. 18 of the Committee on the Rights of the Child (2019), CEDAW/C/GC/31/Rev.1–CRC/C/GC/18/Rev.1, para. 19, https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/TreatyBodyExternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2FC%2FGC%2F31%2FCRC%2FC%2FGC%2F18&Lang=en [22.04.2024].

[177] იქვე

[178] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 38, ქვეპუნქტი „ა“.

[179] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 38, ქვეპუნქტები „ბ“, „გ“.

[180] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 201.

[181] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 133².

[182] Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences, Radhika Coomaraswamy, in accordance with Commission on Human Rights resolution 1997/44, E/CN.4/1999/68/Add.4, 21 January 1999, para 45, 51, https://digitallibrary.un.org/record/1487619?v=pdf [22.04.2024].

ან ამ პროცედურის გააზრების გარეშე“.[183] კონვენციის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს ქმედებები სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიცირდეს.[184]

იძულებითი აბორტი და სტერილიზაცია შეიძლება, ასევე, განხილული იყოს, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა. საქმეზე S.F.K. v. Russia, რომელიც შეეხებოდა 20 წლის ქალისთვის, მშობლების მხრიდან იძულების შედეგად, მისი ნების საწინააღმდეგოდ, აბორტის ჩატარებას, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა როგორც მშობლებს, ისე საავადმყოფოს თანამშრომლებს აცნობა, რომ სურდა ორსულობის შენარჩუნება, ECtHR-მა მიიჩნია, რომ ორსულობის იძულებით შეწყვეტამ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს მიაღწია.[185] ECtHR-ის განმარტებით, ეს ქმედება იყო არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის განსაკუთრებით მძიმე ფორმა, რომელმაც გამოიწვია არა მხოლოდ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მყისიერი შედეგები, რაც ნაყოფის დაკარგვაში გამოიხატა, არამედ ხანგრძლივი ფსიქოლოგიური და ფიზიკური შედეგებიც - დაორსულების შეუძლებლობა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა.[186]

საქმეზე - V.C. v. Slovakia - ECtHR-მა განმარტა, რომ სტერილიზაცია არის ადამიანის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სტატუსში მაღალი ხარისხით ჩარევა.[187] მისი იძულება არ შეესაბამება ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემის უფლებებს, რომლებიც კონვენციის ფუნდამენტური პრინციპებია.[188] ეს საქმე შეეხებოდა რომას თემის წევრი ქალისთვის საკეისრო კვეთის დროს სტერილიზაციის პროცედურის ჩატარებას ექიმის მიერ, რომელმაც მიიჩნია, რომ მომდევნო ორსულობა შეიძლებოდა მისთვის საფრთხის შემცველი ყოფილიყო.[189] მიუხედავად იმისა, რომ პაციენტმა ხელი მოაწერა სტერილიზაციაზე თანხმობის დოკუმენტს, იგი ინფორმირებული არ ყოფილა საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის, შემოთავაზებული პროცედურის შინაარსისა და მისი ალტერნატივების შესახებ.[190] ამ საქმეზეც კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დადგინდა.[191]

CEDAW კონვენციის კონტექსტში, იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია განიხილება, როგორც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმები. CEDAW-ს მე-12 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა ჯანდაცვის დარგში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა, მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, უზრუნველყოს ქალისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, მათ შორის, ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით.[192] **CEDAW კომიტეტის No. 24 ზოგადი რეკომენდაციის მიხედვით**, ქალებისთვის მიწოდებული სამედიცინო სერვისები უნდა ეფუძნებოდეს ქალის მიერ გაცემულ სრულად ინფორმირებულ თანხმობას, პატივს სცემდეს მის ღირსებას, უზრუნველყოფდეს კონფიდენციალურობის დაცვას, ამასთანავე, უნდა

---

[183] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 39.
[184] იქვე.
[185] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე S.F.K. v. Russia, *5578/12*, პარ. 79.
[186] იქვე, პარ. 81.
[187] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე V.C. v. Slovakia, *18968/07*, პარ. 106.
[188] იქვე.
[189] იქვე, პარ. 9-20.
[190] იქვე, პარ. 111-112.
[191] იქვე, პარ. 120.
[192] კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (მიღების თარიღი: 22.09.1994, ძალაში შევიდა: 25.11.1994), მუხლი 12, ნაწილი 1.

იყოს მისი საჭიროებების და ხედვების მიმართ მგრძნობიარე. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას იძულების ისეთი ფორმები, როგორებიცაა იძულებითი სტერილიზაცია, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების იძულებითი ტესტირება, იძულებითი ორსულობის ტესტირება.[193]

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ **იძულებითი სტერილიზაციის პრაქტიკა, გენდერის ნიშნით დისკრიმინაციასთან ერთად, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს სხვა ისეთი ნიშნებით დისკრიმინაციასთან, როგორებიცაა, მაგალითად, *ეთნიკური იდენტობა,*[194] *რასა,*[195] *ეკონომიკური მოწყვლადობა,*[196] *აივ-დადებითი სტატუსი,*[197] *შეზღუდული შესაძლებლობა.*[198]** აქედან გამომდინარე, რეპროდუქციული საკითხები გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციითაც. კონვენციის 23-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება, მიიღონ თავისუფალი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება შვილების რაოდენობასა და მათ დაბადებას შორის ინტერვალზე, ასევე, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მათი ასაკისთვის შესაფერის ინფორმაციასა და განათლებაზე რეპროდუქციული საკითხების, ოჯახის დაგეგმვის შესახებ.[199] გარდა ამისა, დაცული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის, ბავშვების მიერ ფერტილურობის შენარჩუნების უფლება, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.[200] კონვენციის 25-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა უზრუნველყოს უფასო ან ხელმისაწვდომი სტანდარტების, ხარისხისა და დონის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებითა და პროგრამებით სხვათა თანაბრად, მათ შორის, **სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროსა** და, ზოგადად, მოსახლეობაზე გათვლილი საზოგადოებრივი პროგრამებით.[201]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133[1]-ე მუხლით კრიმინალიზებულია სტერილიზაცია თანხმობის გარეშე. წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ იმავე ქმედების ჩადენა ამ დანაშაულის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა.[202] კოდექსით ასევე კრიმინალიზებულია „უკანონო აბორტი“.[203] კოდექსის 150-ე მუხლით კრიმინალიზებულია იძულება.[204] **მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს ექსპლიციტურ მითითებას ან ცალკე ნორმას იძულებით აბორტზე, რასაც GREVIO უარყოფითად აფასებს.[205]**

---

[193] CEDAW General Recommendation No. 24: Article 12 of the Convention (Women and Health), 1999, para 22. https://www.refworld.org/legal/general/cedaw/1999/en/11953 [22.04.2024].

[194] Open society foundations, Against Her Will: Forced and Coerced Sterilization of Women Worldwide, 2011, 3, https://www.opensocietyfoundations.org/publications/against-her-will-forced-and-coerced-sterilization-women-worldwide [22.04.2024].

[195] იქვე.

[196] იქვე, 4.

[197] იქვე, 5.

[198] იქვე, 6.

[199] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (მიღების თარიღი: 12.04.2014, ძალაში შევიდა: 12.04.2014), მუხლი 23, ნაწილი 1, ქვეპუნქტი „b“.

[200] იქვე, მუხლი 23, ნაწილი 1, ქვეპუნქტი „c“.

[201] იქვე, მუხლი 25, ნაწილი 1, ქვეპუნქტი „a“.

[202] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 133[1], ნაწილი 2, ქვეპუნქტი „ბ“.

[203] იქვე, მუხლი 133.

[204] “ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ესე იგი მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულება ან რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება”, სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 150.

[205] GREVIO, (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, პარ. 275, https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [18.04.2024].

1.5.10. სექსუალური შევიწროება

სექსუალური შევიწროება გენდერულად მოტივირებული ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც, სტამბოლის კონვენციის მიხედვით, განიმარტება, როგორც *„სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფორმის არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან აგრესიული გარემოს შექმნის გზით“.*[206] კონვენციის თანახმად, ეს ქმედება უნდა ექვემდებარებოდეს სისხლის სამართლის ან სხვა სახის (მაგალითად, ადმინისტრაციულ) სანქციებს.[207] ვერბალურ ქცევაში იგულისხმება, მაგალითად, ხუმრობები, შეკითხვები, ხმების გამოცემა. **ვერბალური ქცევა** შეიძლება გამოხატული იყოს ზეპირად ან წერილობით.[208] **არავერბალური ქცევა** გულისხმობს ნებისმიერ არავერბალურ გამოხატვას, მაგალითად, ჟესტები, ხელის მოძრაობა.[209] ფიზიკურ ქცევაში მოიაზრება დაზარალებულთან ფიზიკური კონტაქტი.[210] ყველა ეს ქცევა უნდა იყოს სექსუალური ხასიათის და მსხვერპლისთვის არასასურველი.[211] ამასთანავე, ეს ქმედებები უნდა ლახავდეს მსხვერპლის ღირსებას, რაც მოიცავს ისეთ ქცევას, რომელიც შემაშინებელი, მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელია.[212] აქვე აღსანიშნავია, რომ სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული ქცევა, ცალკე აღებული, შეიძლება ყოველთვის არ იყოს სამართალდარღვევა.[213] ის უნდა შეფასდეს არსებული კონტექსტის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების მიხედვით.

სექსუალური შევიწროება მხოლოდ დასაქმების ადგილით არ შემოიფარგლება, თუმცა ხშირად ეს ქმედებები დაკავშირებულია სწორედ დამნაშავის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასთან.[214] დასაქმების ადგილზე ქალთა სექსუალურმა შევიწროებამ, შესაძლოა, გამოუსწორებელი გავლენა მოახდინოს მსხვერპლი ქალების ფიზიკურ, მენტალურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, საბოლოოდ კი, ისინი შრომითი ბაზრიდან გარიყოს.[215] CEDAW კონვენციის მე-11 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, მიიღოს ყველა შესაბამის ზომა დასაქმების დარგში ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყოს მამაკაცის და ქალის თანაბარი უფლებები თანასწორობის საფუძველზე.[216] **CEDAW კომიტეტის No. 19 ზოგადი რეკომენდაციის მიხედვით,** კონვენციის მე-11 მუხლის კონტექსტში, დასაქმების ადგილზე თანასწორობა, შესაძლოა, მნიშვნელოვნად დაზიანდეს, როდესაც ქალები ექვემდებარებიან გენდერულად მოტივირებულ ძალადობას, მაგალითად, სექსუალურ შევიწროებას.[217] რეკომენდაციის მიხედვით, სექსუალური შევიწროება მოიცავს სექსუალური შინაარსის არასასურველ ქცევას, როგორებიცაა: ფიზიკური კონტაქტი, სექსუალური შინაარსის შენიშვნები, პორნოგრაფიის ჩვენება,

---

[206] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 40.

[207] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 207.

[208] იქვე, პარ. 208.

[209] იქვე.

[210] იქვე.

[211] იქვე.

[212] იქვე.

[213] იქვე.

[214] იქვე, პარ. 209.

[215] საია, საქართველო 2023 წელს სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეფასება, 2024, 41, https://shorturl.at/sCWR1 [22.04.2024].

[216] კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (მიღების თარიღი: 22.09.1994, ძალაში შევიდა: 25.11.1994), მუხლი 1.

[217] CEDAW General Recommendation No. 19: Violence against Women, para 17, https://www.legal-tools.org/doc/f8d998/pdf/&ved=2ahUKEwi4r8KY2dX [22.04.2024].

სექსუალური შინაარსის მოთხოვნები. ამგვარი ქცევა შეიძლება გამოხატული იყოს როგორც სიტყვიერად, ისე ქმედებით,[218] იყოს დამამცირებელი და წარმოშობდეს ჯანმრთელობის, აგრეთვე, უსაფრთხოების პრობლემებს.[219] დისკრიმინაციულია, როდესაც ქალს აქვს გონივრული საფუძველი, იფიქროს, რომ პროტესტის გამოხატვა გამოიწვევს დასაქმების ადგილზე მის არახელსაყრელ პირობებში ჩაყენებას, მათ შორის, რეკრუტირებასა ან დაწინაურებასთან დაკავშირებით, ასევე, როდესაც ქცევა ქმნის მტრულ სამუშაო გარემოს.[220]

ევროკავშირის დირექტივა 2002/73/EC, რომელიც დასაქმების ადგილზე თანასწორობას შეეხება, სექსუალურ შევიწროებას სტამბოლის კონვენციის იდენტურად განმარტავს.[221] დირექტივის მიხედვით, სექსუალური შევიწროება მიჩნეული უნდა იყოს სქესის ნიშნით დისკრიმინაციად, შესაბამისად, უნდა აიკრძალოს.[222] ევროკავშირის დირექტივა 2004/113/EC, რომელიც საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისას თანაბარ მოპყრობას ეხება, მიუთითებს, რომ სექსუალური შევიწროება შრომის ბაზრის გარეთაც ხდება. დირექტივის თანახმად, ის შეიძლება იყოს დამაზიანებელი და ქმნიდეს ბარიერს ქალებისა და კაცების სოციალურ, ეკონომიკურ ცხოვრებაში წარმატებული, სრულყოფილი ინტეგრაციისთვის.[223] დირექტივა წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს შესაბამისი ზომების მიღებას საქონლისა და მომსახურების მიწოდების კონტექსტში სექსუალური შევიწროების აკრძალვის მიზნით.[224]

სექსუალური შევიწროება არ არის მოცემული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, თუმცა ის რეგულირდება სხვა საკანონმდებლო აქტებით. **საზოგადოებრივ ადგილებში სექსუალური შევიწროებისთვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლით**. ამ ნორმის მიხედვით, სექსუალური შევიწროება განიმარტება, როგორც „საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს“.[225] კოდექსის მიზნებისთვის, სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩნევა სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა.[226]

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.[227] კანონით განსაზღვრული სამართლებრივი დაცვა ნებისმიერ სივრცეში განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებაზე ვრცელდება. ეს შეიძლება იყოს სამუშაო ადგილი, საგანმანათლებლო, სამედიცინო ან საჯარო სივრცეები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, კვების, გასართობი, დასასვენებელი ობიექტები, ასევე, ნებისმიერი სხვა

[218] იქვე, პარ. 18.
[219] იქვე.
[220] იქვე.
[221] Directive 2002/73/EC of The European Parliament And of The Council of 23 September 2002, https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/%20LexUriServ.do?uri=OJ:L:2002:269:0015:0020:EN:PDF [22.04.2024].
[222] იქვე.
[223] Council Directive 2004/113/EC of 13 December 2004 implementing the principle of equal treatment between men and women in the access to and supply of goods and services, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32004L0113 [22.04.2024].
[224] იქვე.
[225] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 166[1], ნაწილი 1.
[226] იქვე.
[227] საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 3[2].

ადგილი, სადაც სექსუალური შევიწროების ფაქტი შეიძლება გამოვლინდეს.[228] ამ კანონის მიხედვით, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.[229] სახალხო დამცველი განიხილავს იმ ფიზიკური, იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას/საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს. მისი უფლებების აღსადგენად სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს შესაბამის დაწესებულებას ან პირს, თუ მორიგებით საქმის დასრულება შეუძლებელი აღმოჩნდება და არსებობს საკმარისი მასალები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს.[230] განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი გამოსცემს რეკომენდაციას, რომლითაც დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, მუნიციპალიტეტის ორგანოს, თანამდებობის პირს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს, პირთა გაერთიანებას იურიდიული პირის შეუქმნელად ან მეწარმე სუბიექტს სთავაზობს, დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და მის შედეგად დარღვეული თანასწორობის აღსადგენად, ღონისძიებების განხორციელებას მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.[231]

ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მიხედვით, სექსუალური შევიწროება განიმარტება, როგორც „პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.“ აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსში სექსუალური შევიწროების განმარტება უფრო ვიწროა, ვიდე დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში. შრომის კოდექსში არსებული განმარტებების მიხედვით, ღირსების შელახვის მიზანსა ან შედეგთან ერთად, კუმულატიურად, ქმედება უნდა ქმნიდეს დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

უმჯობესია, შრომის კოდექსის შესაბამისი ნორმა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას <u>ან</u> ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს“. შრომის კანონმდებლობაზე ზედამხედველობას ახორციელებს შრომის ინსპექციის სამსახური. ის ინსპექტირებას ატარებს დაინტერესებული პირის საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.[232] დამსაქმებლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისკრიმინაციის, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების აკრძალვის პრინციპების დარღვევა, შრომის კოდექსის მიხედვით, იწვევს დამსაქმებლის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას.[233] სამართალდამრღვევი დასაქმებულისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება შესაბამისი ტვირთისგან არ ათავისუფლებს დამსაქმებელს, თუკი მისთვის ცნობილი იყო შევიწროების ფაქტის შესახებ და ამის თაობაზე არ შეატყობინა შრომის ინსპექციას, ან/და არ მიიღო შესაბამისი ზომები ქმედების აღსაკვეთად.[234]

---

[228] საია, სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში, 2021, 9, https://shorturl.at/3I2sU [22.04.2024].
[229] საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 6.
[230] იქვე, მუხლი 6, პუნქტი 2, ქვეპუნქტები „ა“, „ვ“.
[231] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, მუხლი 20^1.
[232] საქართველოს კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ“, მუხლი 13.
[233] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 78.
[234] იქვე.

1.5.11. ეკონომიკური ძალადობა

გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი ეკონომიკურ ძალადობას განმარტავს, როგორც **ნებისმიერ ქმედებას ან ქცევას, რომელიც იწვევს პირისთვის ეკონომიკური ზიანის მიყენებას**.[235] ეკონომიკური ძალადობა გენდერული უთანასწორობით და ტრადიციული გენდერული ნორმებით არის განპირობებული.[236] ის შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს. მათ შორისაა: საკუთრების დაზიანება, ფინანსურ რესურსებზე, განათლებასა ან შრომის ბაზარზე წვდომის შეზღუდვა, ეკონომიკური პასუხისმგებლობების შეუსრულებლობა, როგორიცაა, მაგალითად, ალიმენტის გადახდა.[237] მოძალადე, როგორც წესი, აკონტროლებს მსხვერპლის შესაძლებლობას, მოიპოვოს, შეინარჩუნოს, გამოიყენოს ეკონომიკური რესურსები, საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ სტაბილურობას და თვითკმარობას.[238] ამ ტიპის ძალადობისთვის აუცილებელი პირობა არ არის მოძალადის და მსხვერპლის ფიზიკური სიახლოვე.[239]

ეკონომიკური ძალადობა აღიარებულია სტამბოლის კონვენციით, რომლის მიხედვითაც, ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის, მათ შორის, **ეკონომიკური ზიანის მიყენება**.[240] გარდა ამისა, ოჯახში ძალადობა გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ **ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს,** რომლებიც ხდება ოჯახში, შინაურ წრეში, ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა.[241]

CEDAW კომიტეტის No. 35 ზოგადი რეკომენდაცია, სტამბოლის კონვენციის მსგავსად, აღიარებს გენდერულად მოტივირებული ძალადობის ეკონომიკურ განზომილებას. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ გენდერული ძალადობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება. მათ შორისაა ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს ან იწვევს სიკვდილს, ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ, **ეკონომიკურ ზიანს** ან ტანჯვას, ასევე, ასეთი ქმედებების მუქარა, შევიწროება, იძულება და თავისუფლების უკანონო აღკვეთა.[242]

ევროკავშირის 2012/29/EU დირექტივაში, რომელიც მსხვერპლის დაცვის სტანდარტებს შეეხება, ასევე აღნიშნულია, რომ ძალადობა შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით,[243] მათ შორის, ეკონომიკური ძალადობით.[244]

---

[235] European Institute for Gender Equality, Understanding Economic Violence against Women, 2023, https://eige.europa.eu/sites/default/files/documents/EIGE_Factsheet_EconomicViolence.pdf [22.04.2024].
[236] იქვე.
[237] European Institute for Gender Equality, Glossary of definitions of rape, femicide and intimate partner violence, 2017, 46, https://eige.europa.eu/sites/default/files/documents/ti_pubpdf_mh0417297enn_pdfweb_20170602161141.pdf [22.04.2024].
[238] European Institute for Gender Equality, Understanding Economic Violence against Women, 2023, https://eige.europa.eu/sites/default/files/documents/EIGE_Factsheet_EconomicViolence.pdf [22.04.2024].
[239] იქვე.
[240] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“.
[241] იქვე, მუხლი 3, ქვეპუნქტი „ბ“.
[242] Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No. 19, CEDAW/C/GC/35, 2017.
[243] Directive 2012/29/EU of The European Parliament and of The Council of 25 October 2012, https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2012:315:0057:0073:EN:PDF [22.04.2024].
[244] იქვე.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ეკონომიკური ძალადობა განიმარტება, როგორც **„ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე, თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას“**.[245] ამ კანონში ეკონომიკური ძალადობის აღიარება იძლევა მოძალადის მიმართ შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და სისხლის სამართლის კოდექსით ეკონომიკური ძალადობისთვის ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი სანქცია გათვალისწინებული არ არის.

სტამბოლის კონვენციაში, რომლის 31-ე-40-ე მუხლები ძალადობის სხვადასხვა ფორმას განმარტავს და ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მათთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი ან სხვა სახის პასუხისმგებლობის დაწესების ვალდებულებას განუსაზღვრავს, ცალკე არ არის გამოყოფილი ეკონომიკური ძალადობა და არც ეს ტერმინია განმარტებული, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის ეს ფორმა აღიარებულია კონვენციის მე-2 მუხლის b პუნქტით. **ევროკავშირის მასშტაბითაც, ძალადობის სხვა ფორმებთან შედარებით, ცოტა სახელმწიფოშია კრიმინალიზებული ეკონომიკური ძალადობა**.[246] შესაძლოა, ამ ტიპის ძალადობის დროს რელევანტური იყოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნორმების გამოყენება, რომლებიც უკავშირდება, მაგალითად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს,[247] ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლზე მითითება, რომელიც იძულების კრიმინალიზებას ახდენს.[248] **მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ძალადობის დამოუკიდებლად კრიმინალიზების საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულება არ არსებობს, უმჯობესი იქნება, თუ სახელმწიფო მას ცალკე გამოყოფს და სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრავს.** გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის მიერ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის ეკონომიკურ ძალადობასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციებიდან ერთ-ერთი სწორედ ძალადობის ამ ფორმის კრიმინალიზებას შეეხება.[249]

---

[245] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 4, ქვეპუნქტი „ე“.

[246] გენდერული თანასწორობის საკითხებზე ევროპის დამოუკიდებელ ექსპერტთა ქსელის მიერ 2021 წელს მომზადებული კვლევის მიხედვით, ეკონომიკური ძალადობის ექსპლიციტური კრიმინალიზება ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა არ არის. ოჯახური დანაშაულის სამართალდარღვევის დეფინიცია ეკონომიკურ ძალადობას ექსპლიციტურად 9 სახელმწიფოში შეიცავს (ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, უნგრეთი, ლიეტუვა, მალტა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია). აქედან, 4 სახელმწიფოში ეს განმარტება სისხლის სამართლის კანონმდებლობის გარეთაა მოქცეული (ბელგია, ბულგარეთი, ლიეტუვა, რუმინეთი). ამ კვლევის ერთ-ერთი რეკომენდაციაა, რომ ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაციის დროს ეკონომიკური ძალადობა ექსპლიციტურად უნდა იყოს გათვალისწინებული ოჯახური ძალადობის განმარტებაში. European network of legal experts in gender equality and non-discrimination, Criminalisation of gender-based violence against women in European States, including ICT-facilitated violence, 2021, 61, 74, https://www.equalitylaw.eu/downloads/5535-criminalisation-of-gender-based-violence-against-women-in-european-states-including-ict-facilitated-violence-1-97-mb [14.06.2024], ასევე, European Institute for Gender Equality, Understanding Economic Violence against Women, 2023, https://eige.europa.eu/sites/default/files/documents/EIGE_Factsheet_EconomicViolence.pdf [22.04.2024].

[247] European Institute for Gender Equality, Understanding Economic Violence against Women, 2023, https://eige.europa.eu/sites/default/files/documents/EIGE_Factsheet_EconomicViolence.pdf [22.04.2024].

[248] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 150.

[249] European Institute for Gender Equality, Understanding Economic Violence against Women, 2023, https://eige.europa.eu/sites/default/files/documents/EIGE_Factsheet_EconomicViolence.pdf [22.04.2024].

1.5.12. გენდერულად მოტივირებული ძალადობის ციფრული განზომილება

გენდერულად მოტივირებული ძალადობის ციფრული განზომილება მოიცავს ამ ტიპის ძალადობის ყველა აქტს, რომელიც ჩადენილია ნაწილობრივ ან სრულიად საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიების მეშვეობით ან დახმარებით, როგორებიცაა, მაგალითად, სმარტფონები, სოციალური მედია პლატფორმები, გეოლოკაციისა და სამძებრო მოწყობილობები, ჩამწერი აპარატები, ხელოვნური ინტელექტი.[250] ციფრულ სფეროში ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებით ტერმინოლოგია ერთგვაროვანი არ არის. მას უწოდებენ, მაგალითად, „საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიის (ICT) მეშვეობით ჩადენილ ძალადობას“, „ონლაინ ძალადობას“, „ციფრულ ძალადობას“, „კიბერძალადობას“.[251]

ქალთა მიმართ გენდერულად მოტივირებული ძალადობის ციფრულ განზომილებას, როგორც ძალადობის თანამედროვე ფორმას, აღიარებს CEDAW კომიტეტი და თავის No. 35 ზოგად რეკომენდაციაში აღნიშნავს, რომ ის ვლინდება სხვადასხვა, ერთმანეთთან დაკავშირებული ძალადობის ფორმების კონტინუუმის სახით, სხვადასხვა გარემოში, პირადსა და საჯარო სივრცეში, **მათ შორის, ტექნოლოგიურ სფეროში**.[252]

2021 წელს GREVIO-მ გამოსცა No. 1 ზოგადი რეკომენდაცია, რომელიც შეეხება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ციფრულ განზომილებას.[253] მისი კონცეფცია, GREVIO-ს გაგებით, მოიცავს როგორც ონლაინ ასპექტებს (ხილულ თუ ბნელ ინტერნეტ გვერდებზე ხელმისაწვდომ მონაცემებს და ჩადენილ ქმედებებს, მათ შორის, ინტერნეტ შუამავლების[254] მეშვეობით), ასევე, საზიანო ქცევას ქალთა და გოგონათა მიმართ ტექნოლოგიის გამოყენებით (საკომუნიკაციო მოწყობილობების, მათ შორის, კომპიუტერული და პროგრამული ტექნოლოგიით ჩადენილ ქმედებებს).[255] GREVIO ასევე აღნიშნავს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმა და ოჯახში ძალადობა - ციფრულ სფეროში თუ ფიზიკურ სამყაროში - არ არის ურთიერთგამომრიცხავი და ხშირად ემთხვევა ერთმანეთს, რაც ამძაფრებს ძალადობის ტრავმულ ზემოქმედებას და ზოგჯერ მსხვერპლის ფიზიკურ უსაფრთხოებასაც ემუქრება.[256]

სექსუალური შევიწროება ონლაინ - რეკომენდაციის მიხედვით, სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული სექსუალური შევიწროების ცნება ასევე მოიცავს ონლაინ და ციფრული გზით ჩადენილ ქმედებებს:

1) თანხმობის გარეშე ფოტოს ან ვიდეოს გაზიარება *- თანხმობის გარეშე პირის შიშველი ან სექსუალური ხასიათის გამოსახულების (სურათის ან ვიდეოს) გავრცე-*

---

[250] EDVAW Platform, The digital dimension of violence against women as addressed by the seven mechanisms of the EDVAW Platform, 2022, 8, https://www.ohchr.org/sites/default/files/documents/hrbodies/cedaw/statements/2022-12-02/EDVAW-Platform-thematic-paper-on-the-digital-dimension-of-VAW_English.pdf [22.04.2024].

[251] Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences on online violence against women and girls from a human rights perspective, A/HRC/38/47, para 15, https://digitallibrary.un.org/record/1641160?v=pdf [22.04.2024].

[252] Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No. 19, CEDAW/C/GC/35, 2017, para 6.

[253] GREVIO-ს ზოგადი რეკომენდაცია No1, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ, 2022, <https://rm.coe.int/grevio-no1/1680a960a1> [22.04.2024].

[254] ინტერნეტშუამავლები არიან სუბიექტები, რომლებიც ხელს უწყობენ ინტერნეტში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობას, სხვადასხვა ფუნქციისა თუ სერვისის შეთავაზებითა და მიწოდებით და მოიცავენ ინტერნეტ სერვისპროვაიდერებს (ISPs), საძიებო სისტემებს და სოციალური მედიის პლატფორმებს. იხ. GREVIO-ს ზოგადი რეკომენდაცია No1, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ, 2022, პარ. 23. https://rm.coe.int/grevio-no1/1680a960a1 [22.04.2024].

[255] იქვე.

[256] იქვე, პარ. 25.

ლება ან გავრცელების მუქარა არის გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური შეურაცხყოფა[257] (რომელიც ასევე ცნობილია „შურისძიების პორნოგრაფიის“ სახელით).[258]

2) ინტიმური ფოტოების ან ვიდეოების გადაღება, წარმოება ან შესყიდვა - *ეს მოიცავს ადამიანის თანხმობის გარეშე მისი ტანსაცმლის შიდა ფოტოების/ვიდეოების გადაღებას (upskirting) ან ადამიანის თანხმობის გარეშე ფოტოების გადაღებას (creepshots), აგრეთვე, გამოსახულების ციფრულად შეცვლას, სადაც ადამიანის სახე ან ტანი პორნოგრაფიულ ფოტოს ან ვიდეოს ადევს. ეს ასევე ცნობილია „ყალბი პორნოგრაფიის სახელით“ (როგორიცაა „დიფ-ფეიკები“, ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით სინთეზური გამოსახულების შექმნა).[259]*

3) ექსპლუატაცია, იძულება და მუქარა - *მოიცავს ძალადობის ისეთ ფორმებს, როგორებიცაა სექსუალური ხასიათის იძულებითი მიმოწერა, სექსუალური გამოძალვა, გაუპატიურების მუქარა, სექსუალიზებული/გენდერის ნიშნით ადამიანის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გავრცელება, თავის სხვა ადამიანად მოჩვენება და აუთინგი (outing), ანუ, ადამიანის თანხმობის გარეშე მისი სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის გამჟღავნება.[260]*

4) სექსუალიზებული ბულინგი - *ისეთი ქცევაა, როგორიცაა ჭორების გავრცელება ან მსხვერპლის სავარაუდო სექსუალურ ქცევაზე ჭორაობა, სექსუალური კომენტარების გამოქვეყნება მსხვერპლის პოსტების ან ფოტოების ქვეშ, მსხვერპლის განსახიერება და სექსუალური შინაარსის მასალის გაზიარება ან სხვების სექსუალური შევიწროება, რაც გავლენას ახდენს მათ რეპუტაციასა ან საარსებო წყაროზე, აუთინგი (outing) პიროვნების თანხმობის გარეშე, მისი დაშინების, მუქარის ან სხეულის შერცხვენის მიზნით.[261]*

5) კიბერფლეშინგი - *არასასურველი სექსუალური ხასიათის გამოსახულებების გაგზავნა შეტყობინებების ან გაცნობის აპლიკაციის გზით, ასევე ტექსტების გაგზავნა ბლუთუზის ან ეარდროფის ტექნოლოგიის გამოყენებით.[262]*

ონლაინ და ტექნოლოგიის გამოყენებით ადევნება - ციფრულ სფეროში ჩადენილი ადევნების პრაქტიკა მოიცავს მუქარას (სექსუალური, ეკონომიკური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხასიათის), რეპუტაციის დაზიანებას, მსხვერპლის კონტროლსა და მასზე პირადი ინფორმაციის შეგროვებას, პიროვნების მითვისებას, სექსის მოთხოვნას, მსხვერპლის განსახიერებასა და შევიწროებას, რაც მიმართულია მსხვერპლის იზოლირებისკენ. ეს, როგორც წესი, მოიცავს მსხვერპლზე თვალთვალის და ჯაშუშობის ტაქტიკას მათ სხვადასხვა სოციალური მედიის თუ საკომუნიკაციო პლატფორმაზე, მათ იმეილებსა და ტელეფონებში შეღწევას, მსხვერპლის პირად სივრცეზე წვდომის მისაღებად მათ მოწყობილობებზე პაროლის მოპარვას ან გატეხას, ჯა-

---

[257] მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი რეკომენდაციის ქართულენოვანი თარგმანის 38-ე პარაგრაფში ტერმინი „image-based sexual abuse“ თარგმნილია, როგორც „ფოტოზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა“, უფრო მართებულია, გამოყენებული იყოს ტერმინი „გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა“. აღსანიშნავია, რომ სწორედ ასე არის ნათარგმნი ეს ტერმინი რეკომენდაციის დანართში - ლექსიკონში. გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური შეურაცხყოფა, GREVIO-ს ზოგადი რეკომენდაციის დანართის მიხედვით, განიმარტება, როგორც „მოძალადის მიერ ურთიერთობის დროს ან მსხვერპლის კომპიუტერიდან, სოციალური მედიის ანგარიშებიდან ან ტელეფონიდან მოპარული და მოპოვებული სექსუალური ხასიათის ფოტოების ან ვიდეოების ონლაინ გავრცელება“. იხ. GREVIO-ს ზოგადი რეკომენდაცია No1, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ, 2022, https://rm.coe.int/grevio-no1/1680a960a1 [22.04.2024].

[258] GREVIO-ს ზოგადი რეკომენდაცია No1, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ, 2022, პარ. 38, <https://rm.coe.int/grevio-no1/1680a960a1> [22.04.2024].

[259] იქვე.

[260] იქვე.

[261] იქვე.

[262] იქვე.

შუშური პროგრამების, მდებარეობის განმსაზღვრელი აპლიკაციებისა ან მათი მოწყობილობების მოპარვის გზით. მოძალადეებს ასევე შეუძლიათ, მიითვისონ სხვა პიროვნების იდენტობა და განახორციელონ მსხვერპლზე კონტროლი ინტერნეტთან დაკავშირებული ნივთების (IoT),[263] ჭკვიანი საყოფაცხოვრებო ტექნიკის მეშვეობით.[264]

ფსიქოლოგიური ძალადობის ციფრული განზომილება - ქალთა მიმართ ციფრულ სფეროში ჩადენილი ძალადობის ყველა ფორმას აქვს ფსიქოლოგიური გავლენა და შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც ონლაინ ან ტექნოლოგიის გამოყენებით განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობა.[265] ამასთანავე, ოჯახში ძალადობის კონტექსტში ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობა მეტად რადიკალური ხდება, როდესაც ის ტექნოლოგიებთან ერთიანდება. მაგალითად, როდესაც ამჟამინდელი ან ყოფილი პარტნიორი ფლობს მსხვერპლის ინტიმურ სურათებს, ციფრული დომენის დახმარებით ის ახალ განზომილებას იძენს.[266] ძალადობის არაკრიმინალიზებულმა ერთეულმა შემთხვევებმა შეიძლება მიაღწიოს ფსიქოლოგიური ძალადობის ზღვარს, როდესაც ის ერწყმის ხალხის მენტალობას და, ინტერნეტის მეშვეობით, განმეორებით ხასიათს იძენს. მაგალითად, გამაღიზიანებელი კომენტარი შეიძლება იქცეს კიბერბულინგად, თუ მას ბევრი ადამიანი უერთდება და განმეორებითი ხასიათი აქვს. კიბერ სივრცეში სამიზნე შეიძლება გახდეს ნებისმიერი ქალი, განსაკუთრებით ისინი, ვინც უკვე გამოცადეს გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა; ისინი, ვინც კაცების მიერ დომინირებულ სფეროში მიაღწიეს წარმატებას; ქალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გენდერულ სტერეოტიპებს; ასევე, ადამიანები, რომლებსაც ურთიერთგადამკვეთი იდენტობა აქვთ და უფრო მეტად შეიძლება დაექვემდებარონ ძალადობას მათი სქესის, გენდერის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ეროვნულ უმცირესობასთან ასოცირების, საკუთრების, დაბადების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ოჯახური მდგომარეობის, მიგრანტის ან ლტოლვილის ან სხვა სტატუსის გამო.[267]

ფსიქოლოგიური ძალადობის კიდევ ერთი ფორმაა **ეკონომიკური ძალადობა**, რომელიც, როგორც წესი, ვლინდება ინტიმური პარტნიორის კონტექსტში და, ასევე, გააჩნია ციფრული განზომილება. ციფრულ სივრცეში ეკონომიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს მსხვერპლის საბანკო ანგარიშებისა და ფინანსური აქტივობების კონტროლით ინტერნეტბანკის მეშვეობით, მისი საკრედიტო ბარათების ან ფინანსური კონტრაქტების (იჯარა, სესხი, კომუნალური მომსახურება და სხვა) გამოყენებით უნებართვოდ, მისი სახელით, რასაც მსხვერპლის საკრედიტო რეიტინგის დაზიანება მოჰყვება.[268]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით **კრიმინალიზებულია პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან სხვაგვარად ხელმისაწვდომობა.**[269] ამასთანავე, რელევანტური საკანონმდებლო ნორმები უნდა განიმა-

[263] **ნივთების ინტერნეტი (Internet of Things (IoT))** არის ფიზიკური ობიექტების ქსელი, რომელიც დაკავშირებულია ერთმანეთთან და ინტერნეტთან, შესაბამისად, იწერს და გადასცემს მათი გამოყენების შესახებ მონაცემებს. იხ. GREVIO-ს ზოგადი რეკომენდაცია No1, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ, 2022, https://rm.coe.int/grevio-no1/1680a960a1 [22.04.2024].

[264] GREVIO-ს ზოგადი რეკომენდაცია No.1, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ, 2022, პარ. 41, https://rm.coe.int/grevio-no1/1680a960a1 [22.04.2024].

[265] იქვე, 43.

[266] იქვე.

[267] იქვე, 44.

[268] იქვე, პარ. 47-48.

[269] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 157.

რტოს ისე, რომ მათში მოაზრებული იყოს გენდერულად მოტივირებული ძალადობის ციფრული განზომილება, მიუხედავად იმისა, ტექნოლოგიურ საშუალებებზე ნორმის შემადგენლობაში უშუალოდ მითითებული არის თუ არა. მაგალითად, შრომის კოდექსით და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სექსუალური შევიწროების ცნება უნდა მოიცავდეს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მოძალადე არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევას ახორციელებს ონლაინ ან ტექნოლოგიის გამოყენებით. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა) გათვალისწინებული „მუქარა" ან ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლით (ოჯახში ძალადობა) გათვალისწინებული „სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება" მოძალადემ შეიძლება განახორციელოს საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ან სოციალური ქსელების გამოყენებითაც.

1.6. სიძულვილით მოტივირებული ძალადობის წამახალისებელი, დისკრიმინაციული საკანონმდებლო ინიციატივები

2024 წლის 3 აპრილს საპარლამენტო უმრავლესობამ დააინიციირა **კონსტიტუციური კანონპროექტი „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ"**,[270] ხოლო 2024 წლის 4 ივნისს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა დაარეგისტრირეს **მსგავსი შინაარსის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი,**[271] რომელიც „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" ახალი კანონის მიღებას და 18 არსებულ საკანონმდებლო აქტში,[272] მათ შორის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში, თანმდევი ცვლილებების შეტანას გულისხმობს.

„ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის 1-ლი და მე-2 მუხლები:

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია ქალისა და მამაკაცის კავშირზე დაფუძნებული ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის მექანიზმების გაძლიერება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ქალი – მემკვიდრეობითი გენეტიკური მახასიათებლების მიხედვით იდენტიფიცირებული მდედრობითი სქესის ადამიანი;

[270] იხ. პარლამენტის ვებგვერდი, https://www.parliament.ge/legislation/28353 [05.05.2024].

[271] იხ. პარლამენტის ვებგვერდი, https://info.parliament.ge/#law-drafting/28703 [13.06.2024].

[272] ეს საკანონმდებლო აქტებია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონი; ბავშვის უფლებათა კოდექსი; „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი; „სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონი; „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონი; „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონი; „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი; „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი; „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი; „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი; „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონი; „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი; „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი; „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი"; იხ. პარლამენტის ვებგვერდი, https://info.parliament.ge/#law-drafting/28703 [13.06.2024].

ბ) მამაკაცი – მემკვიდრეობითი გენეტიკური მახასიათებლების მიხედვით იდენტიფიცირებული მამრობითი სქესის ადამიანი;

გ) ბიოლოგიური სქესი – მემკვიდრეობითი გენეტიკური მახასიათებლების მიხედვით იდენტიფიცირებული სქესი.

ეს ცვლილებები, კონსტიტუციური კანონის პროექტის მსგავსად, უხეშად არღვევს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს.

საკანონმდებლო პაკეტით შემოთავაზებული მოწესრიგებით, **ქორწინების ცნება** განიმარტება, როგორც „ოჯახის შექმნის მიზნით განსხვავებული ბიოლოგიური სქესის ორი ადამიანის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს“.[273] იკრძალება ქორწინების ისეთი ალტერნატიული კავშირის რეგისტრაცია, რომელიც ამ განმარტებას არ აკმაყოფილებს.[274] იკრძალება, ასევე შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდა იმ პირის მიერ, რომელიც „თავს თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებულ სქესს მიაკუთვნებს ან მისი სექსუალური ორიენტაცია ჰეტეროსექსუალობის კატეგორიას არ განეკუთვნება“.[275]

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ითვალისწინებს **„ადამიანისთვის, თავისი ბიოლოგიურის სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების მიზნით, ქირურგიული ოპერაციის სხვისთვის ჩატარების ან სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის სხვის მიმართ გამოყენების“ კრიმინალიზებას**.[276] იკრძალება სახელმწიფოს მიერ გაცემულ **დოკუმენტში „ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესის“ მითითებაც**.[277]

ცვლილებების პროექტით იკრძალება საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლის მიერ ამ დაწესებულებაში საქმიანობის ფარგლებში ან მის ტერიტორიაზე ისეთი **ინფორმაციის გავრცელება ან გავრცელების ხელშეწყობა,** „რომელიც მიმართულია ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ“.[278] **იკრძალება არასრულწლოვანისთვის, მასთან პირდაპირი კომუნიკაციის გზით, ასეთი ინფორმაციის (მათ შორის, შემოქმედებითი ნაწარმოების) მიწოდება (გაზიარება) ან/და მასზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის შექმნა.** იკრძალება „ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულა-

[273] „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, მუხლი 3; საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი, https://info.parliament.ge/#law-drafting/28703 [13.06.2024].

[274] აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის არსებული მდგომარეობითაც, ერთნაირსქესიან წყვილთა ქორწინების ან ასეთი კავშირის ალტერნატიული ფორმით აღიარების საშუალებას ქართული კანონმდებლობა არ იძლევა, იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1106.

[275] „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, მუხლი 4, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, https://info.parliament.ge/#law-drafting/28703 [13.06.2024].

[276] „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, https://info.parliament.ge/#law-drafting/28703 [13.06.2024].

[277] „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, მუხლი 6.

[278] იქვე, მუხლი 7.

რიზაციისკენ“ მიმართული **რეკლამის გავრცელება.**[279] ამ აკრძალვების დარღვევა იწვევს **ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, ხოლო ამ სამართალდარღვევის ჩადენისთვის სახდელდადებული პირის მიერ იმავე მუხლით განსაზღვრული რომელიმე ქმედების ჩადენა კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულად**.[280]

ცვლილებების პაკეტი ასევე ითვალისწინებს **შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვას და მაუწყებლობის ცენზურას**.[281]

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მიხედვით, „ბათილია **შრომითი ურთიერთობის ფარგლებში** დაკისრებული ისეთი ვალდებულება, შრომითი ურთიერთობის ფარგლებში გაცემული ისეთი მითითება ან/და დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დადებული ისეთი შეთანხმება, რომელიც მიმართულია ბიოლოგიური სქესის უგულებელყოფისკენ ან მისი უგულებელყოფის წახალისებისკენ“.[282]

ამ კონსტიტუციური კანონის პროექტის და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით შემოთავაზებული სამართლებრივი მოწესრიგება **ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს,**[283] **საქართველოს საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს,**[284] **არღვევს გამოხატვის თავისუფლებას და აწესებს ცენზურას,**[285] ქმნის საკანონმდებლო ბარიერებს, მათ შორის, სამეცნიერო და შემოქმედებითი გამოხატვის, უფლებების დაცვისა და თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კუთხით.[286] 30 მაისს გამოქვეყნებული დასკვნით, გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტმა სახელმწიფოს კონსტიტუციური კანონპროექტის გაწვევისკენ მოუწოდა.[287]

კონსტიტუციური კანონის პროექტი კრიტიკულად შეაფასა ვენეციის კომისიამაც და მიუთითა, რომ ის არ შეესაბამება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს.[288] კომისიის განმარტებით, ამ კანონის, უბრალოდ, ინიციირებაც კი ქმნის LGBTI ადა-

---

[279] იქვე, მუხლი 8.

[280] „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი; „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, https://info.parliament.ge/#law-drafting/28703 [13.06.2024].

[281] „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, მუხლები 8-9, https://info.parliament.ge/#law-drafting/28703 [13.06.2024].

[282] იქვე, მუხლი 10.

[283] მაგ. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: A.P., Garçon and Nicot v. France, (Applications nos. 79885/12, 52471/13 and 52596/13); E.B. v. France (Application No. 43546/02); Karner v. Austria, (Application no. 40016/98); Fedotova and Others v. Russia (Applications nos. 40792/10, 30538/14 and 43439/14); იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია: Recommendation CM/Rec(2010)5 of the Committee of Ministers to member states on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity, 2010, https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805cf40a [04.04.2024].

[284] მაგ. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი შემდეგი გადაწყვეტილებები: Identoba and Others v. Georgia (Application no. 73235/12), A.D. and others v. Georgia (Applications nos. 57864/17, 79087/17 and 55353/19).

[285] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 03.06.2024, https://socialjustice.org.ge/ka/products/initsirebulikonstitutsiuri-kanonis-proekti-gamokhatvis-tavisuflebas-etsinaaghmdegeba-da-tsenzuras-atsesebs.

[286] აღსანიშნავია, რომ რუსეთში მსგავსმა საკანონმდებლო მოწესრიგებამ უკვე გამოიწვია წიგნების, ფილმების, ხელოვნების სხვა ნაწარმოებების ბრუნვიდან ამოღება, არტისტებისა და მედიის გამოხატვის თავისუფლების კიდევ უფრო შეზღუდვა, გამომცემლობებსა და ხელოვანებში თვითცენზურის გავრცელება, სანქციების შიშის გამო. იხ. Euronews, From museums to book publishing: How Russia's new anti-LGBTQ laws will impact culture, 2022, https://www.euronews.com/culture/2022/12/06/from-museums-to-book-publishing-how-russias-new-anti-lgbtq-laws-will-impact-culture [13.06.2024].

[287] Committee on the Rights of the Child, Concluding observations on the combined fifth and sixth reports of Georgia, 30.05.2024, CRC/C/GEO/CO/5-6, 7.

[288] VENICE COMMISSION, GEORGIA OPINION ON THE DRAFT CONSTITUTIONAL LAW ON PROTECTING FAMILY VALUES AND MINORS, 25.06. 2024, CDL-AD(2024)021, Opinion No. 1188/2024, par. 104-105.

მიანების მიმართ მტრული და მასტიგმატიზებელი ატმოსფეროს გაძლიერების რისკს.[289] კომისიამ სახელმწიფოს მიუწოდა, არ მიიღოს საკანონმდებლო შემოთავაზება,[290] თუმცა, თუ კანონპროექტის მიღების პროცესი გაგრძელდება, ხელისუფლებას შესთავაზა კონკრეტული ცვლილებები, რომლებიც მოიცავს კანონპროექტიდან სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციული ნორმების ამოღებას და ხელისუფლების მხრიდან თანასწორობის გაძლიერების კუთხით ნაბიჯების გადადგმას.[291]

სტამბოლის კონვენციის მიხედვით, „გენდერული“ გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს.[292] კონვენცია ხელმომწერ მხარეებს ავალდებულებს, მიიღონ ყველა საჭირო ზომა ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელებში ცვლილებების დასანერგად, რათა აღმოიფხვრას ის ცრურწმენები, ადათ-წესები, ტრადიციები და ყველა სხვა პრაქტიკა, რომლებიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას ან **ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპულ წარმოდგენებს.**[293]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, გენდერული იდენტობა აღიარებულია, როგორც ადამიანის პირადი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ინტიმური ასპექტი,[294] რომელთან დაკავშირებითაც სახელმწიფომ ვიწრო მიხედულობის ფარგლებში უნდა იმოქმედოს.[295]

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2010)5 რეკომენდაციის მიხედვით (სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების შესახებ):[296]

13. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ, კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება ეფექტიანად განხორციელდეს სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საკითხებზე ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლების პატივისცემით.

16. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები იმისთვის, რომ ხელი შეუშალონ შეზღუდვების დაწესებას გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების ეფექტიან განხორციელებაზე, რაც შედეგად მოჰყვება სამართლებრივი ან ადმინისტრაციული დებულებების უკანონო გამოყენებას, მაგალითად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, მორალისა და წესრიგის მოტივით.

---

[289] იქვე.
[290] იქვე.
[291] იქვე.
[292] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 3 ქვეპუნქტი „გ“.
[293] იქვე, მუხლი 12, პუნქტი 1.
[294] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Van Kück v. Germany, 35968/97, პარ. 56.
[295] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1-ლი დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე A.D. AND OTHERS v. GEORGIA, *57864/17, 79087/17, 55353/19*, პარ. 71.
[296] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 წევრი სახელმწიფოების მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების შესახებ, დანართი, https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016807379f6 [05.05.2024].

ამის საპირისპიროდ, **შემოთავაზებული კანონპროექტები იწვევს გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციას, აღრმავებს როგორც ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ განწყობებს, ასევე გენდერულ სტერეოტიპებს საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის როლების შესახებ**, მათ შორის, ქმნის შრომით ურთიერთობებში გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის სამართლებრივ საფუძველს. ამასთანავე, ის უგულებელყოფს გენდერის ცნებას და მას ბიოლოგიურ სქესთან აიგივებს.

ხსენებულ კონსტიტუციურ კანონპროექტთან დაკავშირებულ საჯარო განხილვებზე **პარლამენტის წევრები აქტიურად იყენებდნენ სიძულვილის ენას და ავრცელებდნენ ჰომოფობიურ, ბიფობიურ და ტრანსფობიურ რიტორიკას.** ეს კი ხელს უწყობს გენდერული როლების შესახებ მცდარი წარმოდგენების გაძლიერებას, მათ შორის, გენდერისა და სქესის ცნებების ერთმანეთში აღრევას და, ჰეტეროსექსუალობის გარდა, სხვა სექსუალური ორიენტაციის დევიანტურ ქცევად წარმოჩენას.[297]

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2010)5 რეკომენდაციის მიხედვით (სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების შესახებ):[298]

7. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აამაღლონ ცნობიერება საჯარო ხელისუფლებებსა და ინსტიტუციებში, მათი პასუხისმგებლობის ყველა დონეზე, რათა თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, განსაკუთრებით, მედიის წინაშე, რომლებიც, გონივრულად, გაგებული იქნება, როგორც ამგვარი სიძულვილის ან დისკრიმინაციის ნებადამრთველი.

8. უნდა უზრუნველყონ, რომ საჯარო მოხელეებმა, სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლებმა ხელი შეუწყონ ტოლერანტობას და ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი ადამიანების უფლებების პატივისცემას, როცა ისინი ჩართულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის, მედიის, სპორტული და პოლიტიკური ორგანიზაციების, რელიგიური გაერთიანებების მთავარ წარმომადგენლებთან დიალოგში.

გარდა ამისა, საჯარო განხილვების ამ ფორმატს საპარლამენტო უმრავლესობა იყენებს ქალთა სქესობრივი და რეპროდუქციული უფლებების საწინააღმდეგო ინიციატივების გასახმოვანებელ პლატფორმად (მაგალითად, აბორტისა და ინვიტრო განაყოფიერების წინააღმდეგ).[299]

მაშინ, როდესაც ლგბტქი+ თემის წევრები ისედაც ხშირად განიცდიან ძალადობას როგორც ოჯახში, ისე ოჯახის გარეთ,[300] ხოლო ტრანსგენდერი ადამიანები გენდერულად მოტივირებული ძალადობის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან,[301] **ამგვარი დისკრიმინაციული საკანონმდებლო ინიციატივების შემოტანა და სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან მცდარი, სიძულვილის**

[297] რეგიონებში ლგბტ უფლებების შემზღუდველი კანონპროექტის განხილვა დაიწყო, 22.04.2024, „რადიო თავისუფლების“ ფეისბუქგვერდი, https://www.facebook.com/radiotavisupleba/videos/981684230142038 [04.05.2024].

[298] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 წევრი სახელმწიფოების მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების შესახებ, დანართი, https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016807379f6 [05.05.2024].

[299] ნინო წილოსანი „პუბლიკას“ სიცრუის ტირაჟირებაში ადანაშაულებს, 23.04.2024, „პუბლიკის“ ფეისბუქგვერდი, https://www.facebook.com/publika.ge/videos/2356163147928303 [04.05.2024].

[300] საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2022, 70, https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf [05.05.2024].

[301] იქვე, 71.

შემცველი რიტორიკის გავრცელება კიდევ უფრო დიდი საფრთხის ქვეშ აყენებს ლგბტქი+ თემის წევრებს და არანორმატიული გენდერული გამოხატვის მქონე ნებისმიერ ადამიანს. ამასთანავე, მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივების მავნე გავლენა სცდება საზოგადოების ცალკეული ჯგუფების ფარგლებს და იწვევს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ზოგადი მდგომარეობის გაუარესებას, მათ შორის, საზოგადოებაში სიძულვილით მოტივირებული ძალადობის წახალისებას.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები შემდეგი საკითხების უზრუნველსაყოფად:
  - ✓ GREVIO-ს რეკომენდაციის შესაბამისად, **ოჯახში ძალადობის განმარტება გავრცელდეს იმ პარტნიორებზეც, რომლებიც არ არიან/არ ყოფილან დაქორწინებულნი და არ ცხოვრობენ/არ უცხოვრიათ ერთად**.
  - ✓ **სისხლის სამართლის კოდექსის 151[1]-ე მუხლი მოვიდეს შესაბამისობაში სტამბოლის კონვენციასთან.** გაუქმდეს ქმედების ადევნებად კვალიფიკაციისთვის „ფსიქიკური ტანჯვის“ და „ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლისა ან ამის რეალური საჭიროების არსებობის“ მოთხოვნა.
  - ✓ **გაუპატიურების საკანონმდებლო განმარტება, სტამბოლის კონვენციის სტანდარტის შესაბამისად, დაეფუძნოს თანხმობის** და არა ძალადობის და ძალადობის მუქარის **კომპონენტს.**
  - ✓ **სისხლის სამართლის 137-ე და 139-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები ჩამოყალიბდეს ერთ მუხლში**.
  - ✓ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს **მუხლი იძულებითი აბორტის შესახებ**.
  - ✓ საქართველოს შრომის კოდექსში სექსუალური შევიწროების განმარტება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **„პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას <u>ან</u> ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს“.**
  - ✓ შემუშავდეს ეკონომიკური ძალადობის, როგორც ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი ფორმისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკანონმდებლო მექანიზმები.
- **უარი თქვას თანასწორობის წინააღმდეგ მიმართულ, სიძულვილით მოტივირებული ძალადობის წამახალისებელ საკანონმდებლო ინიციატივებზე:** 3 აპრილს ინიციირებულ კონსტიტუციურ კანონპროექტზე „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, ასევე, 4 ივნისს დაანონსებულ კანონპროექტზე „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტზე.

2. გენდერულად მოტივირებული ძალადობის სტატისტიკა

მონაცემთა სისტემური და ადეკვატური შეგროვება ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავების ძირითადი კომპონენტია.[302] სტამბოლის კონვენციის მე-11 მუხლი მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და გამოქვეყნების ვალდებულებას მოიცავს.[303]

სტამბოლის კონვენციის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი ხელშემკვრელი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს სტატისტიკური მონაცემების რეგულარული ინტერვალით შეგროვებას კონვენციით გათვალისწინებული ძალადობის ყველა ფორმასთან დაკავშირებით.[304] შესაბამისად, საჯარო ხელისუფლების ორგანოებმა, როგორიცაა სასამართლო, პოლიცია და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურები, უნდა შექმნან მონაცემთა ბაზების სისტემები, რაც უფრო ფართო მონაცემების შეგროვების საშუალებას იძლევა, ვიდრე მხოლოდ უწყების შიდა საჭიროებების მიზნით ინფორმაციის შეგროვებაა.[305]

სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას თან უნდა ახლდეს მონაცემთა ანალიზი და გატარებული პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება. კონვენციის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, რომ „მხარს დაუჭერენ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობასთან დაკავშირებულ კვლევას, რათა შესწავლილი იყოს მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზები და შედეგები, შემთხვევათა რაოდენობა და გამამტყუნებელი განაჩენის წილობრივი მაჩვენებელი, ასევე, ამ კონვენციის განსახორციელებლად მიღებული ზომების ეფექტიანობა“.[306] მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „მხარეები ცდილობენ, რეგულარულად ჩაატარონ მოსახლეობის გამოკითხვა, რათა შეაფასონ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის გავრცელება და ტენდენციები“. კონვენციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი მოიცავს ამ ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.[307]

2022 წელს GREVIO-მ საბაზისო შეფასების ანგარიშში საქართველოს მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლოს შორის მონაცემთა შეგროვების ჰარმონიზებისა და ანონიმური ფორმით მათი სისტემატური გამოქვეყნებისკენ.[308] ასევე, 2021 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა იდენტობის ჯგუფის საქმეების აღსრულების ზედამხედველობის ფარგლებში სახელმწიფოს მოუწოდა, გაეუმჯობესებინა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ მონაცემთა შეგროვების სისტემა იმგვარად, რომ მასში ასახულიყო დამატებითი სტატისტიკური მონაცემები, მაგალითად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შეტყობინების ან ინციდენტების რაოდენობა, ასევე, ანალიტიკური ნაწილი, რომელშიც ახსნილი იქნებოდა დინამიკა და ტენდენციები.[309]

---

[302] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 74.

[303] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 11.

[304] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 75.

[305] იქვე, პარ. 76.

[306] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 11, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“.

[307] იქვე, მუხლი 11, პუნქტი 4.

[308] GREVIO, (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, პარ. 75, https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [05.05.2024].

[309] 1419th meeting, 30 November – 2 December 2021 (DH), H46-14 Identoba and Others group v. Georgia (Application No. 73235/12), Supervision of the execution of the European Court's judgments, CM/Del/Dec(2021)1419/H46-14, https://hudoc.exec.coe.int/eng#{%22execidentifier%22:[%22CM/Del/Dec(2021)1419/H46-14E%22]} [05.05.2024].

2023 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, საქართველოს პროკურატურას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის გაფორმდა **თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ**.[310] აღსანიშნავია, რომ, მემორანდუმის მიხედვით, შეგროვებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი მხარეების უფლებამოსილებაა და არა ვალდებულება: „მემორანდუმის მონაწილე მხარეები უფლებამოსილნი არიან, მათ მიერ შეთანხმებული პერიოდულობით გააანალიზონ გამოქვეყნებული ანგარიშების მონაცემები და საქსტატს მიაწოდონ სტატისტიკური მონაცემების ანალიზის ერთიანი დოკუმენტი“.[311]

მემორანდუმის დანართი განსაზღვრავს მონაცემებს, რომლებიც მემორანდუმის მონაწილე უწყებებმა უნდა ასახონ თავიანთ სტატისტიკებში. მემორანდუმის მიხედვით, ყოველწლიური ერთიანი სტატისტიკის გამოქვეყნებას, უწყებების მიერ მიწოდებული მონაცემების საფუძველზე, უზრუნველყოფს საქსტატი.[312] **საქსტატის ვებგვერდზე გამოქვეყნებული 2023 წლის ერთიანი ანგარიში არ შეიცავს ანალიტიკურ ნაწილს, რომელშიც გაანალიზებული იქნება ძალადობის გამომწვევი ძირითადი მიზეზები, შედეგები, ტენდენციები და შეფასებული იქნება სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა**.[313]

საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე ქვეყნდება შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების ანალიზი, რომელშიც, სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად, ასახულია მოკლე ინფორმაცია ტენდენციების, გამოწვევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.[314] პროკურატურის ვებგვერდზე ასევე ქვეყნდება სტატისტიკური მონაცემები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის არსებობის შესახებ.[315] გარდა ამისა, ვებგვერდზე ატვირთულია „ფემიციდის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტების შესახებ მონაცემები 2014-2022 წლებისთვის“.[316]

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ 2023 წლის სტატისტიკაში ინტეგრირებულია მონაცემები დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე (მათ შორის, გენდერის მოტივით).[317]

---

[310] საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახური, სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ, 2023, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/680/diskriminatsiis-nishnit-sheutsqnareblobis-motivit-chadenili-danashaulis-statistika [05.05.2024].

[311] იქვე, 3.5.

[312] იხ. საქსტატის ვებგვერდი, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/680/diskriminatsiis-nishnit-sheutsqnareblobis-motivit-chadenili-danashaulis-statistika [05.05.2024].

[313] დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2023, https://www.geostat.ge/media/60697/diskriminacia_2023.pdf [05.05.2024].

[314] პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების ანალიზი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, 2023, https://pog.gov.ge/page/default/sheuwynareblobis-motiviT-chadenili-danashaulebi [05.05.2024].

[315] ბოლო ასეთი დოკუმენტი დათარიღებულია 2022 წლით. იხ. საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, გენდერული დისკრიმინაციის მოტივი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში, 2022, https://pog.gov.ge/page/default/qalTa-mimarT-genderuli-Zaladoba-da-ojaxshi-Zaladoba [05.05.2024].

[316] საქართველოს გენერალური პროკურატურა, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, ფემიციდის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, 2014-2022, https://pog.gov.ge/page/default/qalTa-mimarT-genderuli-Zaladoba-da-ojaxshi-Zaladoba [05.05.2024].

[317] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის სტატისტიკა, https://sis.gov.ge/Statistics-and-reports?rec_id=45 [05.05.2024].

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტრო სტატისტიკურ მონაცემებს ამუშავებს კვარტალურად და წლიურად შემდეგი პარამეტრების მიხედვით: მსხვერპლის და მოძალადის სქესი და ასაკი; ძალადობის ფორმა; გეოგრაფიული მდებარეობა.[318] ვებგვერდზე კი ქვეყნდება ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების სტატისტიკა, რომელშიც ინფორმაცია დიფერენცირებულია რეგიონების და ძალადობის ფორმების მიხედვით.[319] ასევე, ქვეყნდება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების სტატისტიკა, სადაც მონაცემები დიფერენცირებულია მსხვერპლის და მოძალადის სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.[320] სტატისტიკებს არ ახლავს ანალიტიკური ნაწილი, არ იძლევა ინფორმაციას ტენდენციებისა და გამოწვევების თაობაზე, ასევე, არ მოიცავს ცნობებს ინტერსექციური ძალადობის შესახებ.

რაც შეეხება მოსახლეობის გამოკითხვას, საქსტატმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად, 2022 წელს გამოსცა ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა.[321] ეს კვლევა მომზადდა 2017 წელსაც.[322]

2022 წლის ეროვნული კვლევის მიგნებების მიხედვით[323]

საერთო ჯამში, 15-69 წლის ასაკის ქალების:[324]

- 50.1%-ს გამოუცდია ძალადობის შვიდი ფორმიდან[325] ერთი მაინც.

ბოლო 12 თვის განმავლობაში, ქალების:[326]

- 9.3%-ს გამოუცდია პარტნიორის მხრიდან ძალადობა;
- 0.5%-ს გამოუცდია არაპარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობა;
- 9.7%-ს გამოუცდია სექსუალური შევიწროება;
- 1.6%-ს გამოუცდია ადევნება.

[318] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 6 მარტის წერილი MIA 2 24 00692617.

[319] იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი, ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკა (2023 წელი), https://info.police.ge/page?id=841&parent_id=785.

[320] იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი, ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, https://info.police.ge/page?id=786&parent_id=102 [05.05.2024].

[321] საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2022, https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf [05.05.2024].

[322] საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017, https://gender.geostat.ge/gender/img/publicationspdf/National%20VAW%20Study%20Report%20Geo.pdf [05.05.2024].

[323] ვინაიდან 2017 და 2022 წლების კვლევებში განსხვავებული მეთოდოლოგია იყო გამოყენებული, ძალადობის გავრცელების სიხშირის მაჩვენებლები არ არის შედარებადი, იხ. საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2022, 14, https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf [05.05.2024].

[324] საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2022, 65-66, https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf [05.05.2024].

[325] კვლევის მიხედვით, ძალადობის ფორმები მოიცავს: (1) ბავშვობაში განცდილ სექსუალურ ძალადობას (18 წლამდე); (2) ბავშვობაში განცდილ ფიზიკურ ან/ და ემოციურ ძალადობას (18 წლამდე); (3) პარტნიორის მხრიდან ძალადობას; (4) ფიზიკურ ძალადობას არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის ასაკის შემდეგ); (5) სექსუალურ ძალადობას არაპარტნიორის მხრიდან (15 წლის ასაკის შემდეგ); (6) სექსუალურ შევიწროებას; (7) ადევნებას. იხ. საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2022, 355, https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf [05.05.2024].

[326] საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2022, 65-66, https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf [05.05.2024].

რეკომენდაციები

საქართველოს უზენაეს სასამართლოს, საქართველოს პროკურატურას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს და სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს:

- **დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის შესახებ ერთიან ანგარიშს დაერთოს ანალიტიკური ნაწილი,** რომელშიც შეფასდება ძირითადი ტენდენციები, არსებული სტატისტიკის მიზეზები, გამოწვევები და სამომავლო მიზნები. ასეთი ანალიტიკური დოკუმენტის შექმნა და საქსტატისთვის გაზიარება განისაზღვროს, როგორც დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ თანამშრომლობის მემორანდუმის მხარეთა ვალდებულება და არა - უფლებამოსილება.

3. პოლიტიკის დოკუმენტები

პოლიტიკის დაგეგმვა, მისი განხორციელების კოორდინაცია, მონიტორინგი და შეფასება საჯარო მმართველობის ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია.[327] პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ეროვნული ან სექტორული პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრატეგიულ ან სამოქმედო გეგმას, რომელშიც მოცემულია პრობლემის გადაწყვეტისა და სფეროს განვითარების გზები.[328] საქართველოს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემა ზოგადი მახასიათებლებით პოლიტიკის 3 სახის დოკუმენტის მომზადებას ითვალისწინებს. ესენია: კონცეფცია, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.[329]

კონცეფცია

ზოგადი სახის ეროვნული ან სექტორული[330] პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიის შემუშავების საჭიროებას, ხედვას, ძირითად პრინციპებსა და პრიორიტეტებს.[331] მისი მომზადება არასავალდებულოა.[332]

სტრატეგია

პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს ეროვნული ან სექტორული მიმართულებით იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად, აყალიბებს მიდგომებს დასახული მიზნების/ამოცანების განსახორციელებლად და ადგენს შედეგების ინდიკატორებს პროგრესის შესაფასებლად.[333]

კონკრეტულ სფეროში მთავრობის პოლიტიკა, ძირითადად, წარმოდგენილია სტრატეგიის დოკუმენტში.[334] იგი მიიღება შესაბამისი კონცეფციის საფუძველზე,

---

[327] პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული სახელმძღვანელო, 4.

[328] პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული წესი, მე-2 მუხლი, ქვეპუნქტი „ა“.

[329] პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული სახელმძღვანელო, 4.

[330] პოლიტიკის დოკუმენტი შეიძლება იყოს ეროვნული, სექტორული ან ინსტიტუციური. ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტი არის უმაღლესი იერარქიის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ყველა სფეროში ქვეყნის განვითარების ძირითად პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს; სექტორული პოლიტიკის დოკუმენტი არის იერარქიულად ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტების ქვემდგომი დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტულ სფერო(ებ)ში არსებული გამოწვევების დაძლევასა და მის განვითარებას ეროვნული პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად; ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტი არის იერარქიულად ეროვნული და სექტორული პოლიტიკის დოკუმენტების ქვემდგომი დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს ინსტიტუციის გაძლიერებას შესაბამის სფერო(ებ)ში არსებული გამოწვევების დაძლევისა და მისი განვითარების მიზნით. იხ. პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული წესი, მუხლი 2, ქვეპუნქტები „კ - მ“.

[331] პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული წესი, მუხლი 2, ქვეპუნქტი „ბ“.

[332] პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული სახელმძღვანელო, 4.

[333] პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული წესი, მუხლი 2, ქვეპუნქტი „გ“.

[334] პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების

ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუმცა, უფრო ხშირად - ასეთი კონცეფციის გარეშე.[335]

სამოქმედო გეგმა

პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული ან სექტორული პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კონკრეტულ აქტივობებს, მათი შედეგების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ და პარტნიორ უწყებებს, შესრულების ვადებს, ბიუჯეტსა და დაფინანსების წყაროს.[336]

მისი ფუნქციაა სტრატეგიაში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კონკრეტული აქტივობების გაწერა.[337] სტრატეგიას აუცილებლად უნდა ახლდეს შესაბამისი სამოქმედო გეგმა, თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება მიღებული იყოს სტრატეგიის არსებობის გარეშეც.[338]

3.1. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა

2022 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის №509 დადგენილებით დამტკიცდა **ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა.** მისი მოქმედების პერიოდი 2018-2020 წლებით იყო განსაზღვრული, თუმცა ახალი კორონა ვირუსის პანდემიის გამო, 2021 წლისთვის მისი განახლება შეფერხდა.[339]

სამოქმედო გეგმით განისაზღვრა აქტივობები შემდეგი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად:[340]

მიზანი 1. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრების ხელშეწყობა და პრევენციის მექანიზმების გაუმჯობესება

ამოცანა 1.1. ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებებზე საზოგადოების ინფორმირების გაზრდა, ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექცია

შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული სახელმძღვანელო, 5.

[335] იქვე.

[336] პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული წესი, მუხლი 2, ქვეპუნქტი „დ“.

[337] პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული სახელმძღვანელო, 5-6.

[338] იქვე.

[339] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის №509 დადგენილებით დამტკიცებული „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის“ სიტუაციის ანალიზი.

[340] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის №509 დადგენილებით დამტკიცებული „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა“.

მიზანი 2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის (დაზარალებულებისთვის) მხარდაჭერის ხარისხიან მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანა 2.1. მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა/გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით

ამოცანა 2.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებების გაზრდის ხელშეწყობა

ამოცანა 2.3. მომსახურების მიმწოდებელთა პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება ტრენინგებისა და მომზადება/გადამზადების გზით

მიზანი 3. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფა

ამოცანა 3.1. რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაზრდა ტრენინგებისა და სამუშაო ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზით

მიზანი 4. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის/პრევენციის და მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდა ინტეგრირებული და კოორდინირებული მიდგომების გაძლიერებით

ამოცანა 4.1. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის/აღმოფხვრის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაღრმავება

ამოცანა 4.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა

სამოქმედო გეგმის 1.1.1. აქტივობა შეეხება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას და დამტკიცებას. ამ სამოქმედო გეგმის შემუშავება (მოიცავს 2024-2025 წლების პერიოდს) ამჟამად მიმდინარებს.

სამოქმედო გეგმაში მოცემული ზოგიერთი აქტივობის ინდიკატორი ზედმეტად ზოგადი და რთულად გაზომვადია, აქედან გამომდინარე, ვერ პასუხობს ე.წ. SMART სტანდარტს, რომლის მიხედვითაც, თითოეული ინდიკატორი უნდა იყოს კონკრეტული (specific), გაზომვადი (measurable), მიღწევადი (achievable), შესაბამისი (relevant), დროში გაწერილი (time-bound).[341] მაგალითად, 1.1.3. აქტივობის[342] ინდიკატორია „გადახედილი და გაუმჯობესებული ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამები“. ინდიკატორის ამგვარად ფორმულირება გაურკვევლად ტოვებს, კონკრეტულად რა მიიჩნევა „გაუმჯობესებად“ და როგორ უნდა გაიზომოს, შესრულდა თუ არა, ან რა მოცულობით შესრულდა აქტივობა.

[341] პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული სახელმძღვანელო, 25; ასევე, დანართი 2, 5-8.

[342] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის აქტივობა 1.1.3. – „მოძალადე მსჯავრდებულებისთვის მოქმედი ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამების გადახედვა, შემდგომი დახვეწა და დანერგვა“.

ასევე, მაგალითად, 1.1.4 აქტივობის[343] ინდიკატორი („საგანგებო სიტუაციებში მისაწოდებლად მოდიფიცირებული ქცევის კორექციის პროგრამა/პროგრამები“) არ შეიცავს საბაზისო და სამიზნე მონაცემებს და ბუნდოვანია, კონკრეტულად რა შედეგი ჩაითვლება აქტივობის ნაწილობრივ ან სრულად შესრულებად.

აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში ინტერსექციურ ძალადობასთან ბრძოლის კუთხით აქტივობები მოცემულია 4.1. ამოცანაში - „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის/აღმოფხვრის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაღრმავება“ - და ეხება ხანდაზმული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესებას.[344] სამოქმედო გეგმის სხვა მიზნებში გათვალისწინებული აქტივობები არ მოიცავს ინტერსექციური ძალადობის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებებს (მაგალითად, არადომინანტური ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ხანდაზმული პირების, ლგბტქი+ ადამიანების მიმართ გენდერულად მოტივირებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები).

ამ სამოქმედო გეგმით განსაზღვრულმა სახელმწიფო უწყებებმა/დაწესებულებებმა გეგმის განხორციელების შესახებ ანგარიშები წელიწადში ერთხელ უნდა წარუდგინონ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას, რომელიც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს საშუალებით უზრუნველყოფს გეგმის შესრულების მონიტორინგს.[345] საქართველოს მთავრობის 629-ე დადგენილების მიხედვით, მაკოორდინირებელი ორგანო ამტკიცებს მონიტორინგის ანგარიშს და აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე[346] პოლიტიკის დოკუმენტის ერთწლიანი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში.[347] თუმცა, **ადამიანის უფლებათა სამდივნოს ვებგვერდზე ამ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში გამოქვეყნებული არ არის**.[348]

3.2. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022-2030 წლებისთვის) და სამოქმედო გეგმა (2024-2026 წლებისთვის)

საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 23 მარტის დადგენილებით დაამტკიცა **საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022-2030 წლებისთვის),** რომელიც ქმნის ერთიან ჩარჩოს ქვეყანაში ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ეროვნული სისტემისა და ინსტიტუციური დემოკრატიის გასაძლიერებლად.[349] სტრატეგიის მე-3 პრიორიტეტით (თანასწორობის

[343] იქვე, აქტივობა 1.1.4. – „ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამ(ებ)ის მოდიფიცირება და საგანგებო სიტუაციებისას, მათ შორის, პანდემიის პირობებში, მოძალადე პირებისთვის მიწოდება“.

[344] იქვე, მიზანი 4.1.

[345] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის №509 დადგენილება, მუხლი 3.

[346] პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული წესი, მუხლი 11, პუნქტი 5.

[347] იქვე, მუხლი 11, პუნქტი 6.

[348] იხ. ადამიანის უფლებათა სამდივნოს ვებგვერდი, https://myrights.gov.ge/ka/reports/progress%20reports/ [05.05.2024].

[349] საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 23 მარტის დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022–2030 წლებისთვის)“, 2.

კონსტიტუციური გარანტიების ასახვა სახელმწიფო პოლიტიკაში, მათი დანერგვა პრაქტიკაში, ადამიანის უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობა დისკრიმინაციის გარეშე) გათვალისწინებული ერთ-ერთი მიზანია გენდერული თანასწორობის პრინციპის გაძლიერება ცხოვრების ყველა სფეროში.[350] ამ მიზნის მისაღწევად განსაზღვრული ამოცანების დიდი ნაწილი სწორედ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას შეეხება.

მიზანი

გენდერული თანასწორობის პრინციპის გაძლიერება ცხოვრების ყველა სფეროში, სამართლებრივი გარანტიების მიხედვით თანასწორობის უზრუნველსაყოფად და ამავე პრინციპის ფაქტობრივი რეალიზაციის ხელშესაწყობად; თანაბარი შესაძლებლობებისა და ფაქტობრივი თანასწორობის უზრუნველსაყოფად სისტემური და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესება და ქალებისა და გოგონების გაძლიერება.

ამოცანა

ა) გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი სახელმწიფო მექანიზმების გაძლიერება, მათ შორის, კოორდინაციის გაუმჯობესებით;

ბ) ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერება, მათ შორის, თანასწორი გარემოს განმტკიცების გზით;

გ) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების, მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვის და პრევენციული მექანიზმების გაძლიერება;

დ) გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება; მსხვერპლთა დაცვის და რეაბილიტაციის მექანიზმების გაძლიერება და თავშესაფრის ხელმისაწვდომობა;

ე) ქალთა მონაწილეობის გაზრდა მშვიდობის და უსაფრთხოების დამკვიდრების პოლიტიკის განხორციელებაში;

ვ) ქალებისა და გოგონების მიმართ საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა და ბავშვთან ქორწინების შემთხვევებზე პრევენციული და რეაგირების ზომების გაძლიერება;

ზ) საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს **მთავრობის ადმინისტრაციას არ გამოუქვეყნებია ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის სიტუაციური ანალიზი, რომელსაც სტრატეგიის დოკუმენტი დაეფუძნა.[351] ასევე, სტრატეგიაში არ არის დამატებით მითითებული, მისი შემუშავების პროცესში რამდენად იყო გათვალისწინებული გენდერული და სოციალური ინკლუზიის პერსპექტივები.[352]**

2023 წლის 28 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ N528 დადგენილებით დაამტკიცა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც ამ ამოცანების შესაბამისი აქტივობებია გაწერილი. აღსანიშნავია, რომ **ამ სამოქმედო გეგმაშიც შეინიშნება ბუნდოვანი და ზოგადი ინდიკატორების არსებობის პრობლემა, რაც SMART სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს**.[353]

[350] იქვე, 44.

[351] საია, 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მონიტორინგის დოკუმენტი შრომით და გარემოსდაცვით უფლებებთან დაკავშირებით, 2023, 11, https://shorturl.at/6jYkO [05.05.2024].

[352] იქვე.

[353] მაგ. იხ. სამოქმედო გეგმის 21.3.7. აქტივობის შედეგის ინდიკატორი - „დაზარალებულთა უფლებების

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების და დამტკიცების პროცესი ინკლუზიურობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჯეროვანი ჩართულობის გარეშე წარიმართა. საქართველოს მთავრობამ გარე დაინტერესებული მხარეებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიაზე მოსაზრებების გაგზავნის ვადად 2 კვირა განსაზღვრა და დოკუმენტი ამ ვადის გასვლისთანავე, სათანადო განხილვების გარეშე, 2022 წლის 5 სექტემბერს დაამტკიცა.[354]

სტრატეგიის დოკუმენტის მიღების შემდგომ საქართველოს მთავრობამ მუშაობა დაიწყო ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმაზე. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტების ინიციირების გამო, უფლებადამცველების მიმართ დამაკნინებელი, სიძულვილის ენის გამოყენების და სამოქალაქო საზოგადოებისთვის სივრცის შევიწროების მცდელობის ფონზე მიმდინარეობდა.[355] ეს კი, მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან გამოხატული სურვილისა, სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით წერილობითი მოსაზრებები მოემზადებინათ და კოორდინირებულ ფორმატში წარმოედგინათ, ამ პროცესების პარალელურ თანაარსებობას შეუძლებელს ხდიდა.[356]

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი არაინკლუზიურად წარიმართა ამ კანონპროექტის გაწვევის შემდგომაც. მაგალითად, 2023 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო დოკუმენტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გაუზიარა, 2023 წლის 1-ელ ნოემბერს კი შეხვედრაზე მიიწვია. შედეგად, არასამთავრობო ორგანიზაციებს არ მიეცათ გონივრული ვადა, რომ დოკუმენტს სრულყოფილად გასცნობოდნენ და შეხვედრაზე საკუთარი მოსაზრებები წარმოედგინათ.[357]

2023 წლის დეკემბერში საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა იმ დათქმით, რომ ქვეყანა ევროპული კომისიის რეკომენდაციების შესაბამის ნაბიჯებს გადადგამდა.[358] **ევროპული კომისიის მიერ განსაზღვრული 9 რეკომენდაციიდან მე-9** მოიცავს „ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებას, მათ შორის, ადამიანის უფლებების ამბიციური სტრატეგიის მიღებით, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფით", ასევე, „სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვას, კანონშემოქმედებით და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში მათი ჩართულობისა და თავისუფლად მუშაობის უზრუნველყოფას".[359]

ეფექტიანი დაცვის მიზნით, ოჯახური და სქესობრივი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა გაზრდილია". ამ ინდიკატორის მიხედვით, ბუნდოვანია, რა მოცულობით უნდა გაიზარდოს კოორდინატორების ჩართულობა, რათა აქტივობა ნაწილობრივ ან სრულად შესრულებულად ჩაითვალოს (რა არის სამიზნე მაჩვენებელი); 21.3.11. აქტივობის შედეგის ინდიკატორი - „ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახში ძალადობის და სქესობრივი დანაშაულების თემატიკაზე მომუშავე უწყებების ანდა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, მულტიუწყებრივი შეხვედრები ჩატარებულია". არ ჩანს სამიზნე მაჩვენებელი, რამდენი შეხვედრის ჩატარება ჩაითვლება აქტივობის სრულად შესრულებად. ასევე, გაუგებარია, რატომ არის ინდიკატორი ფორმულირებული ისე, რომ იგი შეიძლება შესრულებულად ჩაითვალოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საერთოდ გამოთიშულები იქნებიან ამ შეხვედრებიდან.

[354] საია, 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მონიტორინგის დოკუმენტი შრომით და გარემოსდაცვით უფლებებთან დაკავშირებით, 2023, 10, https://shorturl.at/QedRD [05.05.2024].

[355] იქვე, 13.

[356] იქვე.

[357] იქვე, 16.

[358] European Council conclusions, Brussels, 15 December 2023, EUCO 20/23, https://www.consilium.europa.eu/media/68967/europeancouncilconclusions-14-15-12-2023-en.pdf [05.05.2024].

[359] COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN

2023 წლის 6-7 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ, ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის განხილვის მიზნით, საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან შეხვედრები გამართა,[360] რასაც უნდა მოჰყოლოდა დოკუმენტზე შემდგომი მსჯელობა და მათთან თანამშრომლობა. თუმცა, 2023 წლის 28 დეკემბერს მთავრობამ სამოქმედო გეგმა მისი შემუშავების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჯეროვანი ჩართულობისა და მათი მოსაზრებების გათვალისწინების გარეშე მიიღო.

სამოქმედო გეგმაში გენდერულად მოტივირებულ ძალადობასთან დაკავშირებული ცალკეული აქტივობებით განსაზღვრულია ისეთი ღონისძიებები, რომლებიც კონკრეტულ მოწყვლად ჯგუფებს მიემართება.[361] მიუხედავად ამისა, არც სტრატეგიაში და არც სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული არ არის ლგბტქი+ ადამიანების უფლებების დაცვის საკითხები, რაც კრიტიკულადაა შეფასებული სამოქალაქო საზოგადოებისა[362] და საერთაშორისო ორგანიზაციების[363] მიერ. გენდერულად მოტივირებული ძალადობის პრობლემა მწვავედ დგას ლგბტქი+ თემის წევრების წინაშე. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით, ამ თემის წარმომადგენლები ხშირად განიცდიან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ოჯახში, როგორც ბავშვობის, ისე ზრდასრულ ასაკში.[364] ამ მხრივ, განსაკუთრებული საშიშროების წინაშე არიან ტრანსგენდერი ქალები, არა მხოლოდ საკუთარ ოჯახში, არამედ საზოგადოებაშიც.[365] მათ თან სდევთ შიში, რომ სხვა ადამიანები მოექცევიან როგორც სექსუალურ ობიექტებს და ფიზიკურად შეეხებიან საზოგადოებრივ ადგილებში - ქუჩაში, ტრანსპორტში.[366] აქედან გამომდინარე, **პოლიტიკის დოკუმენტებში ლგბტქი+ თემის უფლებრივი მდგომარეობის უგულებელყოფა პრობლემურია, მათ შორის, გენდერულად მოტივირებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში. საგანგაშოა, რომ თანასწორობის უზრუნველყოფისკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავებისა და გატარების ნაცვლად, მმართველი გუნდი ავტორიტარული**

ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS, COM(2023) 690 final, https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/COM_2023_690%20Communication%20on%20EU%20Enlargement%20Policy_and_Annex.pdf?fbclid=IwAR01ZKjWxItp6a9KDGKeQWqu3sD64HdOgcvIIAWyuuTBZEEI95vneLD0MwU [05.05.2024].

[360] ევროკომისიის 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომუნიკაციაში საქართველოსთვის განსაზღვრული ნაბიჯების განსახორციელებელი ღონისძიებები, 2023 წლის 27 ნოემბერს დამტკიცდა ევროინტეგრაციის სამთავრობო კომისიის მიერ, https://www.gov.ge/files/288_86884_123528_ActionPlanforEUs9steps.pdf [05.05.2024].

[361] მაგ. აქტივობა 2.4.1. „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეების, ამ დანაშაულთან ბრძოლისა და მისგან თავის დაცვის საშუალებების, არსებული მომსახურებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, რეგიონებში ისეთ სამიზნე ჯგუფებთან, როგორიცაა **იძულებით გადაადგილებული ქალები, შშმ ქალები, სოფლად მცხოვრები ქალები და ბავშვები**"; აქტივობა 21.7.1. „ქალთა მიმართ ძალადობის ფორმებზე ცნობიერების ამაღლების შეხვედრების განხორციელება ქალებისა და გოგონების ყველა ჯგუფის, განსაკუთრებით, **ეროვნული ან/და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისა და შშმ ქალებისთვის**"; აქტივობა 22.5.2. „მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობის ზრდა შშმ პირთა, მათ შორის, **შშმ ქალთა და არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში**".

[362] საია, 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მონიტორინგის დოკუმენტი შრომით და გარემოსდაცვით უფლებებთან დაკავშირებით, 2023, 10, https://shorturl.at/lPhcp [05.05.2024].

[363] Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy, SWD(2023) 697 final, 28-29.

[364] საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2022, 70, https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf [05.05.2024].

[365] იქვე, 71.

[366] იქვე.

რეჟიმებისთვის დამახასიათებელი, დისკრიმინაციული და გენდერულად მოტივირებული ძალადობის წამახალისებელი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებას ცდილობს (ამ საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით იხილეთ 1.6. ქვეთავი).

3.3. პოლიტიკის შემუშავების პროცესი ადგილობრივ დონეზე

საკრებულო მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო.[367]

სახალხო დამცველის მიერ 2023 წელს გამოქვეყნებული სპეციალური ანგარიშის მიხედვით, გენდერული თანასწორობის საბჭო ფორმალურად ყველა მუნიციპალიტეტში მოქმედებს.[368] სპეციალური ანგარიშის მიხედვით, ერთადერთი გამონაკლისი იყო სენაკის მუნიციპალიტეტი, რომლის ტერიტორიაზეც, კვლევის დროისთვის, საბჭო არ ფუნქციონირებდა. თუმცა, 2022 წლის დეკემბერში სენაკის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ფუნქციონირება განაახლა.[369]

სახალხო დამცველის თანახმად, გენდერული თანასწორობის საბჭოების ეფექტიანი ფუნქციონირების მიმართულებით არაერთი ბარიერი არსებობს. მათ შორისაა, გადაწყვეტილების მიმღებთა და აღმსრულებელთა მხრიდან საკითხის სიღრმისეული ცოდნა და ექსპერტიზა, ფინანსური და ადამიანური რესურსები, მუნიციპალიტეტების გადაწყვეტილების მიმღები პირების გენდერული თანასწორობის საკითხების მიმართ სენსიტიურობა, საბჭოს წევრებისა და მუნიციპალიტეტების თანამშრომლების სისტემური და რეგულარული გადამზადების აუცილებლობა, მათ შორის, გენდერულ თანასწორობასთან, ქალთა უფლებებთან, გენდერულ მეინსტრიმინგთან დაკავშირებით.[370]

პროექტის „საკრებულოების საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება ბათუმის, ჩოხატაურის, ლენტეხის, მესტიის, ოზურგეთის, ტყიბულისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში“[371] ფარგლებში, საიამ შეაფასა ამ **მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოების** მუშაობა. **მათ არ გააჩნდათ ზედამხედველობის განხორციელებისთვის საჭირო ისეთი საკონტროლო მექანიზმი, როგორიცაა თემატური მოკვლევის ჩატარების შესაძლებლობა.** აღსანიშნავია, რომ საიას რეკომენდაციის საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეცვალა საბჭოს დებულება და მასში თემატური მოკვლევის შესაძლებლობა გაითვალისწინა.[372] ჩამოთვლილი 7 მუნიციპალიტეტიდან 4-ში (ზუგდიდი, ოზურგეთი, ტყიბული, ბათუმი) გამოიკვეთა, რომ საბჭოს სხდომებს წევრთა დიდი ნაწილი არ ეს-

[367] საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 13, პუნქტი 1[1].

[368] საქართველოს სახალხო დამცველი, მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება, 2022, 19, https://ombudsman.ge/res/docs/2023041823365399348.pdf [15.07.2024].

[369] იქვე.

[370] იქვე, 7-8

[371] საკრებულოების საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება ბათუმის, ჩოხატაურის, ლენტეხის, მესტიის, ოზურგეთის, ტყიბულისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში, https://www.gyla.ge/ge/post/sakrebuloebis-sazedamkhedvelo-shesadzleblobebis-gadliereba-batumis-chokhatauris-lentekhis-mestiis-ozurgetis-tyibulisa-da-zugdidis-municipalitetebshi#sthash.gFtpUhA0.sbMe31vO.dpbs [15.07.2024].

[372] „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 მარტის №37 დადგენილება.

წრებოდა, რაც ამ საკითხების მიმართ წევრთა ინტერესის ნაკლებობაზე მიუთითებს. ასევე, ტყიბულში, ჩოხატაურსა და ბათუმში იკვეთება მერიაზე ზედამხედველობის სუსტი პრაქტიკა. ლენტეხისა და მესტიის შემთხვევაში, საიასთვის საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების მიუწოდებლობის გამო, პრაქტიკის შეფასება ვერ მოხერხდა.

სახალხო დამცველის თანახმად, გამოწვევებთან არის დაკავშირებული საქმიანობის ღიაობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა - არაერთ ლოკაციაზე მცხოვრებმა ქალებმა აღნიშნეს, რომ საბჭოს შესახებ არ სმენიათ ან/და მათთან არასოდეს უთანამშრომლიათ.[373]

მიუხედავად მუნიციპალური სამოქმედო გეგმების ფორმალურად არსებობისა, წლების განმავლობაში პრობლემად რჩება მათი ზოგადი და ბლანკეტური ხასიათი, სხვადასხვა საჭიროების მქონე ჯგუფების ამ ინსტრუმენტების მიღმა დატოვება, ჯვარედინი დისკრიმინაციის საკითხების გაუთვალისწინებლობა, საკმარისი ბიუჯეტის, ასევე, ადამიანური რესურსის ან/და ექსპერტიზის ნაკლებობა.[374] მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასევე არსებული პოლიტიკის დოკუმენტების შეფასება და მონიტორინგი, ახალი პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნების გარეშე. სახალხო დამცველის თანახმად, პოლიტიკის შემუშავების დროს მუნიციპალიტეტები სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობიან. გამოწვევაა კვლევების განხორციელება და სტატისტიკური მონაცემების დამუშავება.[375]

მუნიციპალიტეტები გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასა და პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საბჭოსთან ურთიერთობის ფარგლებში, ძირითადად, სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში, ასევე, ტრენინგების/გადამზადების, ინფორმაციის გამოთხოვნის/გაზიარების მიმართულებით.[376] გენდერული თანასწორობის საბჭოების მნიშვნელოვან ნაწილს გაცილებით აქტიური თანამშრომლობა პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საბჭოსთან აქვს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ათეა), რომელიც მუნიციპალიტეტების ქოლგა ორგანიზაციაა, მონაწილეობს უწყებათაშორისი კომისიის ფორმატში, რაც, თავის მხრივ, კომისიის მუშაობაში მუნიციპალიტეტების ჩართულობასაც გულისხმობს.[377]

აღსანიშნავია, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზედამხედველობისა და საბჭოს წევრების სხდომებზე მონაწილეობის კუთხით გამოწვევა არსებობს არა მხოლოდ მუნიციპალურ, არამედ ცენტრალური ხელისუფლების დონეზეც: „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასებით, პარლამენტის გენდერული მუდმივმოქმედი საბჭოს ზედამხედველობა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებზე სუსტია, მთავრობა დადგენილ ვადაში არ წარუდგენს საბჭოს ანგარიშებს, ასევე, ანგარიშების მოსმენის შემდეგ საბჭო არ გასცემს რეკომენდაციებს; საბჭო დროულად და ეფექტიანად არ ახორციელებს მის მიერ შექმნილი თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს; წევრები ხშირად არ ესწრებიან საბჭოს სხდომებს.[378]

---

[373] საქართველოს სახალხო დამცველი, მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება, 2022, 7-8, https://ombudsman.ge/res/docs/2023041823365399348.pdf [15.07.2024].
[374] იქვე, 28.
[375] იქვე, 8.
[376] იქვე, 25.
[377] იქვე, 26.
[378] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება, 2023, 5, https://transparency.ge/ge/post/genderuli-tanascorobis-sabchos-sakmianobis-shepaseba-2 [15.07.2024].

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- **პოლიტიკის დოკუმენტები უნდა დაეფუძნოს სიტუაციის შეფასების დოკუმენტს,** რომელიც საჯაროდ იქნება გამოქვეყნებული, მთავრობის 629-ე დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
- პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს **გენდერული და სოციალური ინკლუზიის პერსპექტივები.**
- პოლიტიკის შემუშავების პროცესში **უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების არსებითი ჩართულობა.**
- სამოქმედო გეგმების აქტივობის შედეგის ინდიკატორები ჩამოყალიბდეს ისე, რომ **აკმაყოფილებდეს მთავრობის 629-ე დადგენილების დანართებით განსაზღვრულ SMART სტანდარტს.**
- **პოლიტიკის დოკუმენტები უნდა ითვალისწინებდეს ლგბტქი+ პირთა უფლებების დაცვის საკითხებს,** მათ შორის, გენდერულად მოტივირებული ძალადობისგან მათი დაცვის მიზნით.
- **საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს პოლიტიკის დოკუმენტების მონიტორინგის ანგარიშები,** მთავრობის 629-ე დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტებს:

- უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დაფუძნება მტკიცებულებებზე, ადგილობრივ დონეზე ჩატარებულ კვლევებზე და წინამორბედი პოლიტიკის დოკუმენტების შედეგების ანალიზზე.
- უზრუნველყოს მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებაში.
- უწყვეტად იზრუნოს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების გადამზადებასა და ცნობიერების ამაღლებაზე.
- უზრუნველყოს, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს სათანადო ზედამხედველობის განსახორციელებლად ჰქონდეს საკონტროლო მექანიზმები, მათ შორის, თემატური მოკვლევის ჩატარების შესაძლებლობა.

მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებს:

- საბჭოს წევრები დაესწრნენ სხდომებს.
- უზრუნველყოფილი იყოს სხდომის ოქმების საჯაროობა და მისაწვდომობა.

პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საბჭოს:

- საბჭოს წევრები დაესწრნენ სხდომებს.
- უზრუნველყოს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ზედამხედველობის მექანიზმების გამოყენება, მათ შორის, რეკომენდაციების გაცემის და მათი შესრულების მონიტორინგის გზით.

4. გენდერულად მოტივირებული ძალადობის პრევენცია

4.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

4.1.1. სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის სივრცის შევიწროება

სტამბოლის კონვენციის მე-13 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები ხელს უწყობენ ან ატარებენ საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიებსა თუ პროგრამებს რეგულარულად და ყველა დონეზე, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დამცველ სახელმწიფო დაწესებულებებსა და თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ორგანოებთან, **სამოქალაქო საზოგადოებასა და არასამთავრობო სექტორთან, განსაკუთრებით, ქალთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით**.[379] კონვენციის განმარტებითი ანგარიშის მიხედვით, ტერმინი „ქალთა ორგანიზაციები" გულისხმობს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც საქმიანობენ ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში.[380] სტამბოლის კონვენცია ცნობიერების ამაღლების ნაწილში სახელმწიფოს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისკენ მოუწოდებს, რადგანაც ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციას აქვს ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ აქტივობათა წარმატებით განხორციელების ხანგრძლივი გამოცდილება ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე.[381]

მიუხედავად ამისა, საქართველოში სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სტიგმატიზაციისა და მათი საარსებო სივრცის შეზღუდვისკენ, რაც შეუძლებელს ხდის ამ ტიპის თანამშრომლობას და გაქრობით ემუქრება, მათ შორის, ქალთა ორგანიზაციებს. მმართველმა პარტიამ სამოქალაქო საზოგადოების მადისკრედიტირებელი რიტორიკის გავრცელების კამპანია ჯერ კიდევ 2022 წელს აამოქმედა, როდესაც „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებსა და მათ მიზნობრიობაზე საუბარი წამოიწყეს.[382] ამას მოჰყვა 2023 წლის 22 თებერვალს „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ" კანონპროექტის ოფიციალურად დარეგისტრირება საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის ინიციატივით, რომლებმაც, მოგვიანებით, ასევე დაარეგისტრირეს, მათი თქმით, ამერიკული ტიპის, თუმცა, რეალურად, იმავე მიზნის მქონე მეორე კანონპროექტი.[383] ორივე კანონპროექტი გაკრიტიკებული იყო საერთაშორისო ორგანიზაციების, პარტნიორი სახელმწიფოების და სამოქალაქო საზოგადოების მიერ.[384] 400-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით, ამ კანონის მიზანი იყო: დაუცველნი დარჩენილიყვნენ **ძალადობის მსხვერპლი ბავშვები და ქალები;** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უმცირესობები, მეცნიერები, მშრომელები და ახალგაზრდები; დახმარება არ გასწეოდათ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ფერმერებს, მაღაროელებს, უკანონოდ გათავისუფლებულ, დევნილ, უსახლკარო, თავისუფლებაშეზღუდულ და საკუთარი უფლებებისთვის მებრძოლ სხვა ადამიანებს; არ გაშუქებულიყო მაღალმთიან და სხვა რეგიონებში მცხოვრები ადამიანების პრობლემები, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივი, დამოუკიდებელი მედიის მეშვეობით აცნობენ საზოგადოებას თავიანთ გასაჭირს.[385]

---

[379] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 13.

[380] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 92.

[381] იქვე.

[382] საია, ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ, 2023, 26, https://shorturl.at/u76RQ [05.05.2024].

[383] იქვე, 28.

[384] იქვე, 27-28.

[385] იხ. „რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი". საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა

2023 წლის 7 მარტის პლენარულ სხდომაზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღების შემდგომ, მასობრივი საპროტესტო აქციების გამო, მმართველი გუნდი იძულებული გახდა, 9 მარტს გაევრცელებინა განცხადება, რომ პირველი მოსმენით მიღებულ კანონპროექტს უკან გაიწვევდა.[386] 10 მარტს კანონპროექტი მეორე მოსმენით ოფიციალურად ჩავარდა.[387]

2023 წლის 8 ნოემბერს ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა, თუმცა ანგარიშში აღნიშნა, რომ **საქართველომ თავი უნდა შეიკავოს ისეთი ზომების მიღებისგან, რომელიც ზღუდავს ან აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.[388] კომისიამ მე-9 დათქმაში ასევე ხაზი გაუსვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის მნიშვნელობას.[389]**

მიუხედავად ამისა, იდენტური კანონპროექტი „ქართულმა ოცნებამ“ 2024 წლის 3 აპრილს კვლავ დააინიციირა.[390]

კანონპროექტის ხელახლა ინიციირებამ კვლავ მასობრივი პროტესტი გამოიწვია და საერთაშორისო ორგანიზაციების, პარტნიორი სახელმწიფოების მწვავე კრიტიკა დაიმსახურა.[391] 2024 წლის 25 აპრილს 200-ზე მეტმა სამოქალაქო და მედია ორგანიზაციამ (მათ შორის, ქალთა და გენდერულად მოტივირებული ძალადობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა) გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ისინი არასოდეს, არავითარი ფორმით არ დარეგისტრირდებიან ღირსების შემლახავ რეესტრში და აჩერებენ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, სანამ ის რუსულ კანონს არ გაიხმობს.[392] **სახელმწიფოს კანონზე უარის თქმისკენ მოუწოდეს, მათ შორის, ვენეციის კომისიამ,[393] ევროთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა**

ასოციაციის ვებგვერდი, 21.02.2023, https://gyla.ge/ge/post/rusuli-kanoni-ar-aris-saqartvelos-archevani#sthash.7RKnG1jd.dpbs [05.05.2024].

[386] საია, ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ, 2023, 29-30, https://shorturl.at/u76RQ [05.05.2024].

[387] იქვე.

[388] Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy, Brussels, 8.11.2023, SWD(2023) 697 final, 12.

[389] COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS, COM(2023) 690 final, https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/COM_2023_690%20Communication%20on%20EU%20Enlargement%20Policy_and_Annex.pdf?fbclid=IwAR01ZKjWxltp6a9KDGKeQWqu3sD64HdOgcvIIAWyuuTBZEEI95vneLD0MwU [05.05.2024].

[390] BREAKING: GD Reintroduces the Draft law on Foreign Agents, Civil.ge, 03.04.2024. https://civil.ge/archives/589747 [04.06.2024].

[391] ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პრეს-სპიკერის განცხადება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით, 04.04.2024; ასევე, US Department of State, 05.04.2024, https://www.state.gov/georgian-draft-legislation/ [05.05.2024], CoE Commissioner for Human Rights, 11.04.2024, https://www.coe.int/en/web/commissioner/-/georgia-concerns-about-the-compatibility-of-the-draft-law-on-transparency-of-foreign-influence-with-the-rights-to-freedom-of-association-and-expression [05.05.2024]; International Reactions to Reintroduction of Draft Law on Foreign Agents, Civil.ge, 17.04.2024, <https://civil.ge/archives/589823> [04.06.2024]; Chair Cardin Leads Trans-Atlantic Foreign Affairs Committee Chairs in Joint Statement on Georgian Parliament's Passage of Russian-Style 'Foreign Agent' Law, 15.05.2024, https://www.foreign.senate.gov/press/dem/release/chair-cardin-leads-trans-atlantic-foreign-affairs-committee-chairs-in-joint-statement-on-georgian-parliaments-passage-of-russian-style-foreign-agent-law [04.06.2024].

[392] „რუსული კანონის ჩაგდებამდე საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციები ვაჩერებთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას“, 25.04.2024, https://www.gyla.ge/ge/post/the-non-governmental-and-media-organizations-suspend-cooperation-formats-with-the-government-until-the-russian-law-is-dropped#sthash.ARkbSL9I.dpbs [05.05.2024].

[393] VENICE COMMISSION, GEORGIA URGENT OPINION ON THE LAW ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE, 21.05.2024, CDL-PI(2024)013, Opinion No. 1190/2024, par. 100.

და ადამიანის უფლებების ოფისმა (ODIHR),[394] გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტმა.[395]

მასობრივი პროტესტის მიუხედავად, პარლამენტმა კანონპროექტი მესამე მოსმენით 2024 წლის 14 მაისს მიიღო.[396] 18 მაისს პრეზიდენტმა კანონპროექტი პარლამენტს მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა (კანონპროექტს ვეტო დაადო),[397] რომელთა მიხედვით, კანონს გამოქვეყნებიდან მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში უნდა ემოქმედა (რაც, ფაქტობრივად, კანონის ჩაგდებას ნიშნავდა).[398] თუმცა, 28 მაისის პლენარულ სხდომაზე პარლამენტმა პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს მხარი არ დაუჭირა (ვეტო დაძლია).[399]

ხაზგასასმელია, რომ **კანონის მიღების პროცესი მიმდინარეობდა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებების მძიმე, სისტემური დარღვევებისა და მშვიდობიანი პროტესტის ძალადობრივი, რეპრესიული მეთოდებით ჩახშობის მცდელობის ფონზე.**[400]

კანონი ითვალისწინებს მასტიგმატიზებელი რეესტრის შექმნას არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებისთვის, რომლებიც წლიური დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებენ.[401] ასეთი ორგანიზაციები „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებად“ უნდა დარეგისტრირდნენ და შესაბამისი დეკლარაციები წარადგინონ.[402] ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს მძიმე ფინანსურ სანქციებს,[403] რაც, საბოლოოდ, ორგანიზაციების ფუნქციონირებას შეუძლებელს გახდის. გარდა ამისა, ეს ორგანიზაციები ექვემდებარებიან ინტენსიურ მონიტორინგს, მათ შორის, მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოს შეუძლია, ნებისმიერი პირისგან (მათ შორის, ფიზიკური პირებისგან) მოითხოვოს ნებისმიერი საიდუმლოების (გარდა სახელმწიფო საიდუმლოებისა) და პერსონალური მონაცემების (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების) შემცველი ინფორმაციის გადაცემა.[404]

ამ კანონის პირობებში, გაქრობა ემუქრება სამოქალაქო სექტორს, მათ შორის, ქალთა საკითხებზე მომუშავე და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც იურიდიულ დახმარებას უწევენ, თავშესაფრით უზრუნველყოფენ ან სხვა სერვისებს სთავაზობენ გენდერულად მოტივირებული ძალადობის მსხვერპლებს.

შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოებისთვის სივრცის შევიწროებით და მათი სტიგმატიზაციით სახელმწიფო არღვევს სტამბოლის კონვენციის მე-13 მუხლს, რომელიც მას, მათ შორის, ავალდებულებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

---

[394] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, GEORGIA, URGENT OPINION ON THE LAW OF GEORGIA "ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE", 30.05.2024, Opinion-Nr.: NGO-GEO/506/2024 [NR].

[395] Committee on the Rights of the Child, Concluding observations on the combined fifth and sixth reports of Georgia, 30.05.2024, CRC/C/GEO/CO/5-6, par. 13

[396] „პარლამენტმა „აგენტების კანონი“ მესამე, საბოლოო მოსმენით მიიღო“, „რადიო თავისუფლება“, 14.05.2024, https://www.radiotavisupleba.ge/a/32946944.html [04.06.2024].

[397] „პრეზიდენტმა „აგენტების კანონს“ ვეტო დაადო: ეს არის რუსული კანონი“, „რადიო თავისუფლება“, 28.05.2024, https://www.radiotavisupleba.ge/a/32952886.html [04.06.2024].

[398] Speaker Papuashvili Talks Agents' Law, President's Veto, Sanctions, Civil.ge, 20.05.2024, https://civil.ge/archives/608343 [04.06.2024].

[399] „პარლამენტმა „აგენტების კანონზე“ პრეზიდენტის ვეტო დაძლია“, „რადიო თავისუფლება“, 28.05.2024, https://www.radiotavisupleba.ge/a/32967067.html [04.06.2024].

[400] საია, საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიციირებიდან 60 დღის განმავლობაში, 2024, https://shorturl.at/8GxDv [12.06.2024].

[401] საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, მუხლი 2, 4.

[402] იქვე, მუხლი 4, 6.

[403] იქვე, მუხლი 9.

[404] იქვე, მუხლი 8.

4.1.2. გენდერულად მოტივირებული შეურაცხყოფის ნორმალიზება ქალი პოლიტიკოსების მიმართ

ბოლო წლებში საქართველოს პარლამენტში ქალების მიმართ არაერთხელ გამოიყენეს სექსისტური, გენდერული ნიშნით შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი რიტორიკა. 2023 წელს გამოვლინდა ქალი დეპუტატების მისამართით პარლამენტის ზოგიერთი წევრის მხრიდან შეურაცხმყოფელი ლექსიკისა და ფიზიკური ძალის გამოყენება, სექსუალური შევიწროება, რისთვისაც მათ არანაირი პასუხისმგებლობა არ დაჰკისრებიათ.[405]

საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის „ო" ქვეპუნქტის მიხედვით, „საქართველოს პარლამენტის წევრისთვის დაუშვებელია სხვისი ღირსების შემლახველი, უხამსი, სექსისტური, დისკრიმინაციული გამოსვლა, მიმართვა, მოქმედება და სიძულვილის ენის სხვაგვარი გამოყენება".[406] ამ ქცევის წესის დარღვევის შემთხვევებს შეისწავლის და მონიტორინგს უწევს ეთიკის საბჭო.[407] საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებს,[408] რომ დეპუტატების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი არ ითვალისწინებს ეფექტიან და ქმედით მექანიზმებს.[409] აღსანიშნავია, რომ ეთიკის საბჭო სრულად დაკომპლექტებული არ არის და არ არიან არჩეულნი საბჭოს თანათავმჯდომარეები.[410]

2024 წლის 3 და 4 აპრილის პლენარულ სხდომაზე „ქართული ოცნების" დეპუტატმა შეურაცხყოფა მიაყენა დეპუტატ ქალებს და მათ დამამცირებელი სექსისტური ლექსიკით მიმართა.[411]

ამგვარი ქმედებები მიუთითებს, რომ პარლამენტარები, რომლებიც ძალადობისგან ქალების დაცვის საუკეთესო კანონმდებლობას და პრაქტიკას უნდა ქმნიდნენ, თავადვე ავიწროებენ კოლეგებს.[412] **მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან ქალების დისკრიმინაცია და დამამცირებელი, სექსისტური ლექსიკის გამოყენება ქალთა მიმართ ძალადობის ნორმალიზებას იწვევს.**[413]

---

[405] „პარლამენტში ღუდუშაურმა და ბერაიამ ქალ დეპუტატებს შეურაცხყოფა მიაყენეს", 31.10.2023, ტელეკომპანია „ფორმულას" ვებგვერდი, https://formulanews.ge/News/100493 [05.052024]; „ოცნების" დეპუტატმა ლევან მგალობლიშვილმა ანა წითლიძეს სხდომაზე მიკროფონი მოუქნია", ტელეკომპანია „ფორმულას" ვებგვერდი, https://formulanews.ge/News/101609 [05.05.2024]; „თინა ბოკუჩავა შალვა პაპუაშვილმა სპიკერატისთვის განკუთვნილი ადგილიდან ძალით გამოიყვანა", 18.07.2021, „რადიო თავისუფლების" ვებგვერდი, https://www. radiotavisupleba.ge/a/31364779.html [05.05.2024].

[406] საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 თებერვლის დადგენილება საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ, მუხლი 3, ქვეპუნქტი "ო".

[407] იქვე, მუხლი 4, პუნქტი 2.

[408] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 187, https://ombudsman.ge/res/docs/2024040116015759558.pdf [12.06.2024].

[409] იქვე.

[410] ეთიკის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდება იმ პარლამენტის წევრის სახელი და გვარი, რომელმაც დაარღვია კოდექსი, აგრეთვე, დარღვევის მოკლე აღწერა. საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ კოდექსით გათვალისწინებული ქცევის წესის დარღვევის შემთხვევაში, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია, მას სარეკომენდაციო ბარათით მიმართოს, საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 22 თებერვლის დადგენილება საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ, მუხლი 4, პუნქტი 17.

[411] „ოდიშარიამ დეპუტატ ქალებს შეურაცხყოფა მიაყენა", 03.04,2024, „ნეტგაზეთი", https://netgazeti.ge/news/716193/ [05.05.2024], ოდიშარიამ ამჯერად შეურაცხყოფა სალომე სამადაშვილს მიაყენა, 04.04.2024, „პუბლიკა", https://publika.ge/odishariam-amjerad-sheurackhyofa-salome-samadashvils-miayena/ [05.05.2024].

[412] საია, საქართველო 2023 წელს: სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეფასება, 2024, 40, https://shorturl.at/3WxT7 [05.05.2024].

[413] იქვე, 40.

„სამარცხვინო ინციდენტია და ძალიან ვწუხვარ, რომ განსაკუთრებით ქალი დეპუტატები გამოირჩევიან ყველაზე სამარცხვინო საქციელით, რაც კი შეიძლება იკადროს პარლამენტის წევრმა. ეს არის დისკრედიტაცია, მათ შორის, ქალის როლისა პოლიტიკაში, როდესაც მათი მთავარი როლი არის ისტერია, რადიკალიზმი და ადამიანის ღირსების აბსოლუტური შელახვა. ვფიქრობ, ეს ქალი დეპუტატები არიან, რომლებიც განსაკუთრებულად შეურაცხყოფენ როგორც პარლამენტის მანდატს, ასევე ჩრდილს აყენებენ ქალის როლს პოლიტიკაში და მათ გამო ხდება ისეთი აღქმის ჩამოყალიბება, თითქოს ქალს პოლიტიკაში შეუძლია მხოლოდ ისტერიის მოწყობა და რადიკალიზმი“ - პარლამენტის თავმჯდომარის 2023 წლის 20 სექტემბრის სექსისტური განცხადება.[414]

პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ სექსიზმის წახალისების ზემოაღნიშნული პრაქტიკის პარალელურად, საქართველოს პარლამენტმა 2024 წლის აპრილში ცვლილებები შეიტანა საარჩევნო კოდექსში, რომლითაც გაუქმდა გენდერული კვოტირება.[415] ამ ცვლილებებს საქართველოს პრეზიდენტმა ვეტო დაადო, რომელიც პარლამენტმა 15 მაისს დაძლია.[416] აღსანიშნავია, რომ სტამბოლის კონვენციის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, „მხარეები იღებენ ყველა საჭირო ზომას ქალებისთვის შესაძლებლობების გაზრდისკენ მიმართული პროგრამებისა და საქმიანობის მხარდასაჭერად“.[417] განმარტებითი ანგარიშის მიხედვით, ეს გულისხმობს ქალთა უფლებამოსილების გაზრდას ცხოვრების ყველა სფეროში, **მათი პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერების ჩათვლით.**[418] ეს არ ნიშნავს, რომ ხსენებული ნორმა სახელმწიფოებს პარლამენტში გენდერული კვოტირების ვალდებულებას აკისრებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისმა შემოღებამ საქართველოში დადებითი გავლენა მოახდინა პოლიტიკაში ქალების მონაწილეობაზე.[419] **კვოტების შედეგად, გაიზარდა როგორც კანდიდატ, ისე არჩეულ ქალთა რაოდენობა.**[420] **ამასთანავე, გაძლიერდა ბოლო პერიოდში გენდერული კვოტისადმი საზოგადოების მხარდაჭერა.**[421] საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატებს კვოტების გაუქმების მიზანშეწონილობის ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავდათ ის, რომ მან „გარკვეულწილად, უკვე მიაღწია თავის მთავარ მიზანს - პოლიტიკაში ჩართული ქალების რაოდენობა გაიზარდა და ეს საკითხი დღის წესრიგის აქტუალური ნაწილი გახდა“.[422] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ცოტა ხნით ადრე, 2023 წლის 9 თებერვალს, პარლამენტმა სავალდებულო გენდერული კვოტირების მოქმედების ვადა გაზარდა და 2032 წლის არჩევნების ჩათვლით გადასწია.[423] შესაბამისად, უცნობია, კონკრეტულად რას დაეფუძნა კვოტების საჭიროების შესახებ გადაწყვეტილების

[414] „სექსიზმი და მიზოგინია - პოლიტიკოსების იარაღი ქალი „მტრების“ დასამარცხებლად“, „რადიო თავისუფლება“, 21.09.2023, https://shorturl.at/0SXuJ [13.06.2024].

[415] „პარლამენტმა გენდერული კვოტები გააუქმა“, 04.04.2024, on.ge, https://shorturl.at/mHz7v [05.05.2024].

[416] „პარლამენტმა გენდერული კვოტების გაუქმებაზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია“, civil.ge, 15.05.2024, https://civil.ge/ka/archives/607551 [04.06.2024].

[417] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 12, პუნქტი 6.

[418] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 90.

[419] გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გენდერული თანასწორობის პროფილი, საქართველო 2023, 15, https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2024-04/cgep_geo_web_1.pdf [05.05.2024].

[420] იქვე.

[421] იქვე.

[422] „ქალები საპარლამენტო უმრავლესობიდან კვოტების გაუქმებას ემხრობიან“, 02.04.2024, „ტაბულა“, https://tabula.ge/ge/news/716260-kalebi-saparlamento-umravlesobidan-kvotebis [05.05.2024].

[423] საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, მიღების თარიღი 09.02.2023, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5717699?publication=0#DOCUMENT:1 [05.05.2024].

შეცვლა, მაშინ, როდესაც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, მიუხედავად გენდერული კვოტების დადებითი შედეგებისა, 2023 წლის პარლამენტის წევრთა შორის ქალთა პროცენტული მაჩვენებელი (19%) მაინც ჩამოუვარდება პარლამენტებში ქალების საშუალო წილს როგორც გლობალურად (27%), ისე რეგიონში (31%).[424] ამასთანავე, პოლიტიკაში ჩართულ ქალებს კვლავ უწევთ ბრძოლა დამკვიდრებულ სტერეოტიპებსა და პოლიტიკურ პარტიებში არსებულ გამოწვევებთან, ასევე, საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ ძალადობის შემთხვევებთან.[425] ამ გამოწვევის თვალსაჩინო მაგალითია პარლამენტარი ქალების მიმართ სექსისტური შეურაცხყოფის ზემოთ განხილული პრაქტიკა.

გენდერული კვოტების გაუქმება უარყოფითად შეაფასა ვენეციის კომისიამაც. კომისიის რეკომენდაციით, სახელმწიფომ უნდა მიიღოს სპეციალური დროებითი ზომები პარლამენტსა და საკრებულოებში ქალების წარმომადგენლობის გასაზრდელად, მათ შორის, გენდერული კვოტების აღდგენის ან სხვა აღიარებული მეთოდების გამოყენებით.[426]

ყოველივე ამის გათვალისწინებით, **გენდერული კვოტების გაუქმება, ქალების შესაძლებლობების გაზრდის კუთხით, უკან გადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს.**

4.1.3. განათლება

სტამბოლის კონვენციის მე-14 მუხლის **მიხედვით, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა განათლების ყველა დონეზე ისეთი საკითხების ჩასართავად, როგორებიცაა: ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა, არასტერეოტიპული გენდერული როლები, ურთიერთპატივისცემა, პიროვნებათშორის ურთიერთობებში კონფლიქტების ძალადობის გარეშე მოგვარება, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება, რომლებიც გათვლილი იქნება მსმენელთა მზარდი განვითარების შესაძლებლობებზე.**[427] ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოს კანონი განათლების სამინისტროს ავალდებულებს, მიიღოს ზომები ქალთა მიმართ ძალადობის და/ან ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის, უზრუნველყოს გენდერის ნიშნით მოტივირებული ძალადობის იდენტიფიცირება და მასზე რეაგირება.[428]

საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით: *„ამ ეტაპზე მოქმედი „ეროვნული სასწავლო გეგმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გენდერული თანასწორობის პრინციპები ასახულია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების სტანდარტებში. დაწყებითი საფეხურისთვის განკუთვნილი საგნის „მე და საზოგადოება" (III-IV კლასები) სასწავლო გეგმაში თანასწორობა (რომელშიც გენდერული თანასწორობაც მოიაზრება) საგნის ფარგლებში შესასწავლი ერთ-ერთი ძირითადი ცნებითი კატეგორიაა, კერძოდ, ცნება „საზოგადოების" ერთ-ერთი ქვეცნებაა „თანასწორობა (სტერეოტიპები)". საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასები) „მოქალაქეობის" („სამოქალაქო განათლების") სასწავლო გეგმაში აქცენტირებულია გენდერული თანასწორო-*

[424] გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გენდერული თანასწორობის პროფილი, საქართველო 2023, 15 <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2024-04/cgep_geo_web_1.pdf [05.05.2024].
[425] იქვე.
[426] VENICE COMMISSION, GEORGIA OPINIONON AMENDMENTS TO THE ELECTION CODE WHICH ABOLISH GENDER QUOTAS, 24.06. 2024, CDL-AD(2024)023, Opinion No. 1189/2024, par. 43.
[427] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 14.
[428] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", მუხლი 14, პუნქტი 1.

ბის შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული საკითხები. VII - VIII კლასების თემატური ბლოკების - „ინდივიდი და საზოგადოება“, „მოქალაქე, სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი ხელისუფლება“ - ფარგლებში მოსწავლემ უნდა შეძლოს: „პირადი და სათემო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, დისკრიმინაციის აკრძალვა, ტოლერანტობა) გათვალისწინებით მოქმედება“.[429]

აღსანიშნავია, რომ ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლება (CSE) ძალადობისგან ბავშვებისა და მოზარდების დაცვის ერთ-ერთი მექანიზმია. CSE მათ საშუალებას აძლევს, განივითარონ მიდგომები, უნარები და ცოდნა, რომელიც, მათ შორის, შეეხება უფლებების პატივისცემას, თანასწორობას და უსაფრთხო ურთიერთობებს.[430] საგანმანათლებლო სისტემაში CSE-ს დანერგვა ბავშვებს და მოზარდებს შესაძლებლობას აძლევს, შეიტყონ საკუთარი სხეულის და უფლებების შესახებ, ამოიცნონ შესაძლო ძალადობრივი ქცევა და განაცხადონ ამის თაობაზე.[431] **საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში CSE სუსტად არის წარმოდგენილი.**[432] მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის სექსუალობის თაობაზე ზოგიერთი თემა შესულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სკოლა ვერ აწვდის ბავშვებს და ახალგაზრდებს მნიშვნელოვან ინფორმაციას მათი გრძნობებისა და სხეულის, სექსუალური იდენტობის, გენდერული ნიშნით ძალადობის, ჯანსაღი ურთიერთობების და ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ.[433]

4.2. პროფესიონალთა და სახელმწიფოს წარმომადგენელთა კომპეტენციის ამაღლება

სტამბოლის კონვენციის მე-15 მუხლი მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ან გააუმჯობესოს იმ შესაბამისი სპეციალისტების პროფესიული მომზადება, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა აქტის მსხვერპლსა ან ამ აქტების ჩამდენ პირებთან.[434] სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიშის მიხედვით, ტრენინგი არა მარტო ეხმარება პროფესიონალებს ცნობიერების ამაღლებაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, არამედ ასევე ხელს უწყობს მათი შეხედულებების, დამოკიდებულებების შეცვლას დაზარალებულთა მიმართ, ამასთანავე, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათი დახმარების სახეებსა და ხარისხს.[435] ამ მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ პროფესიონალებისთვის ჩატარებული ტრენინგები უნდა შეეხებოდეს კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებს: ძალადობის პრევენციას და გამოვლენას, ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას,

[429] განათლების სამინისტროს 2024 წლის 5 მარტის წერილი MES 0 24 0000268436.

[430] Amnesty international, Amnesty International at the "36th Meeting of High-Level Authorities on Human Rights of the Southern Common Market (MERCOSUR)", 2020, https://www.amnesty.org/en/wp-content/uploads/2021/05/AMR0332922020ENGLISH.pdf [05.05.2024].

[431] იქვე.

[432] UNFPA, ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების მიმოხილვა საქართველოში ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების მიმოხილვისა და შეფასების UNESCO-ს ინსტრუმენტის (SERAT) მიხედვით, 2022, 7, https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/sexuality_aducation._pages.pdf [05.05.2024].

[433] იქვე.

[434] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 15, პუნქტი 1.

[435] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 98.

მსხვერპლთა საჭიროებებსა და უფლებებს, ასევე მეორადი ვიქტიმიზაციის აღკვეთის გზებს.[436] სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიშის მიხედვით, „შესაბამისი სფეროს პროფესიონალებში“ შეიძლება მოიაზრებოდნენ მოსამართლეები, იურისტები, სამართალდამცველი ორგანოების, ჯანდაცვის, სოციალური დახმარებისა და განათლების სფეროს წარმომადგენლები.[437]

GREVIO-მ 2022 წელს საქართველოს ხელისუფლებას მტკიცედ მოუწოდა, უზრუნველყოს **სისტემატური, სავალდებულო საწყისი მომზადება და პროფესიული გადამზადება** სპეციალისტთა ყველა ჯგუფისთვის, რომლებიც მუშაობენ სტამბოლის კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და გამოვლენის, ქალებისა და კაცების თანასწორობის, მსხვერპლთა საჭიროებებისა და უფლებების, უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციის საკითხებზე.[438]

ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით ეფექტიანი სამართალწარმოების განსახორციელებლად **შინაგან საქმეთა სამინისტროში** მოქმედებს სპეციალური დანაყოფი - ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი. შსს-ს ინფორმაციით, ამ დეპარტამენტის შექმნიდან დღემდე, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის სამართლებრივი მექანიზმების, გენდერული თანასწორობის, სამართალწარმოებისას გენდერული სტერეოტიპების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების, ასევე, ტრეფიკინგის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ მიდგომის საკითხებზე გადამზადებულია 17000-მდე პოლიციის თანამშრომელი, მათ შორის, მენეჯერული რგოლის წარმომადგენლები.[439]

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გენდერულად მოტივირებული საკითხების სწავლება ინტეგრირებულია **სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში** პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში.[440]

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით:[441]

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს სწავლება გენდერული თანასწორობის შესახებ. ეს თემატიკა შედის საგანში „პოლიცია და ადამიანის უფლებები“ და იფარება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: გენდერის ძირითადი ცნებები, თანასწორობა და პოლიტიკა; გენდერული თანასწორობის ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები; საქართველოს კანონმდებლობა გენდერული თანასწორობის შესახებ; გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები.

ამასთანავე, აკადემიაში, პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისწავლება საგანი „ქა-

[436] იქვე, პარ. 99; ასევე, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 15, პუნქტი 1.

[437] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 100.

[438] GREVIO, (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, პარ. 117, https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [05.05.2024].

[439] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 12 მარტის წერილი MIA 0 24 00745517.

[440] იქვე.

[441] იქვე.

ლთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობა“, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ოჯახში ძალადობის არსი და თეორიები;

- საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის შესახებ; მსხვერპლის იდენტიფიცირების წესი;

- ადმინისტრაციული სამართალწარმოება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით;

- შემაკავებელი ორდერის და მისი ოქმის, ასევე, იარაღთან დაკავშირებული ოქმების შევსება.

უნდა აღინიშნოს, რომ საიამ კვლევის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი განაცხადით ასევე მოითხოვა ინფორმაცია, როგორი იყო კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში მონაწილე გამომძიებელთა და პოლიციის თანამშრომელთა გეოგრაფიული და გენდერული განაწილება, თუმცა ამ შეკითხვებზე პასუხი არ მიგვიღია.[442]

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „სააგენტოში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, პერიოდულად ტარდება გენდერულად მოტივირებული ძალადობის შესახებ ტრენინგები, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულნი სააგენტოს ყველა ტერიტორიული ერთეულის სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები“.[443] სააგენტოს არ მოუწოდებია ინფორმაცია კონკრეტული ტრენინგების შესახებ.[444] ზრუნვის სააგენტოს სოციალურმა მუშაკმა კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ გენდერულად მოტივირებული ძალადობის საკითხებზე, სხვა პროფესიონალებთან ერთად, სოციალური მუშაკებისთვისაც იმართება ტრენინგები. თუმცა, უკეთესი იქნება, თუ ამ ტრენინგებზე უფრო მეტად აქცენტი გაკეთდება ვიწრო ჭრილში, კონკრეტული ჯგუფების, მაგალითად, ეთნიკურად არადომინანტი თემის წარმომადგენელთა საჭიროებებზე.

საკუთარ სისტემაში დასაქმებული სოციალური მუშაკების გადამზადებას უზრუნველყოფს **სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურიც.**[445] ეს დადებით პრაქტიკად უნდა შეფასდეს, მით უფრო, რომ დონორი ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სატრენინგო მოდულით გადამზადებული თანამშრომლები შემდეგ თავად გადაამზადებენ მანდატურებს, მათ შორის, რეგიონებში.[446]

---

[442] საიას წერილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის შესახებ, გ-04/08-24.

[443] სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2024 წლის 16 მაისის წერილი SCA 2 24 00531640.

[444] საიას წერილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის შესახებ, გ-04/21-24.

[445] სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტები, განგრძობითი განათლების ფარგლებში, ყოველწლიურად გადიან ტრენინგებს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. ამ თემაზე 2019 წლიდან დღემდე ჩატარდა შემდეგი ტრენინგები: სექსუალური ძალადობა არასრულწლოვანებზე; ბავშვთა მიმართ ძალადობა; ბავშვთა მიმართ ძალადობა და ბავშვთა შრომა; სიმულაციური ტრენინგი „იყო მის ადგილას“; შშმ და სსსმ მოსწავლეთა სქესობრივი განათლების საკითხები; შშმ და სსსმ ბავშვებზე ძალადობის იდენტიფიცირება და რეაგირება. ამ ტრენინგების ფარგლებში, ჯამში, გადამზადდა 96 სოციალური მუშაკი.“ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2024 წლის 1-ლი მარტის წერილი MES 4 24 0000251906.

[446] სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიხედვით, „გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის პროექტის - „ქალებისა და გოგოების მიმართ

საქართველოს განათლების სამინისტრომ არ მოგვაწოდა ინფორმაცია მასწავლებლების ცნობიერების ასამაღლებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ.[447] სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, მასწავლებელთა კვალიფიკაციის პრობლემა, როგორც ბარიერი, ჩანს ისეთ საგნებში, როგორებიცაა ბიოლოგია, სამოქალაქო განათლება და ქართული ლიტერატურა.[448] ამასთანავე, სკოლა დღემდე არ არის გენდერული სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების შესახებ ცოდნის გასაზიარებელი სივრცე.[449] სახალხო დამცველის მიერ 2024 წელს გამოქვეყნებული წლიური საპარლამენტო ანგარიშის თანახმად კი, მასწავლებლის განათლებისა და მომზადების პროგრამებში ადამიანის უფლებათა კომპონენტი არ არის ინტეგრირებული.[450]

თანამშრომლების გადამზადებას, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, რეგულარულად ახორციელებს **იურიდიული დახმარების სამსახური.** მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ჩატარებული ტრენინგების ნაწილი, მათ შორის, მოიცავს ცალკეული მოწყვლადი ჯგუფის წევრების უფლებების დაცვის საკითხებსაც,[451] რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში, 2021 წელს მანდატურის სამსახურისთვის შემუშავდა სასწავლო მოდული - „გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში“. ამ სატრენინგო მოდულის საფუძველზე, ტრენერთა ტრენინგი ჩაუტარდათ მანდატურის სამსახურის თანამშრომლებს. შედეგად, 2022-2023 წლებში მანდატურის სამსახურის გადამზადებული თანამშრომლების მიერ გადამზადდნენ თბილისის, ქვემო ქართლისა და გურიის მანდატურები“, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2024 წლის 1-ლი მარტის წერილი MES 4 24 0000251906.

[447] საიას წერილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის შესახებ, გ-04/22-24.

[448] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება, 2019, 56, https://www.ombudsman.ge/res/docs/2019072913513745197.pdf [05.05.2024].

[449] იქვე.

[450] სახალხო დამცველის მიერ 2024 წელს გამოქვეყნებულ საპარლამენტო ანგარიშში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ გაცემული რეკომენდაციის მიხედვით, ცვლილება უნდა შევიდეს „მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 იანვრის №8 ბრძანებითა და „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 10 ივლისის №622/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის MES 4 20 0001231866 ბრძანებით დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებლებში და განისაზღვროს ამგვარად: პროგრამის დასრულების შემდეგ პირმა იცის ადამიანის უფლებათა ზოგადი არსი და სტანდარტები. მას შეუძლია საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება ადამიანის უფლებათა პრინციპებზე დაფუძნებით. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 351-353, https://ombudsman.ge/res/docs/2024040116015759558.pdf [05.05.2024].

[451] მაგ. იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, „2021 წლის 20 ივლისს ქ. ქუთაისში, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR) მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლება“. ტრენინგში მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 6 თანამშრომელი; 2022 წლის 16-17 და 21-22 მაისს (2 ტრენინგი) გაეროს ქალთა ორგანიზაციამ (UN WOMEN) და ქალთა ინიციატივების მხარდამჭერთა ჯგუფმა (WISG) ჩაატარეს ტრენინგი თემაზე „სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის საკითხების სამართლებრივი რეგულირება და ლგბტ ადამიანის საჭიროებები“. ტრენინგში მონაწილეობდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 29 თანამშრომელი; 2022 წლის 30 ივნისს - 3 ივლისს კახეთში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN), შვედეთის მთავრობისა და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი თემაზე „სექსუალური ძალადობის საკითხები“. ტრენინგში მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 4 თანამშრომელი, იურიდიული დახმარების სამსახურის 2024 წლის 7 მარტის LA 4 24 00007785 წერილის დანართი.

უარყოფითად უნდა შეფასდეს, რომ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული ნაწილი არ მოიცავს გენდერულად მოტივირებული ძალადობის საკითხებს.[452] საგულისხმოა, რომ სასამართლო პროცესებზე, რომლებზეც გენდერულად მოტივირებული ძალადობის საქმეები განიხილება, ადვოკატების მხრიდან მსხვერპლის მიმართ დამაკნინებელი და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების გამოხატვის პრაქტიკა არსებობს.[453] აქედან გამომდინარე, სასურველია, ამ საკითხზე ცნობიერების ამაღლება ადვოკატის პროფესიაში შესვლისთვის სავალდებულო ადაპტაციის პროგრამით იყოს გათვალისწინებული.

კვლევის ფარგლებში საიამ საქართველოს **იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა[454] და სსიპ „იუსტიციის სკოლისგან“**[455] მოითხოვა საჯარო ინფორმაცია იმის თაობაზე, 2019 წლიდან დღემდე რა ზომები გატარდა გენდერულად მოტივირებულ ძალადობასთან დაკავშირებით მოსამართლეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ასევე, ითვალისწინებს თუ არა ამ საკითხებს იუსტიციის სკოლის მსმენელთა სასწავლო კურსი და რა სახით ან რა მოცულობით არის ისინი ამ კურსში ინტეგრირებული. ამ კითხვებზე პასუხები არ მიგვიღია.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს და საქართველოს მთავრობას:

- **შეწყვიტოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო სივრცის შევიწროება,** თავი შეიკავოს ამ სექტორის საწინააღმდეგო საკანონმდებლო ინიციატივებისა და რიტორიკისგან. სახელმწიფომ უნდა ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, სტამბოლის კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტს:

- **მიიღოს ზომები პარლამენტში ქალი პოლიტიკოსების მიმართ დამამცირებელი ლექსიკისა და გენდერულად მოტივირებული შეურაცხყოფის აღმოსაფხვრელად**, მათ შორის, შესაბამისი დისციპლინური სანქციების შემუშავების და გამოყენების გზით.
- საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შევიდეს ცვლილებები, რომლითაც აღდგება „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ 2024 წლის 15 მაისის ორგანული კანონის (დოკუმენტის ნომერი 4158-XIVმს-Xმპ) მიღებამდე არსებული სამართლებრივი მოწესრიგება გენდერულ კვოტებთან დაკავშირებით.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს:

- **შეწყვიტონ სიძულვილის რიტორიკის, მათ შორის, ჰომოფობიური, ტრანსფობიური და ბიფობიური ნარატივების გავრცელება.**

---

[452] სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2024 წლის 29 თებერვლის წერილი №67/24.

[453] საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, 2020, 37, https://ombudsman.ge/res/docs/2020121613551185316.pdf [05.05.2024].

[454] საიას წერილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის შესახებ, გ-04/12-24.

[455] საიას წერილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის შესახებ, გ-04/11-24.

განათლების მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს:

- **უზრუნველყოს ზოგად განათლებაში გენდერულად მოტივირებული ძალადობის საკითხების უფრო ეფექტიანი და მრავლისმომცველი ფორმით ინტეგრირება,** მათ შორის, სკოლებში ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების CSE-ს გაძლიერების გზით.
- **უზრუნველყოს მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობისა და გენდერულად მოტივირებული ძალადობის შესახებ**, მათ შორის, მასწავლებლის განათლებისა და მომზადების პროგრამებში ამ საკითხების ინტეგრირების გზით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას:

- **უწყვეტად იზრუნოს ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე,** მათ შორის, ადაპტაციის პროგრამის თეორიულ ნაწილში გენდერული თანასწორობის და გენდერულად მოტივირებული ძალადობის საკითხების ინტეგრირების გზით.

5. გენდერულად მოტივირებული ძალადობის გამოვლენა და მასზე რეაგირება

5.1. ძალადობის გამოვლენა

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1] მუხლის მიხედვით:

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფენ სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციის და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებების, არასრულწლოვანის შემთხვევაში – აგრეთვე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს.

ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის თანახმად, ქალების უმრავლესობა დახმარებისთვის არ მიმართავს ფორმალურ ორგანიზაციებს.[456] ამ დოკუმენტის მიხედვით, ქალები, რომლებსაც პარტნიორის მხრიდან ძალადობის შედეგად დაზიანებები აღენიშნებათ, ძირითადად მაშინ ატყობინებენ პოლიციას, თუ დაზიანება მძიმეა.[457] ამავე კვლევის თანახმად, პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების მხოლოდ 22.8%-მა მიმართა დახმარებისთვის ფორმალურ ორგანიზაციებსა თუ ინდივიდებს.[458]

ამის მიზეზი, ძირითადად, **საზოგადოებაში არსებული სექსისტური დამოკიდებულებები, დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და ფორმალური ინსტიტუციებისადმი ნდობის ნაკლებობაა.** ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 44.8%-მა დახმარების მოძიება არ ისურვა, ვინაიდან მიიჩნია, რომ სიტუაცია არ იყო საკმარისად სერიოზული, ხოლო 25.2%-ს არ სურდა ოჯახის ღირსების შელახვა. გარდა ამისა, მსხვერპლი ქალების 15.0%-მა განაცხადა, რომ არ იცოდა, ვისთვის უნდა მიმემართა დახმარებისთვის, ხოლო 14.0%-ს ეუხერხულებოდა, რცხვენოდა ან ეშინოდა, რომ არ დაუჯერებდნენ. 10.8% ფიქრობდა, რომ ეს მას არ დაეხმარებოდა, ან იცოდა, რომ სხვა ქალებს არ დახმარებიან.[459]

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ცალკეულ სოფლებში მცხოვრები ქალები სახალხო დამცველთან შეხვედრისას აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევების სიხშირისა, მოსახლეობა არ მიმართავს სამართალდამცავ უწყებას. ამის ერთ-ერთ მიზეზად ისინი პოლიციის მხრიდან არამგრძნობიარე დამოკიდებულებით გამოწვეულ უნდობლობას ასახელებენ.[460]

---

[456] საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2022, 136, https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf [02.06.2024].

[457] იქვე.

[458] იქვე, 135.

[459] იქვე, 139.

[460] ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან შეხვედრების ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2024 წელი, 16, https://ombudsman.ge/res/docs/2024071113543082740.pdf [11.07.2024].

საზოგადოებაში არსებული სტიგმისა და სტერეოტიპების გამო, ძალადობის შეტყობინების მხრივ განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე იმყოფებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით, იმის გამო, რომ შშმ ქალები ხშირად დამოკიდებულნი არიან სხვა ადამიანებზე, განსაკუთრებით ოჯახის წევრებზე, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, მათ შეზღუდული აქვთ გაქცევისა ან დახმარების თხოვნის შესაძლებლობა.[461] იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ საზოგადოებრივ ადგილებში ძალადობა, შშმ ქალები ხშირად თავად ამბობენ უარს სახლიდან გასვლაზე, რაც კიდევ უფრო აღრმავებს იზოლაციას და უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.[462] შშმ პირებისთვის დამატებითი გამოწვევაა ასევე მართლმსაჯულების ორგანოების შენობებისა და სერვისების მიუწვდომლობა.[463]

გენდერულად მოტივირებული ძალადობის გამოვლენის პროცესში მნიშვნელოვანია სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლების როლი, რომლებსაც, კანონმდებლობის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციის და მასზე რეაგირების მიზნით, შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ.[464] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესსა“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესში“ 2020 წელს შევიდა ცვლილებები, რომლებიც გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის/სექსუალური ძალადობის დოკუმენტირების წესს შეეხება. ცვლილებების მიხედვით, მომსახურების მიმწოდებელი უფლებამოსილია, გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის და/ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი პაციენტის ამოცნობა/შეფასების და შესაბამისი დოკუმენტირების უზრუნველყოფის მიზნით, პაციენტის მიერ ძალადობის ფაქტის გამჟღავნებისას და/ან საეჭვო დაზიანებების არსებობის შემთხვევაში, შეავსოს „გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის/სექსუალური ძალადობის დოკუმენტირების“ სპეციალური ფორმა.[465]

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით, პროგრამის - „ჯანდაცვის რეაგირება (პასუხი) ოჯახში ძალადობაზე/გენდერულ ძალადობაზე“ (Healthcare Response to DV/GBV) - ფარგლებში შემუშავდა ქალთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის გამოვლენის, მკურნალობის პრინციპებისა

[461] საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2022, 73, https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf [02.06.2024].

[462] იქვე, 73.

[463] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 270, https://ombudsman.ge/res/docs/2024040116015759558.pdf [02.06.2024].

[464] „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9^1.

[465] ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიში, https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/9654717-evaw.pdf [02.06.2024], ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი“, მუხლი 7^1; ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი“, მუხლი 2, პუნქტი 6^1.

და რეფერალის საკითხებზე სახელმძღვანელო მითითებები (ჯანდაცვის მომსახურების გაწევის დარგთაშორისი რეაგირების სტანდარტული ოპერაციული პროცედურები).[466] კვლევის მომზადების პროცესში საიამ ჯანდაცვის სამინისტროდან გამოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაცია: რა ეტაპზეა ქალთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის გამოვლენის, მკურნალობის პრინციპებისა და რეფერალის საკითხებზე სახელმძღვანელო მითითებების იმპლემენტაციის პროცესი, რა ღონისძიებები გატარდა ამ პროცედურის პრაქტიკაში დანერგვისთვის, რამდენ სამედიცინო დაწესებულებაშია ამჟამად დანერგილი ეს პროცედურები და როგორია მათი განაწილება რეგიონების მიხედვით. თუმცა, ამ შეკითხვებზე ორგანიზაციას სამინისტროდან პასუხები არ მიუღია.[467]

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევის იდენტიფიცირების და მასზე რეაგირების ვალდებულება აკისრიათ ასევე **საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომლებს**.[468] საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლების მიერ ძალადობის იდენტიფიცირებას და შესაბამის რეაგირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვების მიმართ ძალადობის დროულად გამოსავლენად. ბავშვთა მიმართ, ასევე, გენდერულად მოტივირებული ძალადობის გამოვლენის, მათ შორის, პროცესში სკოლის ჩართულობის, დროული რეაგირების და უწყებათაშორის კოორდინირებული თანამშრომლობის კუთხით არსებული გამოწვევების მძიმე შედეგების თვალსაჩინო მაგალითია 2023 წელს 14 წლის გოგონას სასტიკი მკვლელობა.[469]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 იანვრის №14 დადგენილებით დამტკიცდა **ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურები.**[470] ისინი ზოგადი ხასიათისაა და მონაწილე სუბიექტებს არ განუსაზღვრავს კონკრეტულ ვალდებულებებს ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისთვის. დადგენილების მიხედვით, ეროვნული რეფერირების პროცედურების მონაწილე ყველა სუბიექტმა 2024 წლის 31 დეკემბრამდე, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინაციით, **უნდა უზრუნველყოს სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) განახლება/შემუშავება,** რომლითაც დეტალურად განისაზღვრება უწყების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.[471]

---

[466] ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის წლიური ანგარიში, https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/9654717-evaw.pdf [02.06.2024].

[467] საიას წერილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის შესახებ, გ-04/18-24.

[468] „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9[1].

[469] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 33, https://ombudsman.ge/res/docs/2024040116015759558.pdf [02.06.2024]; ასევე, „სად იყო სკოლა, როცა აითაჯს დახმარება სჭირდებოდა?“, „ნეტგაზეთი“, 12.10.2023, https://netgazeti.ge/life/691911/ [02.06.2024].

[470] საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 იანვრის №14 დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ“.

[471] იქვე, მუხლი 7.

5.2. საგამოძიებო ორგანოების რეაგირება

გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე რეაგირებისას, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინოს.[472] თუ მთავრობა არ იღებს ყველა შესაბამის ზომას, როცა მისმა წარმომადგენლებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ გენდერულად მოტივირებული ძალადობის რისკის შესახებ, ასევე, თუ ის არ გამოიძიებს ასეთ აქტებს და არ დასჯის დამნაშავეებს, ეს ადამიანის უფლებების დარღვევაა.[473] გენდერულად მოტივირებული ძალადობის მიმართ სახელმწიფოს ზოგადი პასიურობა, მიუხედავად იმისა, გამიზნული არის ის თუ არა, არღვევს თანასწორობის უფლებას.[474] როდესაც არსებობს ეჭვი, რომ ძალადობა დისკრიმინაციული მოტივით არის განპირობებული, მნიშვნელოვანია, გამოძიება განსაკუთრებული ძალისხმევით წარიმართოს.[475] როდესაც დისკრიმინაციით მოტივირებული ძალადობის მიმართ დამოკიდებულება არ განსხვავდება ძალადობის სხვა შემთხვევებისადმი მიდგომისგან, დისკრიმინაციული მოტივის მიმართ გამოხატული ინდიფერენტულობა ახალისებს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს.[476]

„გუბეები იდგა, იმდენი სისხლი მომდიოდა თავიდან. ფოტოები არ გადაუღია პოლიციას. მათ დაწერეს, რომ მომხვდა სამი მუშტი. სხვა დაზიანებებზე არ იყო მითითება. ცხვირი ჰქონდა გატეხილიო და არ მქონია ცხვირი გატეხილი“ - ძალადობაგამოვლილ ადამიანებთან ჩატარებული ინტერვიუების ერთ-ერთი რესპონდენტი.[477]

ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით, ძალადობის მსხვერპლ ქალებს შორის მხოლოდ 11.8%-მა მიმართა დახმარებისთვის პოლიციას. მათგან მხოლოდ 30.1% დარჩა ძალიან კმაყოფილი პოლიციის მიერ აღმოჩენილი დახმარებითა და მხარდაჭერით. ყოველმა მეორე ქალმა (50.5%) განაცხადა, რომ პოლიციის მიერ აღმოჩენილი დახმარებითა და მხარდაჭერით იყო გარკვეულწილად კმაყოფილი, ხოლო 19.4% იყო უკმაყოფილო.[478]

5.2.1. მსხვერპლის დაცვის ღონისძიებების გამოყენება

CEDAW კომიტეტის No. 35 რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადეკვატური და მისაწვდომი დამცავი მექანიზმების იმპლემენტაცია ძალადობის განმეორების ან პოტენციური ძალადობის პრევენციის მიზნით.[479] ეს უნდა მოიცავდეს მყისიერი რისკის შეფასებას და დაცვას, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შემაკავებელ და დამცავ ორდერებს, ხოლო მათი აღუსრულებლობისთვის - შესაბამის სანქციებს.[480] ეს მექანიზმები არ უნდა ქმნიდეს არასაჭირო ფინანსურ, ბიუროკრატიულ და პერსონალურ ტვირთს ძალადობის მსხვერპლებისთვის.[481]

---

[472] Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No. 19, CEDAW/C/GC/35, 2017.
[473] იქვე, პარ. 24.
[474] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე TKHELIDZE v. GEORGIA, 33056/17, პარ. 51.
[475] იქვე.
[476] იქვე.
[477] ძალადობაგამოვლილ ადამიანებთან ინტერვიუების რესპონდენტი №7, 12.03.2024.
[478] საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2022, 136, https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf [02.06.2024].
[479] Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No. 19, CEDAW/C/GC/35, 2017, par 31.
[480] იქვე.
[481] იქვე.

5.2.1.1. რისკის შეფასება

სტამბოლის კონვენციის 51-ე მუხლი სახელმწიფოს მიერ რისკის შეფასებისა და მართვის ვალდებულებას ითვალისწინებს.[482] ეს ვალდებულება მოიცავს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არა მხოლოდ სამართალდამცავი, არამედ ყველა შესაბამისი ორგანოს მიერ უსაფრთხოების რისკების ეფექტიან შეფასებას და მათი მართვის გეგმის შემუშავებას, სტანდარტიზებული პროცედურებისა და ერთმანეთთან თანამშრომლობის საფუძველზე.[483]

საქართველოში ძალადობის რისკის შეფასების ინსტრუმენტია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N81 ბრძანებით დამტკიცებული კითხვარი.[484]

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით, აფასებს ქალის მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის განმეორების რისკს და, მისი სიმძიმის მიხედვით, იღებს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ორდერის გამოცემისა ან მის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ.[485]

სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშის თანახმად, **მიუხედავად იმისა, რომ კითხვარის შევსებისთვის რაიმე სახის სამართლებრივი საფუძველი განსაზღვრული არ არის, პრაქტიკაში, უფლებამოსილი პირი სწორედ ამ საფუძველს ითხოვს და ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოკითხვის შემდგომ წყვეტს, შეავსოს თუ არა რისკის შეფასების დოკუმენტი. ეს კი, საბოლოოდ, ძალადობის რისკების შეუფასებლობას იწვევს.**[486]

5.2.1.2. შემაკავებელი და დამცავი ორდერები

სტამბოლის კონვენციის 53-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა მიიღოს საკანონმდებლო ან სხვა აუცილებელი ზომები, რათა შესაბამისი შემაკავებელი ან დამცავი ორდერები გაიცემოდეს ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფორმის ძალადობის მსხვერპლების მიმართ.[487] ორდერების დარღვევა კი უნდა იწვევდეს ქმედით, თანაზომიერ და გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე სისხლისსამართლებრივ ან სხვა იურიდიულ სანქციებს.[488]

---

[482] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 51, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0 [02.05.2024].

[483] GREVIO, (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, პარ. 322, https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [02.06.2024].

[484] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 ივლისის №81 ბრძანება „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე, მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“.

[485] „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10, პუნქტი 1^2.

[486] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 201, https://ombudsman.ge/res/docs/2024040116015759558.pdf [02.06.2024].

[487] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 53, პუნქტი 1, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0 [02.05.2024].

[488] იქვე, მუხლი 53, პუნქტი 3.

სტამბოლის კონვენციის მიხედვით, საჭიროა, შემაკავებელი ან დამცავი ორდერები:[489]

- უზრუნველყოფდეს დაცვას და მსხვერპლს არ აკისრებდეს შეუფერებელ ფინანსურ ან ადმინისტრაციულ ტვირთს;
- გაიცემოდეს გარკვეული ვადით ან მათ შეცვლამდე ან გაუქმებამდე;
- აუცილებლობის შემთხვევაში, გაიცემოდეს ex parte საფუძველზე და ძალაში შედიოდეს დაუყოვნებლივ;
- ხელმისაწვდომი იყოს სხვა სამართლებრივი პროცედურებისგან დამოუკიდებლად ან მათზე დამატებით;
- დასაშვები იყოს შემდგომ სამართლებრივ პროცედურებში შესატანად.

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისთვის, უფლებამოსილი ორგანოს მიერ, მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებელია, დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს შემაკავებელი ან დამცავი ორდერები.[490]

შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის მოთხოვნის უფლება *აქვს მსხვერპლს, მსხვერპლის ოჯახის წევრს ანდა, მსხვერპლის თანხმობით, სოციალურ მუშაკს, ასევე, პირს, რომელიც მსხვერპლს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს, ხოლო არასრულწლოვანის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.*[491]

შემაკავებელი ორდერის გამოცემა სავალდებულოა, როდესაც გამოძიება იწყება ან მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით, რომლებიც „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1^1-ელ პუნქტშია ჩამოთვლილი.[492]

ამასთანავე, პოლიცია უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ შეიძლება დაირღვეს პირის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები მისი უგულებელყოფით ან იძულებით ან/და მის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით.[493]

შემაკავებელი ორდერი გაიცემა პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ *1 თვემდე ხანგრძლივობით და ძალაში შედის ამოქმედებისთანავე.*[494] *მსხვერპლსა და მოძალადეს ორდერის გასაჩივრება შეუძლიათ მისი ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში.*[495]

---

[489] იქვე, მუხლი 53, პუნქტი 2.

[490] „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10, პუნქტი 1.

[491] იქვე, მუხლი 11, პუნქტი 1.

[492] „პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად დროებითი ღონისძიების სახით შემაკავებელი ორდერის გამოცემა სავალდებულოა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 137-ე და 138-ე მუხლებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილით, 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით, 144^1-ე–144^3-ე და 151-ე მუხლებით, 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით და 381^1-ე მუხლით გამოძიების დაწყების ან გამოძიების მიმდინარეობის შემთხვევაში“. იხ. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10, პუნქტი 1^1.

[493] იქვე, მუხლი 11, პუნქტი 2.

[494] იქვე, მუხლი 12, პუნქტი 4; მუხლი 10, პუნქტი 3^6.

[495] იქვე, მუხლი 10, პუნქტი 3^8.

ამ აქტით განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში.

შემაკავებელი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:[496]

ა) მოძალადის გარიდებას მსხვერპლის საცხოვრებელი სახლიდან, მიუხედავად იმისა, მოძალადე ამ სახლის მესაკუთრეა თუ არა;

ბ) მოძალადისგან მსხვერპლისა და მასზე დამოკიდებული პირის გარიდებასა და თავშესაფარში მოთავსებას;

გ) მოძალადისთვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

დ) მოძალადის არასრულწლოვანისგან განცალკევებას;

ე) მოძალადის მიახლოებას მსხვერპლთან, მის სამსახურსა და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება;

ვ) ელექტრონულ ზედამხედველობას;

ზ) მოძალადისთვის ამ ორდერის მოქმედებისა ან ამ ორდერით განსაზღვრულ პერიოდში იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, იარაღის შეძენის ან მისი შეძენისთვის ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვას და პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის ან დროებით ჩამორთმევის პირობებს;

თ) მოძალადის გაფრთხილებას, ამ ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ი) სხვა საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

დამცავი ორდერი პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტია, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.[497]

დამცავი ორდერი გამოიცემა 9 თვემდე ხანგრძლივობით.[498] თუ არსებობს მსხვერპლისა ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ საფრთხე, მისი მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 3 თვით.[499]

დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედება შერიგების შემთხვევაში[500]

მსხვერპლისა და მოძალადის შერიგება არ აფერხებს დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემას და არ იწვევს მათი მოქმედების გაუქმებას, თუ ჯერ კიდევ არსებობს მსხვერპლის ან მისი ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობის ჩადენის საფრთხე, ან ქალის მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტი ეწინააღმდეგება მსხვერპლის ოჯახის სხვა წევრთა (განსაკუთრებით, არასრულწლოვანის) ინტერესებს.

მოძალადის მიერ შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.[501]

[496] იქვე, მუხლი 10, პუნქტი 3^2.
[497] იქვე, მუხლი 10, პუნქტი 2.
[498] იქვე, მუხლი 12, პუნქტი 1.
[499] იქვე, მუხლი 12, პუნქტი 2.
[500] იქვე, მუხლი 13.
[501] იქვე, მუხლი 10, პუნქტი 4; ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 381^1.

გამოწვევაა შემაკავებელი ორდერის დარღვევის შემთხვევებზე შესაბამისი რეაგირების არარსებობა. როდესაც სასამართლო ადეკვატურად არ აფასებს ძალადობის რისკებს და მოძალადის მიმართ იყენებს პატიმრობაზე უფრო მსუბუქ აღკვეთის ღონისძიებას, ასევე, როდესაც ხანმოკლე პატიმრობის შემდეგ მოძალადე დაზარალებულთან საცხოვრებლად ბრუნდება, ეს ქმნის დანაშაულის განმეორების საფრთხეს და ვერ უზრუნველყოფს ძალადობის უფრო მძიმე ფორმების თავიდან აცილებას.[502]

GREVIO-მ 2022 წელს მტკიცედ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, უფრო მკაცრი მონიტორინგი გაუწიოს შემაკავებელი ორდერების შესრულებას, ასევე, გამოავლინოს შემაკავებელი და დამცავი ორდერების დარღვევის მაღალი მაჩვენებლის გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს ქმედითი, პროპორციული და შემაკავებელი ეფექტის მქონე სანქციების გამოყენება მათი დარღვევის შემთხვევებში.[503]

5.2.1.3. ელექტრონული ზედამხედველობა მოძალადის მიმართ

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობისას პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს შეუძლია, დაცვის დროებითი ღონისძიების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მოძალადეს დაუწესოს ელექტრონული ზედამხედველობა მსხვერპლთან, მის სამსახურსა და იმ სხვა ადგილებთან მიახლოების აკრძალვის მიზნით, სადაც მსხვერპლი იმყოფება.[504] ძალადობის განმეორების საფრთხეს პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი აფასებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმით განსაზღვრული რისკების შეფასების კითხვარის საფუძველზე.[505]

მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობა შეიძლება დაწესდეს შემაკავებელი ორდერის გამოცემისას, აგრეთვე, მისი მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს.[506]

ელექტრონული ზედამხედველობის განსახორციელებლად აუცილებელია მსხვერპლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის/საპროცესო წარმომადგენლის თანხმობა. თუ ამის თაობაზე არასრულწლოვანი მსხვერპლი აცხადებს თანხმობას, ხოლო მისი კანონიერი წარმომადგენელი/საპროცესო წარმომადგენელი – უარს, გადაწყვეტილება მიიღება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.[507]

ელექტრონული ზედამხედველობის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, მისი ოჯახის წევრს ანდა, მსხვერპლის თანხმობით, სოციალურ მუშაკს ან პირს, რომელიც მას სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს, ხოლო არასრულწლოვანის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.[508]

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმი 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. ამ ვადაში ოქმის წარუდგენლობის ან სასამართლოს მიერ მის დამტკიცებაზე უარის თქმის შემთხვევაში,

---

[502] საქართველოს სახალხო დამცველი, 2021 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი, 2023, 30-31, https://ombudsman.ge/res/docs/2023071314513662215.pdf [02.06.2024].

[503] GREVIO, (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, პარ. 340, 346, https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [02.06.2024].

[504] „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10^1, პუნქტი 1.

[505] იქვე, მუხლი 10^1, პუნქტი 2.

[506] იქვე, მუხლი 10^1, პუნქტი 3.

[507] იქვე, მუხლი 10^1, პუნქტი 6.

[508] იქვე, მუხლი 10^1, პუნქტი 5.

ელექტრონული ზედამხედველობის ღონისძიება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს.[509]

მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესით განსაზღვრულ საგანგაშო ზონაში შეღწევა, ასევე, საგანგაშო ან ბუფერული ზონის დატოვების შესახებ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შეუსრულებლობა ანდა ელექტრონული ზედამხედველობისთვის თავის არიდება იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.[510]

დადებითად უნდა შეფასდეს ბოლო წლებში ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების გააქტიურება. *2020 წლის 1-ლი სექტემბრიდან 2024 წლის 19 თებერვლის ჩათვლით პერიოდში ეს ღონისძიება 164 პირის მიმართ დაწესდა.[511] აღსანიშნავია, რომ 2023 წელს მკვეთრად, თითქმის 6-ჯერ გაიზარდა ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების რაოდენობა 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით.[512]*



2024 წლის მდგომარეობით, სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის ბალანსზე ირიცხება 350 ელექტრონული საშუალება.[513] საიამ კვლევის მომზადების პროცესში გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, „არის თუ არა დაზღვეული ელექტრონული საშუალებები და ვინ ანაზღაურებს ზიანს მათი დაზიანების შემთხვევაში“.[514] სამინისტროდან მიღებული პასუხის მიხედვით, „ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 26 აგვისტოს №126 ბრძანების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისთვის გადაცემული ელექტრონული საშუალების დაზიანება/განადგურება იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. რაც შეეხება მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ეს საკითხი წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით“.[515]

[509] იქვე, მუხლი 10[1] , პუნქტი 4.
[510] იქვე, მუხლი 10[1] პუნქტი 24.
[511] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 7 მარტის წერილი, MIA 7 24 00707921.
[512] იქვე.
[513] იქვე.
[514] საიას განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის შესახებ, გ-04/10-24.
[515] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 7 მარტის წერილი, MIA 7 24 00707921.

იქიდან გამომდინარე, რომ ელექტრონული მეთვალყურეობა ითვალისწინებს მსხვერპლისთვის მიმღები აპარატის გადაცემას და ამასთან დაკავშირებით მისთვის შესაბამისი ვალდებულებების დაკისრებას, მნიშვნელოვანია, **მოწყობილობები იყოს დაზღვეული და ამის თაობაზე ინფორმირებული იყოს მსხვერპლი და ფართო საზოგადოება.** წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ელექტრონული მოწყობილობის დაზიანების შედეგად ფინანსური და სხვა სახის ვალდებულებების წარმოშობის რისკმა მსხვერპლი დააშინოს და ეს ელექტრონულ მეთვალყურეობაზე უარის თქმის ერთ-ერთ მიზეზად იქცეს.

5.2.2. გამოძიება

5.2.2.1. გენდერის ნიშნის გამოკვეთა

პროგრესი შეინიშნება გენდერული მოტივის გამოკვეთის კუთხით და გაზრდილია შესაბამისი მაჩვენებელიც, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.[516] თუმცა, ზოგ შემთხვევაში ეს საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება.[517]

პრობლემურია, რომ, გარკვეულ შემთხვევებში, საგამოძიებო ორგანოების მიერ გენდერის მოტივის გამოკვეთის დამაბრკოლებელი გარემოება საზოგადოებაში, მათ შორის, საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლებს შორის არსებული გენდერული სტერეოტიპებია. მაგალითად, ზოგჯერ დაზარალებულსა და მოძალადეს შორის მანამდე არსებული ურთიერთობა სექსუალური ძალადობის გამამართლებელ გარემოებად მიიჩნევა. აგრეთვე, ქორწინების მიზნით ქალის მოტაცების შემთხვევაში, არ განიხილება ტრადიციით გამყარებული გენდერული დისკრიმინაციის კონტექსტი, ამასთანავე, ასეთ დროს მოძალადის და მსხვერპლის ქორწინება საკითხის გადაჭრის საშუალებად აღიქმება.[518]

5.2.2.2. ექსპერტიზა

GREVIO-ს შეფასებით, **საქართველოში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შედეგები სექსუალური ძალადობის საქმეებზე სამართლებრივი დევნის წარმოების მხრივ გადამწყვეტ როლს ასრულებს.[519]** ეს მიუთითებს, რომ ფიზიკური ძალადობა კვლავ მიიჩნევა სექსუალური ძალადობის მთავარ შემადგენელ ნაწილად, რაც კონტექსტზე დაფუძნებული გამოძიებისა და სასამართლო განხილვის კუთხით არსებულ პრობლემაზე მიანიშნებს. ასეთი პრაქტიკის გამო, ბევრი საქმე სამართლებრივი დევნის ეტაპამდე ვერ მიდის.[520]

---

[516] საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N18 ანგარიშის მიხედვით, 2023 წლის აგვისტოდან 2024 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში გაანალიზებული ოჯახური დანაშაულის 39 საქმიდან იკვეთება, რომ შესაბამისი საფუძვლის არსებობისას ბრალდების მხარე მიუთითებს გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივზე და (97% შემთხვევაში) ითხოვს ბრალდებულისთვის მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას. იხ. საიას სისხლის სამართლის მონიტორინგის ანგარიში N18, 2024. ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2024 წელს გამოქვეყნებული საპარლამენტო ანგარიშის მიხედვით, „გაიზარდა ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეებზე გენდერის ნიშნის გამოკვეთის მაჩვენებელი“. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 33-34, https://ombudsman.ge/res/docs/2024040116015759558.pdf [02.06.2024].

[517] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 33-34, https://ombudsman.ge/res/docs/2024040116015759558.pdf [02.06.2024].

[518] იქვე, 23.

[519] GREVIO, (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, პარ. 312, https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [02.06.2024].

[520] იქვე.

პრობლემურია სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პრაქტიკა, როდესაც ამის საჭიროება არ იკვეთება.[521] ეს, შესაძლოა, მიზნად ისახავდეს მსხვერპლის „სანდოობის" შემოწმებას, რაც მათ მიმართ ზოგად უნდობლობას აძლიერებს.

პრობლემურია, რომ **საქალწულე აპკის დაზიანების არარსებობა ხშირად განაპირობებს დასკვნას, რომ სხეულში შეღწევა და გაუპატიურება არ მომხდარა**.[522] ზოგ შემთხვევაში, მიუხედავად გაუპატიურების დამადასტურებელი მტკიცებულებებისა, საქალწულე აპკის მთლიანობის დაურღვევლობის გამო, ქმედება, გაუპატიურების ნაცვლად, გაუპატიურების მცდელობად კვალიფიცირდება.[523] ეს მავნე და დისკრიმინაციული პრაქტიკაა. „ქალწულობის შემოწმება" (virginity testing) არ არის გაუპატიურების ფაქტის დადგენის საშუალება და არ იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, რამდენად მძიმე გავლენა შეიძლება იქონიოს გაუპატიურებამ მსხვერპლზე.[524]

პრობლემურია, როდესაც მსხვერპლს არ ეძლევა საშუალება, იმავე სქესის ექსპერტი მოითხოვოს, რაც, ხშირ შემთხვევაში, განპირობებულია ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ქალი ექსპერტების არასაკმარისი რაოდენობით.[525] ამ კუთხით გატარებული ღონისძიებებისა და გარკვეული პროგრესის მიუხედავად,[526] ბიუროში კვლავ შესამჩნევია ქალი სამედიცინო ექსპერტების ნაკლებობა, რეგიონული განყოფილებების ნაწილში კი ამ პოზიციაზე ქალები საერთოდ არ არიან დასაქმებულნი.[527] ხშირად, სექსუალური ძალადობის მსხვერპლები უარს ამბობენ ექსპერტიზაზე ექიმის სქესის გამო.[528] სექსუალური ძალადობის მსხვერპლის თუნდაც არაპირდაპირი იძულება,

---

[521] საია ეხმიანება ქალთა საერთაშორისო დღეს, 08.03.2024, https://gyla.ge/ge/post/saia-ekhmianeba-qalta-saertashoriso-dghes#sthash.2Egk1SOH.dpbs [02.06.2024].

[522] GREVIO, (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, პარ. 314, https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [02.06.2024].

[523] საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, 2020, 40, https://ombudsman.ge/res/docs/2020121613551185316.pdf [02.06.2024].

[524] Eliminating virginity testing: an interagency statement. Geneva: World Health Organization; 2018, 7-10. https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Issues/Women/WRGS/EliminatingVirginityTestingAnInteragency.pdf [02.06.2024].

[525] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სქესის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, 2020, https://www.ombudsman.ge/res/docs/2020122312175323189.pdf [02.06.2024].

[526] სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2019 წლიდან „ქუთაისის, აჭარისა და შიდა ქართლის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტებში სამედიცინო ექსპერტიზის მიმართულებით დასაქმდნენ ქალი ექსპერტები. ასევე, ქალი ექსპერტების დასაქმების შესაძლებლობის გაზრდის მიზნით, 2023 წელს ჯანდაცვის სამინისტროს აკრედიტაციის საბჭოს მიერ განხორციელდა სუბსპეციალობების პროგრამის „კლინიკური სასამართლო მედიცინა" აკრედიტაცია". სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 22 მარტის წერილი N5001785024.

[527] სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, „თბილისის სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტში, ჯამში, დასაქმებულია 17 სამედიცინო ექსპერტი, მათ შორის, მდედრობითი სქესის 8 და მამრობითი სქესის 9. კახეთის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებაში დასაქმებულია 3 მამრობითი სქესის ექსპერტი; ქვემო ქართლის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებაში - 4 მამრობითი სქესის ექსპერტი; შიდა ქართლის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებაში - 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის ექსპერტი, ხოლო სამცხე ჯავახეთის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებაში - 1 მამრობითი სქესის ექსპერტი. დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში სამედიცინო და ჰისტოლოგიური ექსპერტიზის განყოფილებაში დასაქმებულია 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის ექსპერტი, ხოლო აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში - 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის ექსპერტი". სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 22 მარტის წერილი N5001785024.

[528] საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, 2020, 40, https://ombudsman.ge/res/docs/2020121613551185316.pdf [02.06.2024].

შეამოწმოს სხვა სქესის ექსპერტმა, გენდერულად არამგრძნობიარე პრაქტიკაა.[529] ამ პროცესში ისინი ექსპერტების მხრიდან აწყდებიან არამგრძნობიარე, გენდერულ სტერეოტიპებზე დამყარებულ მიდგომას.[530]

რეკომენდაციები

მართლმსაჯულების და საგამოძიებო ორგანოებს:

- უზრუნველყონ ინფრასტრუქტურისა და სერვისების მისაწვდომობა შშმ პირებისთვის.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- შემუშავდეს შესაბამისი სპეციალური ოპერაციული პროცედურები (სოპ) საგანმანათლებლო და ჯანდაცვის დაწესებულებების თანამშრომლებისთვის, გენდერულად მოტივირებული ძალადობის ამოცნობის და მათზე ეფექტიანი, კოორდინირებული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით.
- უწყვეტად უზრუნველყოს საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლების ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლება გენდერულად მოტივირებული ძალადობის ამოცნობის და მასზე რეაგირების საკითხებზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- უზრუნველყოს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ელექტრონული ზედამხედველობის მოწყობილობების დაზღვევის საკითხთან დაკავშირებით, რათა მოწყობილობის დაზიანების შედეგად წარმოშობილი ფინანსური პასუხისმგებლობის შიშმა არ გამოიწვიოს მსხვერპლის მხრიდან ელექტრონულ ზედამხედველობაზე უარის თქმა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პროკურატურას:

- უზრუნველყონ გამომძიებლებისა და პროკურორების უწყვეტი განათლება გენდერულად მოტივირებული დანაშაულის გამოძიებისას გენდერის ნიშნის გამოკვეთის თაობაზე.
- უარი ითქვან პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც, საქალწულე აპკის ექსპერტიზის შედეგად დგინდება, რეალურად მოხდა თუ არა გაუპატიურება.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს:

- უზრუნველყოს მეტი ქალი სამედიცინო ექსპერტის დასაქმება და მათი გადანაწილება რეგიონებში.

---

[529] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს სქესის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, 2020, https://www.ombudsman.ge/res/docs/2020122312175323189.pdf [02.06.2024].

[530] იქვე. ასევე, GREVIO, (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, პარ. 114, https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [02.06.2024]; ასევე, საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, 2020, 40, https://ombudsman.ge/res/docs/2020121613551185316.pdf [02.06.2024].

6. საქმის წარმოება სასამართლოში

ამ თავში განხილულია გენდერულად მოტივირებული ძალადობის შემთხვევაში სასამართლოში საქმის წარმოების პროცესი და საკითხები, რომლებიც შეეხება სპეციალიზებულ მოსამართლეებს, პროკურორებსა და გამომძიებლებს, ასევე, სასამართლოს სტატისტიკურ ინფორმაციას.

6.1. სპეციალიზებული მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები

6.1.1. სპეციალიზებული მოსამართლეები

2012 წელს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ (შემდგომში CCJE[531]) მიიღო დასკვნა №15 „მოსამართლეთა სპეციალიზაციის შესახებ". მასში **სპეციალიზებული მოსამართლე** განმარტებულია შემდეგნაირად: *„მოსამართლე, რომლის სპეციალიზაცია შემოიფარგლება კანონმდებლობის გარკვეული დარგებით ან მოსამართლე, რომელიც მუშაობს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მქონე საქმეზე კონკრეტულ დარგში".*[532]

საქართველოში მოსამართლეთა სპეციალიზაცია ხორციელდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე[533] პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში. პირი უფლებამოსილია, ჩააბაროს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან ერთ-ერთი სპეციალიზაციით (სისხლი, ადმინისტრაციული, სამოქალაქო),[534] თუმცა, შესაძლებელია, მას სხვა დარგში შესთავაზონ დანიშვნა.[535] ეს კი, შეიძლება უარყოფითად აისახოს საქმის ეფექტიან განხილვაზე.

„სამოქალაქო საქმეს სისხლის მოსამართლე ისე ეფექტიანად ვერ განიხილავს, როგორც სამოქალაქო სპეციალიზაციის მქონე. დროც მეტი დასჭირდება, შეცდომების ალბათობაც დიდია. შესაბამისად, უფრო მოსალოდნელია ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება".[536]

პირველი ინსტანციის სასამართლოში (რაიონული, საქალაქო), სადაც ორი მოსამართლეა, ერთი განიხილავს სისხლის სამართლის, ხოლო მეორე – სამოქალაქო და სხვა კატეგორიის საქმეებს, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.[537] იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, სადაც საქმეთა წარმოება განსაკუთრებით ინტენსიურია და ორზე მეტი მოსამართლეა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება მოხდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია, ან შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები (შემდგომში – სასამართლო კოლეგიები).[538] სასამართლო კო-

[531] **ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE)** – 2000 წელს მინისტრთა კომიტეტმა დააარსა მოსამართლეებისგან შედგენილი ორგანო, რომლის მიზანია ევროპაში სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კომპეტენტურობის ხელშეწყობა. https://www.coe.int/en/web/ccje/background-and-mission.

[532] https://rm.coe.int/-ccje-15-2012-/1680747465, 3.

[533] საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 30.1.

[534] 2018 წლის 19 მარტის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ, მუხლი 6.

[535] საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 35.4.

[536] დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი, საქმეთა გაჭიანურების პრობლემა საქართველოს საერთო სასამართლოებში, 2023, გვ. 88, პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე, კაცი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.

[537] საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 30.2.

[538] იქვე.

ლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობას და მის შემადგენლობას ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს.[539]

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, **სააპელაციო სასამართლოში** შეიძლება მოხდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია.[540] მეორე ინსტანციის სასამართლოში იქმნება ***სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეთა პალატები*** *და საგამოძიებო კოლეგია.*[541]

საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა,[542] რომელიც 28 მოსამართლისგან შედგება.[543] მის შემადგენლობაში იქმნება სპეციალიზებული სტრუქტურები: ***სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეთა პალატები,*** *ასევე, დიდი პალატა, პლენუმი, სადისციპლინო და საკვალიფიკაციო პალატები.*[544]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №10 დადგენილებაში („თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“) მოცემულ ***მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის სიაში არ არის გენდერულად მოტივირებული ძალადობის დანაშაულის შესახებ სპეციალიზაცია.*** თუმცა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეებს ვიწრო სპეციალიზაცია აქვთ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის, ასევე ოჯახისა და არასრულწლოვანის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა კატეგორიებში.[545]

2024 წლის 19 თებერვალს საიამ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა კითხვით, **რამდენ მოსამართლეს აქვს სპეციალიზაცია გენდერულად მოტივირებული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართულებებით**. სამწუხაროდ, საბჭომ კითხვა უპასუხოდ დატოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის სამი ჯგუფია, რომლებშიც საქმეები საკმაოდ არათემატურადაა გადანაწილებული: სქესობრივი და სამოხელეო დანაშაულები თავმოყრილია ერთი სპეციალიზაციის ჯგუფში, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული, სამოხელეო და ფინანსური დანაშაულები - მეორეში, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის, ოჯახისა და არასრულწლოვანის წინააღმდეგ ჩადენილი და გარემოს დაცვის დანაშაულები კი - მესამეში.[546]

მოსამართლეთა სპეციალიზაცია არ გულისხმობს, რომ გენდერულად მოტივირებული ძალადობის საქმეები მხოლოდ სპეციალიზებულმა მოსამართლეებმა განიხილონ. უფრო მეტიც, ისეთ რაიონულ სასამართლოებში, სადაც ცოტა მოსამართლეა, დებულება, რომელიც მოითხოვს, საქმე მხოლოდ სპეციალიზებულმა მოსამართლემ განიხილოს, სპეციალიზაციის არქონის შემთხვევაში, სამართალწარმოების გაჭიანურებას გამოიწვევს.

CCJE-ს მიხედვით, სპეციალიზებული მოსამართლეები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით იყენებენ მულტიდისციპლინურ მიდგომას. სპეციალიზაციის შედეგად შეძენილი გამოცდილებით შესაძლებელია საქმეთა წარმოების გაუმჯობესება, რაც

[539] იქვე, მუხლი 30.3.
[540] იქვე, მუხლი 23.2[1].
[541] იქვე, მუხლი 23.2.
[542] იქვე, მუხლი 14.1.
[543] იქვე, მუხლი 14.3.
[544] იქვე, მუხლი 15.2.
[545] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილება №10, 2020 წლის 11 აგვისტო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ, მუხლი 1.გ. (გ.ა; გ.ბ; გ.გ.).
[546] იქვე.

მნიშვნელოვანია საქმეთა რაოდენობის მუდმივი ზრდის პირობებში. ამასთანავე, სპეციალიზაცია დაეხმარება მოსამართლეებს, მსგავსი საქმეების მრავალჯერ განხილვის შედეგად, უკეთესად გააანალიზონ მათთან დაკავშირებული რეალობები ტექნიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ დონეებზე და ისე გამოიტანონ შესაბამისი გადაწყვეტილებები.[547]

მოსამართლეთა სპეციალიზაციას შესაბამისი რისკებიც ახლავს. მაგალითად, შესაძლებელია, მოსამართლემ გაიმეოროს გადაწყვეტილებები, რაც შეაფერხებს პრეცედენტული სამართლის განვითარებას.[548] თუმცა, ამ რისკის მიუხედავად, **გენდერულად მოტივირებული ძალადობის შემთხვევაში, მოსამართლეთა სპეციალიზაციამ შეიძლება უფრო დადებითი შედეგი იქონიოს, ვიდრე უარყოფითი**. სპეციალიზებულ მოსამართლეს აქვს უფრო მეტი გამოცდილება და ცოდნა, სასამართლო პროცესი ისე წარმართოს, რომ ძალადობის მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაცია არ გამოიწვიოს.

6.1.2. სპეციალიზებული პროკურორები და გამომძიებლები

საიამ, ოჯახში ძალადობისა და ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებული განაჩენების შესწავლის მიზნით, 7 სასამართლოდან[549] გამოითხოვა მონაცემები, თუმცა მხოლოდ ბათუმის საქალაქო სასამართლომ მოგვაწოდა 20 განაჩენი. საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N18 ანგარიშის საფუძველზე, 2023 წლის აგვისტოდან 2024 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში გაანალიზებული 39 ოჯახური დანაშაულის საქმიდან იკვეთება, რომ შესაბამისი საფუძვლის არსებობისას **ბრალდების მხარე უთითებს გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივზე (97% შემთხვევაში) და ითხოვს ბრალდებულისთვის მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას.**[550]

ასევე, პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარეობს პროკურორთა გადამზადება. კურსი მოიცავს შემდეგ სპეციალიზაციებს: ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები. ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე სპეციალიზებულია 225 პროკურორი (აქედან 100 პროკურორი ქალია), ხოლო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე - 139 პროკურორი (აქედან 65 ქალია).[551]

2021 წლიდან სექსუალური ძალადობის საქმეებს იძიებენ და სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებენ გენერალური პროკურატურის მხოლოდ ის პროკურორები და გამომძიებლები, რომლებმაც სექსუალური ძალადობის შესახებ სპეციალური მოსამზადებელი კურსი გაიარეს. გარდა ამისა, ამ სპეციალიზაციის მქონე გამომძიებლები და პროკურორები მუშაობენ სხვა სისხლისსამართლებრივ საქმეებზეც, რომლებიც მათ დაეწერებათ.

სახელმწიფოს განმარტებით, სექსუალური დანაშაულების რაოდენობა საქართველოში არ საჭიროებს სპეციალიზებული საპროკურორო სერვისების დანერგვას.[552] თუმცა, სტატისტიკა ცხადყოფს, რომ სქესობრივი თავისუფლებისა და

[547] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა №15 (2012), ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საყურადღებოდ, მოსამართლეთა სპეციალიზაციის შესახებ, პარ. 11-13.

[548] იქვე, პარ. 15.

[549] თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო და ზუგდიდის, თელავის, გორის რაიონული სასამართლოები.

[550] საიას სისხლის სამართლის მონიტორინგის ანგარიში №18, 2024, 63.

[551] საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხი №13/15206, 06.03.2024.

[552] GREVIO's (Baseline) Evaluation Report, 2022, 72, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [02.04.2024].

ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. გარდა ამისა, დევნის დაწყების მაჩვენებელი კონკრეტული დანაშაულის რეგისტრირებულ მონაცემზე, დაახლოებით, 2-ჯერ ნაკლებია.[553]

სტამბოლის კონვენციის 55-ე მუხლის თანახმად, **გამოძიება და სამართლებრივი დევნა დამოკიდებული არ უნდა იყოს მსხვერპლის მიერ საჩივრის შეტანასა ან შეტყობინებაზე.**[554] ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განხორციელებას და მოძალადისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებას მსხვერპლის შესაძლებლობისა და სურვილის მიუხედავად. ასევე, პროკურორს აქვს მნიშვნელოვანი ფუნქცია, უხელმძღვანელოს გამოძიებისა და მტკიცებულების შეგროვების პროცესის კანონიერებას, რათა სასამართლო პროცესზე მხოლოდ მსხვერპლის/მოწმის ჩვენება არ იყოს ერთადერთი მტკიცებულება.[555]

დადებითად უნდა შეფასდეს პროკურორებისა და საგამოძიებო უწყების თანამშრომლებისთვის სპეციალიზებული ტრენინგების ჩატარება ცნობიერების ამაღლების მიზნით. თუმცა, სექსუალური დანაშაულის ზრდის ტენდენცია და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს პროკურატურის სისტემის გაუმჯობესების აუცილებლობაზე. აქედან გამომდინარე, უწყვეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა არსებული პრაქტიკა სტამბულის კონვენციასთან შესაბამისობაში მოვიდეს.



	137-ე მუხლი	138-ე მუხლი	139-ე მუხლი	140-ე მუხლი	141-ე მუხლი
2021	170	85	12	158	105
2022	176	96	33	155	118
2023	204	82	37	116	129

556

[553] მაგალითად, 2021 წელს გამოვლინდა გაუპატიურების 170 შემთხვევა (მუხლი 137), თუმცა დევნა დაიწყო 84 მათგანზე. 2023 წლის სტატისტიკის მიხედვით, გაუპატიურების 204 ინციდენტიდან დევნა მხოლოდ 102-ზე დაიწყო (იხ. ქვემოთ მოცემული დიაგრამები).

[554] სტამბოლის კონვენცია, მუხლი 55.1.

[555] GREVIO's (Baseline) Evaluation Report, 2022, 20, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [02.04.2024].

[556] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა რეგისტრირებული დანაშაულების შესახებ, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/uploads/63d90004cd52a.pdf; https://info.police.ge/uploads/65ba233e8609a.pdf [02.04.2024].



[557]

6.2. სასამართლოს სტატისტიკა

საიამ პირველი ინსტანციის 7 სასამართლოს[558] შემდეგი კითხვებით მიმართა:

1. *2019-2023 წლების განმავლობაში რამდენი საქმე განიხილა თითოეულმა სასამართლომ კონკრეტულ მუხლებთან[559] დაკავშირებით?*
2. *აქედან რამდენ საქმეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რამდენ საქმეზე დასრულდა საქმის განხილვა არსებითად, რამდენზე დადგა გამამართლებელი, გამამტყუნებელი ან ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი?*
3. *რამდენ საქმეზე შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის შეურაცხაობის გამო?*
4. *გთხოვთ, მოგვაწოდოთ ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ დანაშაულზე, ბრალდებულის შეურაცხაობის საფუძვლით, 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გამოტანილი განჩინებები სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.*

6.2.1. თბილისის საქალაქო სასამართლო

თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილის მიხედვით, რესურსების არქონის გამო, არ ხდება მონაცემთა სტატისტიკური წარმოება.[560]

[557] საქართველოს პროკურატურის სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads/294341cc-sqesobrivi-Tavisuflebisa-da-xelsheuxeblobis-winaaRmdeg-mimarT.pdf [02.04.2024].
[558] თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის საქალაქო სასამართლოები, გორის, თელავის, ზუგდიდის რაიონული სასამართლოები.
[559] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები: 53[1].1,2; 109.დ,თ,კ; 115.2ა; 117.2 ე,ვ,კ; 137-141.
[560] თბილისის საქალაქო სასამართლოს №1-0123/10195-1096 წერილი, 04.03.2024.

6.2.2. ქუთაისის საქალაქო სასამართლო

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წერილის მიხედვით, რესურსის არქონის გამო, ვერ ახერხებენ ინფორმაციის დამუშავებას და სტატისტიკურ აღრიცხვას.[561]

6.2.3. ბათუმის საქალაქო სასამართლო

ბათუმის საქალაქო სასამართლომ გამოგვიგზავნა ზოგადი სტატისტიკური ცნობები[562] და განმარტა, რომ რესურსების არარსებობის გამო, ვერ ხერხდება მონაცემთა უფრო დეტალური დამუშავება.[563]



[564]

6.2.4. გორის რაიონული სასამართლო

გორის რაიონული სასამართლოს წერილის მიხედვით, 2022-2023 წლებში გენდერის ან გენდერული იდენტობის ნიშნით განიხილეს 75 საქმე.[565]

6.2.5. ზუგდიდის რაიონული სასამართლო

ზუგდიდის რაიონული სასამართლოდან საიას პასუხი არ მიუღია.

6.2.6. რუსთავის საქალაქო სასამართლო

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:[566]

---

[561] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს №19991-1 წერილი, 01.03.2024.
[562] ბათუმის საქალაქო სასამართლოს №296 წერილი, 13.03.2024.
[563] ბათუმის საქალაქო სასამართლოს №297 წერილი, 13.03.2024.
[564] ბათუმის საქალაქო სასამართლოს №296 წერილი, 13.03.2024.
[565] გორის რაიონული სასამართლოს №2335 შ/გ წერილი, 29.02.2024; ასევე, №2336 შ/ფ წერილით გვაცნობეს, რომ არ აქვთ რესურსი, უზრუნველყონ საქმეების სისტემატიზაცია და საარქივო დამუშავება, შესაბამისად, სხვა კითხვებზე პასუხი ვერ მოგვაწოდეს.
[566] რუსთავის საქალაქო სასამართლოს №420/გ წერილი, 02.03.2024.



[567]

ამგვარად, რუსთავის სასამართლოში ბოლო 2 წლის განმავლობაში აქტიურად განიხილება სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. ეს, შესაძლოა, მიუთითებდეს მისი ჩადენის სიხშირეზე ანდა ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმატებაზე, რომლის შედეგადაც, მიმართვიანობა გაიზარდა.



[568]

[567] იქვე. ასევე, ამავე წერილის თანახმად, **რუსთავის სასამართლოს 2019-2023 წლებში არ განუხილავს 109-ე (დ, თ, კ), 115.2-ე (ა), 117.2-ე (ე, ვ, კ) და 139-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.**
[568] იქვე.

არსებითი განხილვა	**174**
საპროცესო შეთანხმება	**7**
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ბრალდებულის გარდაცვალების გამო	**1**
გამამართლებელი განაჩენი	**5**
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ბრალდებულის შეურაცხაობის გამო	**0**

[569]

6.2.7. თელავის რაიონული სასამართლო

თელავის რაიონული სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:[570]



[571]

[569] იქვე.
[570] თელავის რაიონული სასამართლოს წერილი №92, 04.03.2020.
[571] იქვე.



[572]

რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს:

- **მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციას დაემატოს გენდერულად მოტივირებული ძალადობის სპეციალიზაცია**.
- **მოხდეს სპეციალიზაციის თემატურად გადანაწილება.** ცალკე სპეციალიზაციად ჩამოყალიბდეს გენდერულად მოტივირებული ძალადობის დანაშაული (ძალადობის ყველა ფორმის გათვალისწინებით) და ოჯახური დანაშაულები.

საქართველოს პროკურატურას:

- **უზრუნველყოს მეტი ქალი პროკურორის გადამზადება,** რათა მათ მიიღონ „ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა“ და „შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების“ სპეციალიზაცია.
- **უზრუნველყოს პროკურორების მუდმივი სწავლება-გადამზადება**.

საერთო სასამართლოებს:

- გააძლიეროს ძალისხმევა გენდერულად მოტივირებული ძალადობის შესახებ **სტატისტიკის წარმოების მიმართულებით.**

[572] იქვე.

7. სასჯელის აღსრულება და დამნაშავის ქცევის კორექცია

სტამბოლის კონვენცია სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, **მიიღოს ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა, რათა შეიმუშაოს ან მხარი დაუჭიროს ისეთ პროგრამებს, რომელთა მიზანია, ოჯახში ძალადობის აქტების ჩამდენ პირებს ასწავლოს არაძალადობრივი ქცევა პიროვნებათშორის ურთიერთობებში, მომავალში ძალადობის პრევენციისა და ძალადობრივი ქცევის ფორმების შეცვლის მიზნით**.[573] ასეთი პროგრამები ოჯახში ძალადობის საკითხებზე უნდა ეფუძნებოდეს საუკეთესო პრაქტიკას, ასევე, კვლევების შედეგებს, რომლებიც მიმართულია დამნაშავეებთან მუშაობის ყველაზე ეფექტიანი გზების გამოვლენაზე, ხელი უნდა შეუწყოს დამნაშავეთა მიერ პასუხისმგებლობის გაცნობიერებას საკუთარ ქმედებებზე და მათი დამოკიდებულების, შეხედულებების გადასინჯვას ქალებთან დაკავშირებით.[574] ამავე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, დანერგოს და მხარი დაუჭიროს მკურნალობის პროგრამებს, რომლებიც მიმართულია დანაშაულის, განსაკუთრებით კი, სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩამდენი პირების მხრიდან ქმედების ხელმეორედ ჩადენის პრევენციაზე.[575] ეს პროგრამები შექმნილია სექსუალურ დანაშაულში მსჯავრდებული პირებისთვის (რომლებსაც თავისუფლება აღეკვეთათ ან გათავისუფლდნენ), რათა შეძლებისდაგვარად შემცირდეს დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის რისკი.[576]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლის მიხედვით, პირობითი მსჯავრის დროს, თუ არსებობს საამისო საფუძველი, სასამართლოს შეუძლია, მსჯავრდებულს დააკისროს განსაზღვრული მოვალეობის შესრულება: მათ შორის, თუ მსჯავრდებულს ოჯახური დანაშაული აქვს ჩადენილი – აგრეთვე ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი. მოსამართლეს შეუძლია, მსჯავრდებულს დააკისროს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას.[577] სასურველია, ამ მხრივ გაფართოვდეს სასამართლოს უფლებამოსილება, რათა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის დაკისრება აღარ იყოს დაკავშირებული მხოლოდ პირობით მსჯავრთან და მოსამართლეს მისი გამოყენება ნებისმიერ სასჯელთან მიმართებით შეეძლოს.

იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, გენდერულად მოტივირებული ძალადობისთვის მსჯავრდებულ პირთათვის, მათი რეაბილიტაციისა და ქცევის კორექციის მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებებში ხელმისაწვდომია **„ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი (PRIA)“;** ასევე, ინფორმაციული ტრენინგები და ცნობიერების ასამაღლებელი სხვადასხვა ღონისძიება.[578] ეს კურსები, ისევე, როგორც ყველა კურსი პენიტენციურ დაწესებულებაში, არის ნებაყოფლობითი.[579]

„ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი (PRIA)“ ხორციელდება 25 კვირის განმავლობაში, კვირაში ერთხელ, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. თითოეული სეანსი (სესიის) გრძელდება 90 წთ. პროგრამა, მთლიანობაში, მიმდინარეობს 6,5 თვე. ინფორმაციული ტრენინგები და

[573] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (მიღების თარიღი: 11.05.2011, ძალაში შევიდა: 01.09.2017), CETS No. 210, მუხლი 16, პუნქტი 1, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0 [05.06.2024].

[574] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 104.

[575] იქვე, 105.

[576] იქვე.

[577] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 65.

[578] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის 25 მარტის №3526 წერილის დანართი 1.

[579] იქვე.

ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები სხვადასხვა ხანგრძლივობისაა - ერთჯერადი შეხვედრით დაწყებული 2 თვემდე პერიოდით დამთავრებული. „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის (PRIA)“ მიზნობრივი ჯგუფის აუცილებელი კრიტერიუმია, რომ მონაწილე იყოს სრულწლოვანი მსჯავრდებული მამაკაცი, რომელიც არის გასამართლებული 126[1]-ე და მე-11[1] მუხლებით მეუღლესა ან პარტნიორზე ძალადობისთვის, ასევე, იმავე ნიშნებით გამოვლენილია რისკისა და საჭიროების შეფასებისას. სხვა ღონისძიებებში ჩართვა შესაძლებელია როგორც სპეციალისტის მიერ გადამისამართებით, ისე მსჯავრდებულის მოთხოვნით.[580] 2023 წელს პროგრამაში მონაწილეობდა 34 მსჯავრდებული, დაასრულა 31-მა მათგანმა (91%).[581]

ხსენებული სასწავლო კურსი ასევე ხორციელდება სსიპ **„დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“** სისტემაში და მასში ამჟამად 132 პირი სავალდებულოდ არის ჩართული.[582]

GREVIO 2022 წელს მტკიცედ მოუწოდებდა ხელისუფლებას, სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, გადაედგა ნაბიჯები სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირებისთვის მკურნალობის პროგრამების შესაქმნელად.[583] **ასეთი სპეციალური პროგრამა სქესობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთათვის ჯერ დანერგილი არ არის.**

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდეს ცვლილება, რათა **ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის დაკისრება აღარ იყოს დაკავშირებული მხოლოდ პირობით მსჯავრთან** და სასამართლოს მისი გამოყენება ნებისმიერ სასჯელთან მიმართებით შეეძლოს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

- **უზრუნველყოს სქესობრივ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთათვის სპეციალური პროგრამების დანერგვა,** დანაშაულის გამეორების პრევენციის მიზნით, სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

[580] იქვე.
[581] იქვე.
[582] იქვე.
[583] GREVIO, (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, პარ. 128, https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [18.04.2024].

8. მსხვერპლის მიერ კომპენსაციის მიღება

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლი უფლებამოსილია, მიიღოს ზიანის ანაზღაურება მოძალადისგან[584] ან კომპენსაცია სახელმწიფოსგან.[585] ამ თავში განხილულია, რა შემთხვევაში შეუძლია მსხვერპლს მათი მიღება და რა პროცედურებია საჭირო.

8.1. ზიანის ანაზღაურების მიღება მოძალადის მხრიდან

ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ***ზიანის ასანაზღაურებლად გამოიყენება სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმები***.[586] ძალადობის მსხვერპლი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის მოძალადის მიერ ანაზღაურების მოთხოვნით.[587] ამ სამართალწარმოების ფარგლებში ***მოსარჩელე (მსხვერპლი) გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისგან.***[588] ***ამგვარ დავებს სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309[16]-ე-309[21]-ე მუხლების შესაბამისად, შემჭიდროებულ ვადებში განიხილავს.***[589]

8.2. კომპენსაციის მიღება სახელმწიფოს მხრიდან

CEDAW-ს კომიტეტი მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევს, უზრუნველყონ ეფექტიანი რეპარაცია ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის მსხვერპლთა/გადარჩენილთათვის, რაც მოიცავს ფულადი კომპენსაციის გაცემასაც.[590] საქართველოში ***მსხვერპლი უფლებამოსილია, მიიღოს კომპენსაცია სახელმწიფოსგან იმ შემთხვევაში, თუ მოძალადე არ ანაზღაურებს ზიანს.***[591]

---

[584] „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი (გ) ნაწილი.

[585] იქვე, მე-17.1 (დ) მუხლი; საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 ნოემბრის დადგენილება №523, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 1.1.

[586] „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი.

[587] იქვე, 17.1 (გ) მუხლი.

[588] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 46.1 (კ) მუხლი.

[589] იქვე, მუხლები 309[16]-309[21].

[590] General recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No. 19, 2017, 17, para 33.

[591] „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი (დ) ნაწილი.

ვის შეუძლია, მოითხოვოს კომპენსაცია?

- *ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლს*[592] *ან გარდაცვლილი მსხვერპლის არასრულწლოვან შვილს.*[593]

არსებობს რაიმე წინაპირობა კომპენსაციის მოთხოვნისთვის?

- *დიახ, ჯერ სასამართლომ უნდა დაადგინოს მოძალადისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ამიტომ, მსხვერპლმა სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მოძალადისგან ზიანის ანაზღაურება.*[594]

რა სასამართლო ხარჯებთანაა დაკავშირებული?

- *მოძალადეთა წინააღმდეგ აღძრულ სარჩელებზე მოსარჩელეები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისგან.*[595]

რა ვადაში წარმოეშობა მსხვერპლს უფლება, მოითხოვოს კომპენსაცია?

- *თუკი მოძალადისგან ექვსი თვის განმავლობაში ვერ მოხერხდება სასამართლოს მიერ განსაზღვრული ზიანის ოდენობის არანაკლებ 40%-ის ანაზღაურება, მაშინ მსხვერპლი უფლებამოსილია, კომპენსაციის მიღების მოთხოვნით მიმართოს სახელმწიფოს.*[596]

რა ვადაში შეუძლია მსხვერპლს კომპენსაციის მოთხოვნა?

- *ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 წლის განმავლობაში.*[597]

რა ვადაში შეუძლია არასრულწლოვან მსხვერპლს კომპენსაციის მოთხოვნა?

- *ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 წლის განმავლობაში.*[598]

---

[592] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 ნოემბრის დადგენილება №523 ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 4.1.

[593] იქვე, მუხლი 3 (ბ).

[594] იქვე, მუხლი 4.2.

[595] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 46.1 (კ).

[596] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 ნოემბრის დადგენილება №523, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 4.3.

[597] იქვე, მუხლი 4.2.

[598] იქვე. ასევე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის

რამდენჯერ შეიძლება კომპენსაციის მოთხოვნა?

- *ერთი და იმავე პირის მიერ, სისხლის სამართლის ერთი კონკრეტული საქმის ფარგლებში, კომპენსაციის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ ერთხელ.*[599]

არსებობს ლიმიტი სახელმწიფო კომპენსაციის თანხასთან დაკავშირებით?

- *დიახ, კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მაგრამ არაუმეტეს 10 000 (ათი ათასი) ლარით.*[600]

როგორ ნაწილდება კომპენსაციის თანხა გარდაცვლილი მსხვერპლის შვილებს შორის?

- *ერთზე მეტი შვილის შემთხვევაში, საკომპენსაციო თანხა ნაწილდება პროპორციულად.*[601]

რომელი ორგანოა უფლებამოსილი კომპენსაციის გაცემაზე?

- *სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.*[602]

როგორ ხდება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთვის მიმართვა კომპენსაციის მისაღებად?

- *განცხადების გზით.*[603]

მიხედვით, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის, როდესაც ერთი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ საჩივრდება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, ან ამოწურულია საქმის განხილვა ყველა ინსტანციის სასამართლოში.

[599] იქვე, მუხლი 4.5.

[600] იქვე, მუხლი 5.1.

[601] იქვე, მუხლი 5.3.

[602] იქვე, მუხლი 5.4.

[603] იქვე, მუხლი 6.1.

რა დოკუმენტები უნდა ახლდეს მსხვერპლის განცხადებას?

- *პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – დაბადების მოწმობის ასლი და მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;*
- *წარმომადგენლის მიმართვის შემთხვევაში – წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი) და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სათანადო წესით დამოწმებული);*
- *კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომლითაც დანაშაულის ჩამდენი პირი ვალდებულია, აანაზღაუროს დანაშაულის შედეგად მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანი;*
- *კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი ან პროკურორის/მოსამართლის შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება ამ წესით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, დანაშაულის ჩამდენი პირის და ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლის ვინაობის მითითებით;*
- *სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროდან შესაბამისი დოკუმენტი, გაცემული სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთვის მიმართვამდე არაუადრეს 10 კალენდარული დღისა.*
- *მსხვერპლის საბანკო რეკვიზიტები.*[604]

რა დოკუმენტები უნდა ახლდეს მსხვერპლის შვილის განცხადებას?

- *შვილის დაბადების მოწმობის ასლი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შვილის მიერ არასრულწლოვანების ასაკში მიმართვისას – ასევე მისი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი) და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სათანადო წესით დამოწმებული);*
- *შვილის წარმომადგენლის მიმართვის შემთხვევაში – წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი) და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სათანადო წესით დამოწმებული);*
- *მშობლის გარდაცვალების მოწმობა;*
- *კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომლითაც დასტურდება ამ წესით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, დანაშაულის ჩამდენი პირის და ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლის ვინაობის მითითებით. ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე დევნის/გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში – პროკურორის/მოსამართლის შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება ამ წესით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, დანაშაულის ჩამდენი პირისა და ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლის ვინაობის მითითებით;*
- *კომპენსაციის მოთხოვნაზე უფლებამოსილი შვილის საბანკო რეკვიზიტები.*[605]

[604] იქვე.
[605] იქვე, მუხლი 6.2.

რა შემთხვევაში არ გაიცემა კომპენსაცია?

- *თუ დარღვეულია კომპენსაციის მოთხოვნით მიმართვისთვის განსაზღვრული ვადები;*
- *თუ სისხლის სამართლის კონკრეტული საქმის ფარგლებში მიმმართველ პირზე უკვე გაცემულია კომპენსაცია;*
- *თუ წარდგენილი/მოძიებული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს კომპენსაციის გაცემისთვის დადგენილ მოთხოვნებს;*
- *არაუფლებამოსილი პირის მიერ კომპენსაციის მოთხოვნის შემთხვევაში;*
- *კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.*[606]

რა ვადაში იღებს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო გადაწყვეტილებას კომპენსაციის გაცემის/არგაცემის შესახებ?

- *განცხადებისა და ზემოაღნიშნული დოკუმენტების სრულყოფილად წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.*[607]

რა ფორმით აცნობებს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო კომპენსაციის მომთხოვნ პირს გადაწყვეტილების შესახებ?

- *წერილობითი ფორმით, გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, განცხადებაში მითითებულ მისამართზე.*[608]

შეუძლია კომპენსაციის მომთხოვნ პირს, გაასაჩივროს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს გადაწყვეტილება?

- *კომპენსაციის მოთხოვნით მიმმართველ პირს უფლება აქვს, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს გადაწყვეტილება კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გაასაჩივროს კანონმდებლობით დადგენილი წესით.*[609]

როგორი სახის ანგარიშსწორებით გაიცემა კომპენსაცია?

- *საკომპენსაციო თანხა გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით.*[610]

[606] იქვე, მუხლი 6.2.
[607] იქვე, მუხლი 6.5.
[608] იქვე, მუხლი 6.6.
[609] იქვე, მუხლი 6.7.
[610] იქვე, მუხლი 6.8.

რა ვადაში ირიცხება კომპენსაცია?

- *კომპენსაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში.*[611]

გამორიცხავს კომპენსაცია მსხვერპლის მიერ სხვა სარგებლის ან მომსახურების მიღებას?

- *კომპენსაციის მიღება არ გამორიცხავს ძალადობის მსხვერპლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი სხვა სარგებლისა და მომსახურებების მიღებას.*[612]

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- განახორციელოს ცვლილებები საკანონმდებლო აქტებში და **განსაზღვროს გონივრული, შემჭიდროებული ვადები კომპენსაციის გაცემის პროცედურისთვის,** რათა მსხვერპლმა დროულად შეძლოს მისი მიღება.

[611] იქვე, მუხლი 6.9.
[612] იქვე, მუხლი 6.10.

9. მსხვერპლის მხარდაჭერა

CEDAW-ს რეკომენდაციით, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ადმინისტრაციული რეპარაციის სქემები ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს მსხვერპლთა უფლებას, მიმართონ სასამართლოს, შეიმუშაოს ტრანსფორმაციული რეპარაციის პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს იმ დისკრიმინაციული ან არახელსაყრელი მდგომარეობის აღმოფხვრას, რომლებმაც გამოიწვია ან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დარღვევას, ინდივიდუალური, ინსტიტუციური და სტრუქტურული ასპექტების გათვალისწინებით.[613]

გამოწვევაა მსხვერპლის მხარდაჭერის სერვისებზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, ასევე მათ შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.[614] საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალები აღნიშნავენ, რომ სერვისები არ არის გრძელვადიანი და ქალების გაძლიერებაზე მორგებული, რათა მომავალში შვილებთან ერთად დამოუკიდებლად ცხოვრება შეძლონ.[615] ამ სოფლებში სახალხო დამცველის მიერ გამოკითხული ქალები განმარტავენ, რომ 2023 წელს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე ცნობიერების ამაღლების შეხვედრები მხოლოდ ერთეულ მუნიციპალიტეტში გაიმართა.[616]

ამ თავში განხილულია სერვისები, რომლებიც საქართველოში გენდერულად მოტივირებული ძალადობის მსხვერპლთათვის არსებობს.

9.1. ცხელი ხაზი

საქართველოში მოქმედი ცხელი ხაზები:
• ***სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო - 116 006*** • ***ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი - 111*** • ***საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - 112*** • ***სახალხო დამცველი - 1481*** • ***იურიდიული დახმარების სამსახური - 292 00 55***[617]

116 006 - ცხელის ხაზის მომსახურება უფასო და ანონიმურია. ის მუშაობს 24-საათიან რეჟიმში, კონსულტაციის მიღება კი შეიძლება არა მხოლოდ ქართულ, არამედ, ინგლისურ, რუსულ, აზერბაიჯანულ, თურქულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ ენებზეც.[618]

სახალხო დამცველის ცხელი ხაზი - **1481** - მუშაობს 24-საათიან რეჟიმში, არასამუშაო დღეების ჩათვლით. ცხელი ხაზის მეშვეობით ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებს შეუძლიათ, შეატყობინონ სახალხო დამცველის აპარატს ძალადობის შესახებ და მოითხოვონ ნებისმიერი საქმის გამოძიება.[619]

---

[613] General recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No. 19, 2017, 17, para 33.

[614] საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2022, 142-143, https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf [02.06.2024].

[615] ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან შეხვედრების ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2024 წელი, 16, https://ombudsman.ge/res/docs/2024071113543082740.pdf [11.07.2024].

[616] იქვე.

[617] https://sosfsokhumi.ge/central [02.06.2024].

[618] https://112.gov.ge/?page_id=7632 [02.04.2024].

[619] GREVIO's (Baseline) Evaluation Report, 2022, 42, para 193.

ხაზგასასმელია, რომ ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება ცხელ ხაზზე შემოსული ზარების მაჩვენებელი (იხ. ქვემოთ მოცემული დიაგრამა).



9.2. თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები

მავნე პრაქტიკით დაზარალებული ქალებისა და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები, მსხვერპლთა დახმარებისა და რეაბილიტაციის სერვისები.[620] ფულადი კომპენსაციის გარდა, CEDAW-ს 35-ე რეკომენდაციის თანახმად, მსხვერპლთა ეფექტიანი რეპარაცია უნდა მოიცავდეს იურიდიულ, სოციალურ და ჯანდაცვის მომსახურებებს, მათ შორის, სექსუალური, რეპროდუქციული და ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებს.[621]

თავშესაფარი

რა არის თავშესაფარი?
• *მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბაზაზე არსებული მსხვერპლთა დროებითი (სადღეღამისო) განთავსების ადგილი, რომელიც უზრუნველყოფს მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ დახმარებას/რეაბილიტაციას, იურიდიულ, სამედიცინო დახმარებას და დაცვას.*[622]

[620] გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატიური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები, 2018, 127.
[621] General recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No. 19, 2017, 17, para 33.
[622] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 11 ივლისის ბრძანება №50/ნ, მუხლი 2.1

ვის შეუძლია, ისარგებლოს თავშესაფრით?

- *თავშესაფრით სარგებლობა შეუძლიათ მსხვერპლებს[623] და მათზე დამოკიდებულ პირებს, განსაკუთრებით, ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც სახლში თავს არ გრძნობენ უსაფრთხოდ.[624]*

როგორ მომსახურებას იღებს მოსარგებლე თავშესაფარში?

- *თავშესაფარში მოსარგებლე იღებს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერის მომსახურებას, რომელიც ორგანიზებულია კვალიფიციური გუნდის მიერ. მომსახურება შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ ოთხ კომპონენტს: სოციალური მუშაობა, ფსიქოლოგიური, იურიდიული და სამედიცინო დახმარება.[625]*

რით არის უზრუნველყოფილი მოსარგებლე თავშესაფარში?

- *საკვებით, ტანსაცმლით (საჭიროების შემთხვევაში), პირადი ჰიგიენის საშუალებებით და მხარდაჭერის მომსახურებით;*
- *დღეში, მინიმუმ, სამჯერადი ჯანსაღი კვებით ან სამჯერადი კვებისთვის გათვალისწინებული პროდუქტებით;*
- *საკმარისი ოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით;*
- *საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებით;*
- *ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებით.[626]*

---

[623] **2022 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, თავშესაფრის სერვისით სარგებლობის მიზნებისთვის, ძალადობის მსხვერპლი არ გულისხმობს მსხვერპლის სტატუსის ქონის სავალდებულო მოთხოვნას, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.** „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, როდესაც მსხვერპლი არ თანამშრომლობს სამართალდამცავ/პროკურატურის ან/და სასამართლო ორგანოებთან (ე.ი. მსხვერპლის დაცვის უზრუნველსაყოფად არ მოქმედებს შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან ქალთა მიმართ ძალადობასა ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით არ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებები), თავშესაფრის მომსახურების მიმწოდებელი, თავის მიერ განსაზღვრული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, შემუშავებული სპეციალური ინსტრუმენტის საშუალებით, იღებს გადაწყვეტილებას მისთვის თავშესაფრის მომსახურების მიწოდების ან მასზე უარის თქმის შესახებ. თავშესაფრის მომსახურების მიმწოდებელი ამ გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა მსხვერპლის რეალურ საჭიროებებს, სამართალდამცავ/პროკურატურის ან/და სასამართლო ორგანოებთან თანამშრომლობაზე უარის თქმის გაუთვალისწინებლად. თავშესაფრის მომსახურების მიწოდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

[624] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 11 ივლისის ბრძანება №50/ნ, მუხლი 4.2 ა.

[625] იქვე, მუხლი 4.1.

[626] იქვე, მუხლი 4.2.

რის საფუძველზე იღებს მოსარგებლე ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებას?

- *მომსახურების ინდივიდუალური გეგმის/შემთხვევის მართვის გეგმის საფუძველზე, რომელიც შემუშავდება მოსარგებლის თავშესაფარში მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, მისი საჭიროებების გათვალისწინებით და ჩართულობით.*[627]

რა გრაფიკითაა უზრუნველყოფილი თავშესაფრის მომსახურება მოსარგებლისთვის?

- *მომსახურება თავშესაფარში უზრუნველყოფილია 24 საათის განმავლობაში.*[628]

რა სიხშირით ხდება გეგმის განახლება?

- *გეგმა განახლდება პერიოდულად, არანაკლებ 6 თვეში ერთხელ ან გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად.*[629]

რა არის აკრძალული თავშესაფარში?

- *ალკოჰოლური სასმელების მოხმარება;*
- *ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შენახვა, ტარება, გამოყენება;*
- *არეულობის მოწყობა;*
- *ნებისმიერი სახის ძალადობა.*[630]

რა ფართობია გათვალისწინებული ერთ პირზე?

- *ერთ მოსარგებლეზე გათვალისწინებულია არანაკლებ 6 მ² ფართობი.*[631]

რამდენი თავშესაფარია საქართველოში?

- *ქვეყნის მასშტაბით ძალადობის მსხვერპლთათვის მოქმედებს 5 თავშესაფარი: თბილისში, გორში, სიღნაღში, ქუთაისსა და ბათუმში.*[632]

---

[627] იქვე, მუხლი 8.2.
[628] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №50/ნ, მუხლი 1.2.
[629] იქვე.
[630] იქვე, მუხლი 9.2 (ვ.ა - ვ.დ).
[631] იქვე, 9.2 (ო.ა).
[632] ინფორმაცია ოჯახურ ძალადობაზე, https://112.gov.ge/?page_id=7632 [02.04.2024].

თავშესაფართან დაკავშირებული გამოწვევები

ნეიტრალური მიდგომა

GREVIO-ს მიერ **უარყოფითადაა შეფასებული სახელმწიფოს მიერ თავშესაფარში გენდერთან დაკავშირებით მოქმედი ნეიტრალური მიდგომა**, *რომლის მიხედვითაც, კაცები და ქალები განთავსებულნი არიან ერთ შენობაში. ქალთა მიმართ ძალადობის გენდერული ბუნების აღიარებისთვის, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მხოლოდ ქალებისთვის განკუთვნილი თავშესაფრები, ხოლო კაცებისთვის ისინი ცალკე უნდა მოეწყოს.*[633]

მკაცრი მოთხოვნები თავშესაფრის მსურველთათვის

ადგილების სიმწირის გამო, საქართველოში თავშესაფრის მაძიებლებისთვის მოქმედებს მკაცრი მოთხოვნები:

თავშესაფარში ბენეფიციარები აღარ მიიღებიან მსხვერპლის სტატუსის საფუძველზე, არამედ - თავშესაფრის მაძიებლის ინდივიდუალური მახასიათებლის გათვალისწინებით. თუმცა, მაინც მოქმედებს მკაცრი სტანდარტები, მაგალითად, მიღების შემთხვევაში, ქალს უნდა ჰყავდეს 10 წლამდე ბავშვი, ან უნდა იყოს 26 კვირის ორსული.[634]

თავშესაფარში განთავსების ხანგრძლივობა

სახელმწიფო პროგრამა

სახელმწიფო პროგრამით უზრუნველყოფილ თავშესაფარში მსხვერპლის განთავსება ხდება 3 თვემდე ვადით.[635] *განსხვავებული წესი მოქმედებს თავშესაფარში დედა-შვილის ცხოვრების შემთხვევაში. თუ ერთი შვილი 1 წლამდე ასაკისაა, ანდა ქალი ორსულია, ისინი დედათა და ბავშვთა თავშესაფარში მოთავსდებიან არაუმეტეს 12 თვის ვადით. ასევე,* ***არასრულწლოვანი დედა, რომელსაც ჰყავს 0-12 თვემდე ბავშვი ანდა 26 კვირის ორსულია, სარგებლობს თავშესაფრით*** *არაუმეტეს 8 თვის ვადით. თუმცა, არასრულწლოვან დედას/ორსულს, რეგიონული საბჭოს ან მისი თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე,* ***თავშესაფრით სარგებლობა შეუძლია იქამდე, სანამ ბავშვს არ შეუსრულდება 25 თვე.***[636]

არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამა

არასამთავრობო ორგანიზაციების თავშესაფრით სარგებლობისთვის ***არ არის დადგენილი განთავსების 3-თვიანი ვადა და ბენეფიციართა ცხოვრება შესაძლებელია უფრო ხანგრძლივი ვადით.***[637]

---

[633] GREVIO's (Baseline) Evaluation Report, 2022, 50, para 178, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [02.04.2024].

[634] ინტერვიუ თავშესაფარში დასაქმებულ პირთან.

[635] https://sosfsokhumi.ge/central [02.06.2024].

[636] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის ბრძანება №52/ნ, „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ", მუხლი 3.

[637] ინტერვიუ თავშესაფარში დასაქმებულ პირთან.

ადგილების სიმწირიდან გამომდინარე, ბენეფიციარები შეიძლება განთავსდნენ განსხვავებული სპეციალიზაციის დაწესებულებაში, მაგალითად:

> *„14 წლის აზერბაიჯანელ გოგოს მამა იძულებით აქორწინებდა. იმის გამო, რომ არასრულწლოვანთა თავშესაფარში ადგილი არ იყო, ის ძალადობის მსხვერპლთა საერთო თავშესაფარში მოათავსეს“.*[638]

ეს მაგალითი დადებითად ვერ შეფასდება, ვინაიდან საერთო თავშესაფარში არსებული გარემო და რესურსი, შესაძლოა, არ იყოს არასრულწლოვანისთვის შესაფერისი და ამან, პირიქით, უარყოფითად იმოქმედოს მასზე.

ამგვარად, ვინაიდან თავშესაფარში ადგილების რაოდენობა შეზღუდულია, ხდება სელექცია, ვინ საჭიროებს მას ყველაზე მეტად. შედეგად, თავშესაფრით უზრუნველყოფენ მხოლოდ ყველაზე გამოუვალ სიტუაციაში მყოფ პირებს. მის გარეშე კი რჩებიან ასევე კრიტიკულ ვითარებაში მყოფი სხვა ადამიანები, რომლებიც ასევე საჭიროებენ თავშესაფარს, თუმცა ვერ იღებენ ამ მომსახურებას, რადგანაც მათი მდგომარეობა, სხვებთან შედარებით, ნაკლებად კრიტიკულადაა მიჩნეული.

GREVIO სახელმწიფოს მოუწოდებს, გაზარდოს თავშესაფრების რაოდენობა ან მათი ტევადობა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა დაკმაყოფილდეს მინიმალური სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, ყოველ 10,000 სულ მოსახლეზე თავშესაფარში გათვალისწინებული უნდა იყოს ერთი ოჯახის ადგილი. ასევე, მოუწოდებს, უზრუნველყოს თავშესაფრებზე თანაბარი წვდომა სტამბოლის კონვენციით განსაზღვრული ყველა ფორმის ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის.[639]

ბენეფიციართა მომზადება თავშესაფრის დატოვების შემდეგ ცხოვრებისთვის

ხშირად, თავშესაფრის დატოვების შემდეგ ბენეფიციარებს არ გააჩნიათ საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი. აქედან გამომდინარე, **არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამის ფარგლებში მოქმედი თავშესაფრები ცდილობენ, მოსარგებლეებს შეასწავლონ სხვადასხვა დისციპლინა**, მაგალითად: კულინარია, თმის შეჭრა, ვიზაჟი და სხვა. ბენეფიციარებს ეძლევათ შესაძლებლობა, დასაქმდნენ თავშესაფარში ცხოვრების პერიოდში და დააგროვონ დანაზოგი, რითაც თავშესაფრის დატოვების შემდეგ ცხოვრებას შეძლებენ.[640]

დაფინანსების ნაკლებობა

> „სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოქმედი თავშესაფრის დაფინანსება მცირეა და, რეალურად, მხოლოდ კომუნალური გადასახადებისთვისაა საკმარისი, მაშინ, როდესაც ამ თანხით უნდა იყოს დაფარული ბენეფიციარის ყველა საჭიროება - კვება, ტანსაცმელი, სამედიცინო სერვისები და სხვა აუცილებელი ხარჯები“.[641]

არასაკმარისი სახელმწიფო დაფინანსების გამო, ვერ ხერხდება ყველა თავშესაფრის მაძიებლის დაბინავება შესაბამის დაწესებულებაში. ასევე, პრობლემურია უკვე განთავსებული ადამიანებისთვის სხვადასხვა სერვისის გაწევა. თავშესაფარში და-

[638] ინტერვიუ თავშესაფარში დასაქმებულ პირთან.
[639] იქვე.
[640] ძირითადად, მათი დასაქმება ხდება თავშესაფრის სამზარეულოში ან მაღაზიაში დამხმარედ, სასტუმროს დასუფთავების სამსახურში.
[641] ინტერვიუ თავშესაფარში დასაქმებულ პირთან.

საქმებული პირის განმარტებით, **სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების სამედიცინო მომსახურებისა და სხვა აუცილებელი ხარჯები საერთაშორისო ორგანიზაციების (დონორების) მიერ ფინანსდება.**

ეთნიკური უმცირესობა

ეთნიკური უმცირესობის წევრებიც სარგებლობენ თავშესაფრით.[642] მათთვის დამატებითი გამოწვევაა სახელმწიფო ენის - ქართულის არცოდნა. შესაბამისად, თავშესაფარი უზრუნველყოფს თარჯიმნის მომსახურებას და შემდგომ მათთვის ქართული ენის სწავლებას.[643]

ლგბტქი+ თემის წევრების თავშესაფარი

ლგბტქი+ ადამიანები დამატებითი გამოწვევების წინაშე დგანან თავშესაფართან დაკავშირებით. გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის გამო, ისინი უსახლკარობის გაზრდილი რისკის ქვეშ არიან.[644] ამის პარალელურად, ზოგადი ჰომოფობიური და ტრანსფობიური გარემო, ასევე, თავშესაფრის სხვა ბენეფიციარების მხრიდან ძალადობის რისკები ლგბტქი+ თემის, განსაკუთრებით, ტრანსგენდერი ადამიანებისთვის ართულებს თავშესაფრით სარგებლობას.[645] დროებითი საცხოვრისის სახელმწიფო სერვისების მიმართ თემის წევრების ნდობა დაბალია,[646] ვინაიდან ეს სერვისები ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფს მომუშავე პერსონალისა და ბენეფიციარებისგან დისკრიმინაციის პრევენციას და მათი სპეციფიკური საჭიროებების მიმართ მგრძნობელობას.[647] ამჟამად ლგბტქი+ თემის წევრებისთვის დროებითი საცხოვრისის სერვისი მოქმედებს არასამთავრობო ორგანიზაცია „თემიდას“ პროგრამის ფარგლებში. სერვისი განკუთვნილია ძალადობის მსხვერპლი ან სხვა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ლგბტქი+ ადამიანებისთვის და მოიცავს, მათ შორის, სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, სამედიცინო მომსახურების, იურიდიული დახმარების სერვისებს და დასაქმების თაობაზე კონსულტაციას.[648]

კრიზისული ცენტრი

რა არის კრიზისული ცენტრი?

- *კრიზისული ცენტრი არის მხარდაჭერის მომსახურებების მიმწოდებელი დაწესებულება, რომელიც მსხვერპლს ძალადობრივი გარემოსგან თავის დაღწევასა და ძალების აღდგენაში ეხმარება.*[649]

---

[642] თავშესაფარში დასაქმებული პირის თქმით, მათ ჰყავთ ირანელი, რუსი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი, კოტ-დ'ივუარელი ბენეფიციარები.
[643] ინტერვიუ თავშესაფარში დასაქმებულ პირთან.
[644] ქვიარ ასოციაცია „თემიდა“, სათანადო საცხოვრისის უფლების განხორციელების უზრუნველყოფა საქართველოში მცხოვრები ლგბტქ თემის წევრთათვის: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები, პოლიტიკის დოკუმენტი, 2023, 17 https://drive.google.com/file/d/1SxfJ_AVncSIDBBnlIKz94sG1QKCHJvLr/view [04.04.2024].
[645] იქვე, 22.
[646] იქვე, 16.
[647] იქვე, 22.
[648] ინფორმაცია „თემიდას“ დროებითი საცხოვრისის შესახებ, იხ. „თემიდას“ ვებგვერდი, https://temida.org.ge/service/droebithi-satskhovrisi/ [04.04.2024].
[649] „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18[1] მუხლის 1-ლი ნაწილი.

რას უზრუნველყოფს კრიზისული ცენტრი?

- *მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ დახმარებას/რეაბილიტაციას. კრიზისული ცენტრი, შესაძლებელია, უზრუნველყოფდეს აგრეთვე მხარდაჭერის სხვა მომსახურებების (მათ შორის, დროებითი (სადღეღამისო) საცხოვრებლით სარგებლობა) მიწოდებას, თუ ეს გათვალისწინებულია კრიზისული ცენტრის წესდებით.*[650]

რის ბაზაზე იქმნება კრიზისული ცენტრები?

- *კრიზისული ცენტრი იქმნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბაზაზე.*[651]

დამოკიდებულია კრიზისული ცენტრის მომსახურების მიწოდება მსხვერპლის მზაობაზე, ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან?

- *არა, კრიზისული ცენტრის მომსახურების მიწოდება არ არის დამოკიდებული მსხვერპლის მზადყოფნაზე, ითანამშრომლოს სამართალდამცავ/პროკურატურის ან/და სასამართლო ორგანოებთან ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა წინააღმდეგ.*[652]

შესაძლოა, მსხვერპლს ეთქვას უარი, ისარგებლოს კრიზისული ცენტრით?

- *დიახ, თუმცა უარის შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.*[653]

კრიზისული ცენტრით სარგებლობისას მსხვერპლი კარგავს სამუშაო ადგილს?

- *არა, კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის პერიოდში მსხვერპლს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნარჩუნდება სამუშაო ადგილი იმავე თანამდებობაზე.*[654]

[650] იქვე, მე-4 (ლ) მუხლი.
[651] იქვე, მე-18[1].2 მუხლი.
[652] იქვე, მე-18[1].3 მუხლი.
[653] იქვე, მე-18[1].4 მუხლი.
[654] იქვე, მე-18[1].5 მუხლი.

რა დროს შეიძლება კრიზისული ცენტრით სარგებლობა?

- *კრიზისული ცენტრებში მომსახურების მიღება შესაძლებელია ყოველდღე, 9 საათიდან 18 საათამდე, გარდა შაბათ–კვირისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა. იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი საჭიროებს დროებითი სადღეღამისო საცხოვრისით მომსახურებასაც, მისი რეფერირება ხდება ფონდის დაქვემდებარებაში არსებულ თავშესაფარში, ხოლო სავარაუდო მსხვერპლის – თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში.*[655]

რამდენი კრიზისული ცენტრი არსებობს საქართველოში?

- *ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს 7 კრიზისული ცენტრი: თბილისში, გორში, ქუთაისში, ოზურგეთში, მარნეულში, ზუგდიდსა და თელავში.*[656] *აქედან მხოლოდ თბილისის კრიზისული ცენტრი უზრუნველყოფს სადღეღამისო საცხოვრისს.*

GREVIO აღნიშნავს, რომ ქვეყანაში ყოველ 200,000 სულ მოსახლეზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ერთი კრიზისული ცენტრი.[657] საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3 694 600 ადამიანს. შესაბამისად, ქვეყანაში უნდა მოქმედებდეს 19 კრიზისული ცენტრი, თუმცა მხოლოდ 7-ია.

9.3. ფსიქოსოციალური მხარდაჭერა

მოსარგებლის ფსიქოსოციალური მდგომარეობა მისი პირადი ინფორმაციაა, რომელიც გათვალისწინებულია მომსახურების მიწოდების ფარგლებში.[658]

ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მომხმარებელია პირი, რომელსაც აღენიშნება ქრონიკული ფსიქიკური აშლილობა (შიზოფრენია, შიზოტიპური ან ბოდვითი აშლილობა, შიზოაფექტური აშლილობა, გუნება-განწყობის (აფექტური) აშლილობა, ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, გონებრივი განვითარების შეფერხება და დემენცია).[659]

ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევა დასაშვებია თავშესაფარში[660] მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც არიან: ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, ექთნები, სოციალური მუშაკები, არტთერაპევტები და ერგოთერაპევტები.[661]

[655] ინფორმაცია ოჯახურ ძალადობაზე, https://112.gov.ge/?page_id=7632 [02.04.2024].
[656] https://atipfund.moh.gov.ge/geo/static/238/krizisuli-centri [02.04.2024].
[657] GREVIO's (Baseline) Evaluation Report, 2022, 52, para 196, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [02.04.2024].
[658] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 ნოემბრის დადგენილება №523, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე", მუხლი 7.2 (თ).
[659] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 2 აპრილის ბრძანება №112/ნ, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ, მუხლი 1.2.
[660] იქვე, მუხლი 1.3.
[661] იქვე, მუხლი 1.7.

9.4. გაუპატიურების მსხვერპლთა მხარდაჭერა

საქართველოში არ არსებობს გაუპატიურების მსხვერპლთათვის ცალკე კრიზისული ცენტრები თუ თავშესაფრები. შესაბამისად, ისინი სარგებლობენ სხვა ყველა მსხვერპლისთვის განკუთვნილი ცენტრებით და თავშესაფრებით. GREVIO-მ მთავრობას მოუწოდა, გაუპატიურების ან/და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის შექმნას კრიზისული და რეფერალური ცენტრები, რომლებიც დააკმაყოფილებს მათ საჭიროებებს მოკლე, საშუალო და გრძელ ვადიან პერიოდში.[662]

9.5. ბავშვი მსხვერპლების მხარდაჭერა

სახელმწიფო არასრულწლოვანთა დაცვის ერთიანი სისტემის ფარგლებში უზრუნველყოფს დანაშაულის შედეგად დაზარალებული, ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვების ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას, მათ ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას ჯანსაღ და ღირსეულ პირობებში. რეაბილიტაციის პროგრამა შეიძლება იყოს მოკლე ან გრძელ ვადიანი.[663] ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, განისაზღვრება პროგრამის შინაარსი, ფორმა და ხანგრძლივობა.[664]

2022 წლის ანგარიშში GREVIO-მ სახელმწიფოს მოუწოდა ერთი მშობლის მიერ მეორე მშობელზე განხორციელებული ძალადობის ან სტამბოლის კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმის მოწმე/თვითმხილველ ბავშვებზე მისი ნეგატიური გავლენის სამართლებრივი აღიარებისკენ. ეს აისახა საკანონმდებლო ბაზაში, თუმცა სახელმწიფომ მეტი ძალისხმევა უნდა გასწიოს, რათა GREVIO-ს რეკომენდაციები პრაქტიკაშიც შესრულდეს.[665]

სახელმწიფო უზრუნველყოფს არასრულწლოვანთან მომუშავე ყველა პირის სპეციალიზებას[666] და ბავშვის მეორეული ან ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას.[667] ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვა ტარდება მისი კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატის თანდასწრებით. ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ამ პროცესში მონაწილეობს ფსიქოლოგიც, რომელიც აფასებს არასრულწლოვანის საჭიროებებს და ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.

9.6. მსხვერპლის მხარდაჭერა სამართალწარმოების პროცესში

საქართველოში არსებობს სამსახურები, რომლებიც უზრუნველყოფენ მსხვერპლის მხარდაჭერას სამართალწარმოების პროცესში. ამ თავში განხილულია ასეთი ორგანოები.

9.6.1. იურიდიული დახმარების სამსახური

ქალთა მიმართ ანდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი უფლებამოსილია, ***სახელმწიფოს ხარჯზე*** ისარგებლოს იურიდიული დახმარებით, „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის შესაბამისად.[668]

---

[662] GREVIO's (Baseline) Evaluation Report, 2022, 42.

[663] საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[664] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 2 აპრილის ბრძანება №112/ნ, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ, მუხლი 43.1.

[665] GREVIO's (Baseline) Evaluation Report, 2022, 54, para 207, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [02.04.2024].

[666] იქვე, მუხლი 61.4.

[667] იქვე, მუხლი 61.3.

[668] „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი (თ) ნაწილი.

ძალადობის მსხვერპლ ქალებს შეუძლიათ, მიიღონ შემდეგი სერვისები:

- *იურიდიული კონსულტაცია;*
- *დახმარება სამართლებრივი დოკუმენტების (განცხადება, სარჩელი, საჩივარი, შესაგებელი, შუამდგომლობა და სხვა) შედგენაში;*
- *წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით.*[669]

აღსანიშნავია, რომ **იურიდიული დახმარებით სარგებლობა დამოკიდებული არ არის მსხვერპლის გადახდისუნარიანობაზე.** მისი ბენეფიციარი შეიძლება იყოს ნებისმიერი მსხვერპლი, განურჩევლად ძალადობის ფორმისა და სოციალური მდგომარეობისა.[670]

9.6.2. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობა პროცესში

მართალია, საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი მსხვერპლის ინდივიდუალური შეფასება, თუმცა არსებობს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, რომელიც აფასებს ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლებს და უწევს მათ ფსიქოლოგიურ დახმარებას.[671]

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი – *პირი, რომელიც უზრუნველყოფს მოწმის/დაზარალებულის მხარდაჭერას სამართალწარმოების პროცესში.*[672]

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის ამოცანებია:

- *მოწმისა და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება;*
- *დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება;*
- *ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება;*
- *გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.*[673]

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი ფუნქციონირებს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურაში.[674] ამ კუთხით ერთი-

---

[669] საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“, მე-5 მუხლის მე-2[4] ნაწილი.

[670] 2023 წელს აღნიშნული იურიდიული დახმარებით ისარგებლა 38-მა პირმა, 2022 წელს - 33-მა, 2021 წელს - 57-მა, 2020 წელს - 47-მა და 2019 წელს - 57-მა (იურიდიული დახმარების სამსახურის 2024 წლის 28 თებერვლის LA 5 24 00006598 წერილი).

[671] თანდილაშვილი ხ. სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, 56; *ნიშანდობლივია, რომ საქართველოს პროკურატურის თანახმად, რესურსების გამო, გამოწვევაა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის პრიორიტეტულად ჩართვა შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებში.* ***2023 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ჩართული იყო 519 საქმეში*** (იხ. შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების ანალიზი, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, 2023, 41, 38, pog.gov.ge/uploads/a7acd8c5-sheuwynareblobiT-motivirebuli-danashaulebis-analizi-2023-weli-1.pdf [24.04.2024].

[672] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22[1]-ე ნაწილი.

[673] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[674] იქვე, პირველი და მე-4 ნაწილები.

ანი სისტემის არარსებობა ამ ინსტიტუტის ეფექტიანობას ამცირებს, ვინაიდან, ზოგ შემთხვევაში, გამოძიების ეტაპზე ჩართულ შსს-ს კოორდინატორს სასამართლოში საქმის წარმოების ეტაპზე ანაცვლებს პროკურატურის კოორდინატორი, რომელსაც თავიდან უწევს ძალადობის მსხვერპლთან ნდობის ჩამოყალიბებაზე მუშაობა.[675]

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობის საკითხს წყვეტს გამომძიებელი საქმის სასამართლოში გადაცემამდე, ხოლო პროკურორი უფლებამოსილია, ამის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.[676]

*სსსკ-ის 126[1]-ე მუხლით გათვალისწინებული **ოჯახში ძალადობის** ან იმავე კოდექსის მე-11[1] მუხლით გათვალისწინებული **ოჯახური დანაშაულის** სისხლის სამართლის საქმეზე **ბრალდებულის ახლო ნათესავს, რომელსაც უშუალოდ ამ დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, დაკითხვის ჩამტარებელმა პირმა უნდა შესთავაზოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლა** და, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, 3-დღიანი მოსაფიქრებელი ვადით სარგებლობა.*

თუკი პროკურორი/გამომძიებელი მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვის შესახებ, ვალდებულია, მას დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ, მიაწოდოს სისხლის სამართლის საქმის მასალები და დაზარალებულის/მოწმის საკონტაქტო მონაცემები. თავის მხრივ, **კოორდინატორი ვალდებულია, დაუკავშირდეს დაზარალებულს/მოწმეს, თუმცა, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, არ ითანამშრომლოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან და განაცხადოს უარი ამის თაობაზე.**[677]

2023 წლის მონაცემებით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მომსახურებით სარგებლობა (სსსკ-ის 50.5-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად) შესთავაზეს 336 დაზარალებულს, რომელთაგანაც 227-მა პირმა განაცხადა თანხმობა, ხოლო 109-მ - უარი. მიუხედავად იმისა, რომ უფრო მეტი დათანხმდა ამ სერვისით სარგებლობას, საყურადღებოა კიდევ ერთი სტატისტიკა: ამ 227 ადამიანიდან 112-მა ჩვენება არ მისცა.[678]

GREVIO-ს რეკომენდაციით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, მათ შორის, არასრულწლოვანი მსხვერპლებისა და მოწმეებისთვის ხელმისაწვდომი დაცვის ყველა ღონისძიების სისტემატური გამოყენება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოძიების და სასამართლო პროცესების დროს.[679]

აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა. მან არა მხოლოდ უნდა ჩართოს საქმეში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, არამედ უნდა უზრუნველყოს დამატებითი მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვა, რომლებიც დაეხმარება მსხვერპლს, თავი იგრძნოს დაცულად და მისცეს ჩვენება.

---

[675] 2024 წლის 5 აპრილს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან ჩატარდა შეხვედრა, რომელზეც მათ ხაზგასმით ისაუბრეს ზემოხსენებულ გამოწვევაზე.

[676] იქვე, 1-ლი და მე-4 ნაწილები.

[677] იქვე, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 ნაწილები.

[678] საქართველოს გენერალური პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, 12-13, https://pog.gov.ge/uploads/ca98f09c-2023-wlis-angarishi-koordinatoris-samsaxuri-3.pdf [04.06.2024].

[679] GREVIO's (Baseline) Evaluation Report, 2022, 83, para 368, ხელმისაწვდომია იხ: https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3, [24.06.2024].

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის უფლება-მოვალეობები:

- *საგამოძიებო ორგანოსთან კონსულტაციის შემდეგ მოწმესა და დაზარალებულს აწვდის საჭირო ინფორმაციას გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მიმდინარეობის შესახებ;*
- *მოწმესა და დაზარალებულს მათთვის გასაგები ენით განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, უხსნის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სამართლებრივ პროცედურებს;*
- *გამოძიებისას ესწრება მოწმისა და დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს, მათი ემოციური მხარდაჭერის მიზნით;*
- *სასამართლოში საქმის განხილვისას ესწრება მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვისა და მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესს, მათი ემოციური მხარდაჭერის მიზნით;*
- *მოწმესა და დაზარალებულს აწვდის ინფორმაციას მათთვის საჭირო იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და სხვა მომსახურების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება მათ შესაბამის ორგანოსთან/ორგანიზაციასთან დაკავშირებაში.*[680]

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- **გაზარდოს თავშესაფართა დაფინანსება** მათი რაოდენობის გასაზრდელად და სხვადასხვა სერვისით ბენეფიციართა უზრუნველსაყოფად. აშენდეს ცალ-ცალკე თავშესაფრები ქალებისა და კაცებისთვის, ასევე, გაუპატიურების მსხვერპლთათვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურას:

- **უზრუნველყონ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის აქტიური, ეფექტიანი მუშაობა**.
- **უზრუნველყონ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩატარება**.

[680] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58^2-ე მუხლი.

10. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები

ამ თავში განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები გენდერულად მოტივირებული ძალადობის შესახებ, უფრო კონკრეტულად, ამ გადაწყვეტილებათა აღსრულების საკითხები. ასევე, მოცემულია CEDAW-ს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება და მისი გავლენა ქვეყნის კანონმდებლობაზე.

10.1. ECtHR-ის გადაწყვეტილებები საქართველოს წინააღმდეგ

სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილული გენდერულად მოტივირებული ძალადობის საქმეები ეხება *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლს, როგორებიცაა: მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება), მე-3 მუხლი (არასათანადო მოპყრობის აკრძალვა), მე-4 მუხლი (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა), მე-6 მუხლი (სამართლიანი სასამართლო), მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა), მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა).* ამ საქმეებში ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა ვრცელი პრეცედენტული სამართლის სტანდარტები, რომლებიც, შესაძლოა, დაეხმაროს მოსამართლეებს ყოველდღიურ მუშაობაში გენდერული ძალადობის საქმეების განხილვისას.[681]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დაემორჩილონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმეებზე, რომლებშიც ისინი მხარეს წარმოადგენენ. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები აღსასრულებლად გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს,[682] რომელიც აღსრულების პროცესს ზედამხედველობს.[683]

10.1.1. „თხელიძის საქმეების“ ჯგუფი

მინისტრთა კომიტეტმა გააერთიანა საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი 3 გადაწყვეტილების აღსრულების საკითხები:

საჩივარი	საქმე	გადაწყვეტილების თარიღი	კლასიფიკაციის განმსაზღვრელი
33056/17	TKHELIDZE	08/10/2021	კომპლექსური პრობლემა
73975/16	A AND B	10/05/2022	
38650/18	GAIDUKEVICH	15/06/2023	

ეს საქმეები ეხება სახელმწიფოს მიერ პრევენციული ზომების არმიღებას მომჩივანთა ქალი ნათესავების დასაცავად ოჯახში ძალადობისგან, რაც მათი სიკვდილით დასრულდა. ამ გადაწყვეტილებების აღსრულება ემსახურება ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად ინტეგრირებული მიდგომის ხელშეწყობასა და გენდერული თანასწორობის გაძლიერებას საქართველოში.

[681] Gasimova K.D., Guideline on Gender-Sensitive Approach for Adjudicating Gender-Based Violence Cases, 1-2.

[682] მინისტრთა კომიტეტი - ევროპის საბჭოს წარმომადგენელი ორგანოა, რომელიც შედგება ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებისგან. ევროპის საბჭოს წესდება (მიღებულია 1949 წლის 5 მაისს, ძალაში შევიდა 1949 წლის 3 აგვისტოს), მე-13 და მე-14 მუხლები.

[683] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მიღებულია: 27.04.1999, ძალაში შევიდა: 20.05.1999), მუხლი 46.1-2.

სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა შემდეგ სისტემურ ხარვეზებზე:

- ***ზოგადი და დისკრიმინაციული პასიურობა:*** *სამართალდამცავი ორგანოების პასიური რეაგირება ოჯახში ძალადობის ბრალდებებზე ქმნიდა ხელსაყრელ გარემოს ქალთა მიმართ შემდგომი ძალადობისთვის.*
- ***ოჯახში ძალადობის ფაქტების ადეკვატური კვალიფიკაციისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შესწავლის ვალდებულების შეუსრულებლობა:*** *სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ მოახერხეს ოჯახში ძალადობის შემთხვევების სათანადო კვალიფიკაცია და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის გამოძიება. ასევე, აღინიშნა ხარვეზები მტკიცებულებების შეგროვებაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ძალადობის დონის არასაკმარისი შეფასება, მსხვერპლთა დახმარების თხოვნით მიმართვიანობის შემცირება და ეფექტიანი სისხლის სამართლის გამოძიების შეფერხება.*
- ***მსხვერპლთათვის შეთავაზებული არასაკმარისი კომპენსაცია:*** *A და B საქმეებში სასამართლომ დაადგინა, რომ მსხვერპლთათვის ანაზღაურებული კომპენსაცია იყო არასაკმარისი, რადგან არ იყო შესწავლილი შესაძლო გენდერული დისკრიმინაცია.*[684]

საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ოჯახში ძალადობისა და გენდერული დისკრიმინაციის საკითხების მოგვარებაში:

- ***რისკების შეფასების და ზედამხედველობის გაძლიერებული მექანიზმები:*** *საქართველომ გადადგა ნაბიჯები რისკის შეფასებისა და ელექტრონული ზედამხედველობის მექანიზმების განახლებისთვის, რაც მოიცავს ამ ინსტრუმენტების უფრო მეტად მსხვერპლზე მორგებას, ქულების სისტემის და კითხვების გაუმჯობესებას, ელექტრონული მეთვალყურეობის გამოყენების ზღვრის გაზრდას, ასევე, ტრენინგების ჩატარებას პოლიციის თანამშრომლებისთვის და ცნობიერების ამაღლების ინიციატივას ფართო საზოგადოებისთვის.*
- ***მსხვერპლთა მხარდაჭერის გაუმჯობესებული სერვისები:*** *საქართველოს პროკურატურამ გამოაქვეყნა ანგარიში მოწმისა და მსხვერპლის კოორდინატორების საქმიანობის შესახებ, რომელშიც გამოკვეთილია ოჯახში ძალადობის შემთხვევები.*
- ***სისხლისსამართლებრივი დევნის გაზრდილი მაჩვენებელი გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე:*** *საქართველოში გაიზარდა გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი. ეს ასახავს პროაქტიულ მიდგომას ამგვარი სამართალდარღვევების მიმართ, თუმცა ჯერ კიდევ საჭიროა სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.*
- ***ძალისხმევა დისკრიმინაციული დამოკიდებულების წინააღმდეგ საბრძოლველად:*** *საქართველომ უნდა გააგრძელოს ძალისხმევა იმ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ინფორმირებულობის ამაღლებისა და ანგარიშვალდებულების კულტურის ჩამოყალიბების მიზნით, რომლებიც ვერ ახერხებენ ადეკვატურ რეაგირებას გენდერული ძალადობის საჩივრებზე.*[685]

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ გადადგა ნაბიჯები ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირების გასაძლიერებლად, ჯერ კიდევ არსებობს გასაუმჯობესებელი სფეროები.

[684] https://hudoc.exec.coe.int/eng#{%22execidentifier%22:[%22004-58703%22]} [27.04.2023].
[685] იქვე.

ინდივიდუალური ზომები:

- გააორმაგოს ძალისხმევა ყველა საჭირო საგამოძიებო ღონისძიების სწრაფად და გულმოდგინედ გასატარებლად თხელიძისა და A და B საქმეებში, ასევე, უზრუნველყოს შესაძლო მიკერძოების მოტივის სათანადო შესწავლა.

ზოგადი ზომები:

- **რისკების შეფასების ინსტრუმენტებისა და ელექტრონული ზედამხედველობის სისტემების განახლება:** პრაქტიკაში გააძლიეროს რისკის შეფასების ინსტრუმენტები და ელექტრონული ზედამხედველობის სისტემების ეფექტიანობა, რაც მოიცავს ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდას, პოლიციელების დატრენინგებას და მსხვერპლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებას.
- **ინფორმირებულობის ამაღლება და სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გამარტივება:** გაზარდოს ცნობიერების ამაღლების ინიციატივები, გააძლიეროს მსხვერპლებთან ურთიერთობის მექანიზმები, გამოყოს საჭირო რესურსები და გაუმჯობესოს მსხვერპლისა და მოწმეების საკოორდინაციო მომსახურება.
- **სასამართლო პრაქტიკის კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობა:** მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი გენდერული ნიშნით დანაშაულებისთვის, უზრუნველყოს სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან.
- **შიდა პრაქტიკის შესახებ კონკრეტული მონაცემების მიწოდება:** მიაწოდოს კონკრეტული ინფორმაცია შიდა პრაქტიკის შესახებ, როგორიცაა სტატისტიკური მონაცემები და ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მაგალითები სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა პასუხისმგებლობის მექანიზმების გამოყენების შესახებ.[686]

10.1.2. „იდენტობა და სხვების“ ჯგუფი

მინისტრთა კომიტეტმა გააერთიანა საქმეები, რომლებიც ეხება ხელისუფლების უუნარობას, დაიცვას ლგბტქი+ აქტივისტები და იეღოვას მოწმეები კერძო პირების მხრიდან არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისგან (მე-3 და მე-14 მუხლების დარღვევა).

საჩივარი	**საქმე**	**გადაწყვეტილების თარიღი**	**კლასიფიკაციის განმსაზღვრელი**
73235/12	IDENTOBA AND OTHERS	12/08/2015	კომპლექსური პრობლემა
71156/01	97 MEMBERS OF THE GLDANI CONGREGATION OF THE JEHOVAH'S WITNESSES AND 4 OTHERS	03/08/2007	
7224/11	AGHDGOMELASHVILI AND JAPARIDZE	08/01/2021	
54217/16	MIKELADZE AND OTHERS	16/02/2022	
73204/13	WOMEN'S INITIATIVES SUPPORTING GROUP AND OTHERS	16/03/2022	

[686] https://hudoc.exec.coe.int/eng#{%22execidentifier%22:[%22004-58703%22]} [27.04.2023].

ინდივიდუალური ზომები:

- 2020 წელს, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ოთხ საქმეზე დაიხურა ინდივიდუალური ღონისძიებების ზედამხედველობა, თუმცა ეს ზომები კვლავ საჭიროა ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის საქმეზე. 2023 წლის 16 ოქტომბრის წარდგენაში ხაზგასმულია, რომ გამოძიება ყოველგვარი შედეგის გარეშე მიმდინარეობს. განმცხადებლებს ჯერ კიდევ არ აქვთ მსხვერპლის სტატუსი და არც შემდგომი შესაძლებლობა, ისარგებლონ შესაბამისი პროცედურული უფლებებით, მათ შორის, საქმის მასალებზე წვდომის უფლებით.[687]

ზოგადი ზომები:

- **ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა სიძულვილით გამოწვეული დანაშაულებისა და ლგბტქი+ ადამიანების შეკრების თავისუფლების მიმართ** - მიიღოს ყოვლისმომცველი ზომები და უზრუნველყოს გაძლიერებული დაცვა ლგბტი ღონისძიებების უსაფრთხო ჩატარებისთვის კერძო ან საჯარო, დახურულ ან ღია გარემოში, სამართალდამცავი ორგანოების უდავო ჩართულობით, რათა ეფექტიანად იყოს უზრუნველყოფილი ღონისძიების სრული უსაფრთხოება.
- **გამოძიების შესაძლებლობების გაძლიერება** - სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები გამოიძიონ ექსკლუზიურად სპეციალიზებულმა პირებმა. გაუმჯობესდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდოლოგია.
- **სამოქმედო გეგმაზე მუშაობა** - ***2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია*** ადეკვატურად არ პასუხობს ლგბტქი+ თემის საჭიროებებს. ხელისუფლებამ უნდა დააჩქაროს სამოქმედო გეგმაზე მუშაობა და ეფექტიანად ჩართოს პროცესში შესაბამისი დაინტერესებული მხარეები, რათა მიღებული იყოს სათანადო, ყოვლისმომცველი, ინკლუზიური და განგრძობითი ზომები ლგბტქი+ ადამიანებისა და რელიგიური უმცირესობების საჭიროებების შესაბამისად.[688]

10.2. გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ

X და Y საქართველოს წინააღმდეგ

2015 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე **X და Y საქართველოს წინააღმდეგ**. X და მისი შვილი Y წლების განმავლობაში განიცდიდნენ X-ის ქმრისგან (Y-ის მამისგან) ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას. მათ არაერთხელ მიმართეს პოლიციას, თუმცა სამართალდამცავი ორგანოები არ იწყებდნენ გამოძიებას. მომჩივანთა განცხადებით, ოჯახის გარეთ X-ის ქმრის მიმართ დადებითი შეფასებები გამომძიებელს განაწყობდა სუბიექტურად, ქმნიდა მიკერძოების საფრთხეს და ვლინდებოდა დისკრიმინაციული დამოკიდებულება დაზარალებულის საჩივართან დაკავშირებით.

[687] 1483rd meeting of Committee of Ministers, 5-7 December 2023, https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=0900001680ad3fbb [27.04.2023].

[688] Decision of 1483rd meeting of Committee of Ministers, 5-7 December 2023, CM/Del/Dec(2023)1483/H46-13, https://hudoc.exec.coe.int/eng#{%22execidentifier%22:[%22CM/Del/Dec(2023)1483/H46-13E%22]}, [27.04.2023].

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა დაადგინა, რომ სახელმწიფომ ჯეროვნად ვერ შეასრულა საკუთარი მოვალეობა და დაირღვა CEDAW-ს შემდეგი დებულებები: მე-2 მუხლის b, c, d, e და f ნაწილები 1-ელ და მე-5 (ა) მუხლთან ერთობლიობაში და მე-19 ზოგადი რეკომენდაცია.

CEDAW კომიტეტის რეკომენდაციები:

- *მომჩივნებს მიენიჭოთ ადეკვატური ფინანსური კომპენსაცია, რომელიც მათი უფლებების დარღვევის სიმძიმის თანაზომიერი იქნება.*
- **ზოგადი რეკომენდაციები:**
  1. *ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ადეკვატური მხარდაჭერა, მათ შორის, თავშესაფრით უზრუნველყოფა და ფსიქოლოგიური დახმარება;*
  2. *ცნობიერების ამაღლების კამპანიების გაძლიერება, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარება;*
  3. *ევროპის საბჭოს „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) რატიფიცირება;*
  4. *მოსამართლეებისთვის, ადვოკატებისა და სამართალდამცავი ორგანოებისთვის, მათ შორის, პროკურორებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე სავალდებულო ტრენინგების ჩატარება.*[689]

რეკომენდაციების შესრულება

- 2016 წლამდე ეროვნულ კანონმდებლობაში არ არსებობდა გაეროს კომიტეტების გადაწყვეტილებათა აღსრულების სამართლებრივი მექანიზმი.[690] სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებში შევიდა ცვლილებები და დაემატა ახალი დებულებები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების თანახმად:

თუ არსებობს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის განჩინება, რომლითაც დადგინდა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება, პირს შეუძლია, ახლად გამოვლენილ/ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, მიმართოს ეროვნულ სასამართლოებს განაჩენის/გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით: 1 წლის განმავლობაში - სისხლის სამართლის საქმეებზე, ხოლო 6 თვის განმავლობაში - სამოქალაქო საქმეებზე.[691]

---

[689] CEDAW კომიტეტის 2015 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე X and Y v. Georgia, CEDAW/C/61/D/24/2009.

[690] საქართველოს მთავრობის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, 23.

[691] იქვე, 23-24. ასევე, იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 310; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 423.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა ახალი VII[14] თავი.[692] ამავე კოდექსის 21[57]-ე მუხლით განისაზღვრა სასამართლოსთვის ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელით მიმართვის წესი:

1. ქონებრივი ზიანის ან/და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნით ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს იმ პირს, რომლის მიმართაც არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომში - კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგინდა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა.

2. პირი ან მისი წარმომადგენელი ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს წარუდგენს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის ვადაში.

3. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს უნდა ერთოდეს:

ა) პირის მიმართ კონვენციის დარღვევის ან/და სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გადახდის თაობაზე კომიტეტის გადაწყვეტილების ასლი;

ბ) პირის წარმომადგენლის მიერ სარჩელის წარდგენისას – წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.[693]

- საჩივრის ავტორებმა 2016 წლის 12 აგვისტოს, კომპენსაციის მიღების მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიმართეს. თითოეულისთვის განისაზღვრა 20 000 ლარი.[694]
- საქართველოს პარლამენტმა განახორციელა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება, რომელიც საქართველოსთან მიმართებით ძალაში 2017 წლის 1-ლი სექტემბრიდან შევიდა.[695]
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით, 2018 წელს შეიქმნა სპეციალური დანაყოფი - ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი.[696]
- ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ტარდება ტრენინგები მოსამართლეების, ადვოკატებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის.[697]

---

[692] იქვე.

[693] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 21[57].

[694] 2018 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, 5.

[695] იქვე, 9.

[696] იქვე, 12. აღსანიშნავია, რომ *ეს დანაყოფი მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის, მათ შორის, ქალთა მიმართ გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებით საპოლიციო დანაყოფებში მიმდინარე სამართალწარმოების მონიტორინგს* (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 12 მარტის წერილი MIA 0 24 00745517).

[697] 2018 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, 19.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- **გააძლიეროს ძალისხმევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე მინისტრთა კომიტეტის მიერ განსაზღვრული ზოგადი და ინდივიდუალური ზომების აღსასრულებლად.**

საერთო სასამართლოებს:

- **უზრუნველყოს სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან.**

11. გენდერულად მოტივირებული ძალადობის გაშუქება

ინფორმაცია, ცნობიერების ამაღლება და მედიის როლი ძირითადი ასპექტებია[698] გენდერულად მოტივირებული ძალადობის პრობლემის გადასაჭრელად. მედიის გარდა, ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემებს ავრცელებენ სახელმწიფო ორგანოები, არასამთავრობო და ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები. ამ თავში განხილულია გენდერულად მოტივირებულ ძალადობასთან დაკავშირებით საზოგადოებასთან ურთიერთობისა და გაშუქების სტანდარტები.

11.1. საგამოძიებო ორგანოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სტანდარტები გენდერულად მოტივირებული ძალადობის შემთხვევებზე

საქართველოში სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას აწარმოებენ: *იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პროკურატურა*.[699] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საგამოძიებო ორგანომ, გამოძიების ინტერესიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს, რომ ინფორმაცია საჯაროდ არ გავრცელდეს,[700] თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ საზოგადოებას ის საერთოდ არ მიეწოდოს. მეტიც, არსებობს სპეციალური უწყებები, რომლებიც ხალხის ინფორმირებას უზრუნველყოფენ.

> *„პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ გახდეს საჯარო. ამ მიზნით, ის უფლებამოსილია, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაავალდებულოს, მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები, და გააფრთხილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“.*[701]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი ურთიერთობს საზოგადოებრივი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ამზადებს და ავრცელებს მედიის წარმომადგენლებისთვის პრესრელიზებს, საინფორმაციო და ვიზუალურ მასალებს.[702] **პროკურატურაში** კი საინფორმაციო არხებით ინფორმაციის გავრცელება, სოციალური ქსელების გამოყენება და ამ ქსელების მეშვეობით შემოსულ კითხვებზე რეაგირება **საქართველოს გენერალური პროკურატურის საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის** ამოცანაა.[703] აღსანიშნავია, რომ ამ სამსახურების არცერთი დებულება, რომლებიც ადგენს საგამოძიებო ორგანოს მხრიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის სტანდარტებს, მათ შორის, გენდერულად მოტივირებულ ძალადობასთან დაკავშირებით, საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

---

[698] Wolf B., gender-based violence and the challenge of visual representation, 2013,195.

[699] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 34.1. ამ საგამოძიებო ორგანოების ტერიტორიული და საგამოძიებო ქვემდებარეობა განისაზღვრება საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს N3 ბრძანებით.

[700] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, 334.

[701] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 104.1.

[702] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 2 აპრილის ბრძანება №48, მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტი.

[703] საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №010, მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტი.

11.2. საგამოძიებო ორგანოების მხრიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკა გენდერულად მოტივირებული ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით

საგამოძიებო ორგანოების განცხადებები დეტალურად არ მიმოიხილავს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მათი **სტილი ერთგვაროვანია და მოიცავს**:

- *ორგანოს დასახელებას, რომელიც ასრულებს საგამოძიებო მოქმედებებს;*
- *ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილს, სადაც დანაშაული მოხდა.*

ხაზგასასმელია, რომ არ ასახელებენ სოფლებს და მიუთითებენ მხოლოდ მუნიციპალიტეტს.

- *ფიზიკური პირების ხსენების შემთხვევაში, გამოყენებულია ინიციალები და დაბადების წელი;*
- *ყურადღება გამახვილებულია მუხლებზე, რომლებითაც მიმდინარეობს გამოძიება, და ამ მუხლებით გათვალისწინებულ სანქციაზე.*[704]

11.3. გენდერულად მოტივირებული ძალადობის მედიაში გაშუქების სტანდარტები

საზოგადოებამ მედიას არსებითი როლი დააკისრა გენდერულად მოტივირებული ძალადობის პრობლემის გადაწყვეტაში.[705] სტამბოლის კონვენციის მე-17 მუხლის დებულება ეხება მედიისა და კერძო სექტორის ჩართვას გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრასა და ურთიერთპატივისცემის ხელშეწყობაში,[706] რაც საერთაშორისო დონეზე ადასტურებს მედიის მნიშვნელობას გენდერულად მოტივირებული ძალადობის აღკვეთაში.

საქართველოში მოქმედი „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის თანახმად, აკრძალულია ისეთი პროგრამის ან რეკლამის გავრცელება, რომლებშიც წაქეზებულია პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ გენდერისა და გენდერული მიკუთვნების ნიშნით ძალადობა ან სიძულვილი.[707]

ამასთანავე, საქართველოში არსებობს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი გაერთიანება - **საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია** (შემდგომში ქარტია), რომლის მისიაა, პროფესიული და ეთიკური სტანდარტის დაცვისა და თვითრეგულირების მექანიზმების შექმნის გზით, მედიის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლება.

ქარტიის მე-7 პრინციპი ავალდებულებს ჟურნალისტს, ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე. შესაბამისად, ჟურნალისტმა ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად, რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.[708]

---

[704] ანალიზი გაკეთდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურის ვებგვერდებზე 2022-2024 წლებში გამოქვეყნებული განცხადებების საფუძველზე.

[705] Martín-Llaguno M., Limiting Market-Driven Freedom of Expression by Regulating Sexist Advertising in Spain An Evaluation of and Some Shadows from the First Decade, blurring the lines, 177.

[706] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 2011, მე-17 მუხლი.

[707] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, 55^2-ე მუხლი.

[708] საქართველოს ჟურნალისტური ქარტია, https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula [02.04.2024].

ქარტიის მე-10 პრინციპი ავალდებულებს ჟურნალისტს, პატივი სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ დაარღვიოს მისი ფარგლები, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.[709]

2022 წელს, ქარტიასთან თანამშრომლობით, გამოიცა **მედია სახელმძღვანელო, რომელიც ადგენს მითითებებს და თვითრეგულირების სტანდარტებს გენდერის, გენდერული ნიშნით ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას**:[710]

- ინფორმაცია ქალთა მიმართ და გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებზე უნდა იყოს ზუსტი;[711]
- ახალი ამბის გაშუქებისას გათვალისწინებული უნდა იყოს გენდერული ასპექტი, მისი არსებობის შემთხვევაში;[712]
- დაცული უნდა იყოს ძალადობაგამოვლილი პირების ანონიმურობა[713] (არ უნდა გამჟღავნდეს ისეთი ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელი იქნება მათი იდენტიფიკაცია);[714]
- ყურადღება არ უნდა გამახვილდეს ქალის ფიზიკურ გარეგნობასა ან ჩაცმულობაზე, თუნდაც ნეიტრალური კონტექსტით;[715]
- ფემიციდის შემთხვევების გაშუქებისას არ შეიძლება ასეთი დანაშაულების რაიმე ფორმით გამართლება ან/და დაცვა;[716]
- შინაარსი არ უნდა შეიცავდეს, თუ როგორ „გამოიწვია“ კონკრეტულმა ქცევამ ან მოვლენამ ძალადობა;[717]
- ცალკეული შემთხვევების მიღმა აუცილებელია უფრო ფართო კონტექსტის განხილვა და გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ სტატისტიკის მოყვანა;[718]
- სტატისტიკა უნდა იყოს ზუსტი და შინაარსის შესაბამისი (ასევე, აღიარებული უნდა იყოს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ბევრი შემთხვევის შესახებ პოლიციას არ ეცნობება);[719]
- მოძალადეებთან მათი სავარაუდო დანაშაულის მოტივის განხილვამ, შესაძლოა, უნებლიედ გამოიწვიოს მისი გამართლება ან შთაგონების წყარო გახდეს სხვებისთვის მსგავსი ქმედებების ჩასადენად. ამიტომ, გაშუქებისას მედიამ უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე.[720]

[709] იქვე.
[710] სახელმძღვანელო მითითებები და თვითრეგულირების სტანდარტები გენდერის, გენდერული ნიშნით ძალადობისა და ლგბტქი საკითხებზე სენსიტიური და ეთიკური გაშუქების შესახებ, მედიის სახელმძღვანელო, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2022, იხ. https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/94262 [02.04.2024].
[711] იქვე, 9.
[712] იქვე, 7.
[713] იქვე.
[714] იქვე.
[715] იქვე.
[716] იქვე.
[717] იქვე, 9.
[718] იქვე, 8-9.
[719] იქვე, 9.
[720] იქვე, 10.

11.4. გენდერულად მოტივირებული ძალადობის მედიაში გაშუქების პრაქტიკა

მიუხედავად საქართველოში საკანონმდებლო რეგულაციებისა, GREVIO მიუთითებს მედიაში გენდერული სტერეოტიპების არსებობაზე და აღნიშნავს, რომ მედიის მხრიდან ხდება ხაზგასმა მსხვერპლის ქცევაზე და არა მოძალადის მიერ ჩადენილ ქმედებებზე, ასევე, სიუჟეტები გადმოცემულია არასაკმარისი მგრძნობელობით, რაც ხშირად იწვევს მეორეულ ვიქტიმიზაციას და ძალადობის ტრივიალიზაციას.[721]

ქარტიის მმართველი ორგანოა 9 წევრით დაკომპლექტებული საბჭო, რომელიც განიხილავს ჟურნალისტების წინააღმდეგ შესულ განცხადებებს და ადგენს, დაირღვა თუ არა ქარტიის პრინციპები.[722] ამ განცხადებების განხილვისას საბჭომ დაადგინა ჟურნალისტების მხრიდან შემდეგი დარღვევები:

> *„27 წლის მარტოხელა დედა ალბათ ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ მისი შვილის მამა ასე სასტიკად გაიმეტებდა. მუდმივი მუქარის და შანტაჟის მიუხედავად, მან პოლიციას არც ერთხელ არ მიმართა. როგორც ჩანს, მაინც სჯეროდა, რომ ყოფილი ქმარი არაფერს დაუშავებდა".* **საბჭომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტის ეს განცხადება იწვევდა ძალადობის რომანტიზებას და დაადგინა მე-7 პრინციპის დარღვევა.**[723]

> ქუჩაში გამოკითხვისას ჟურნალისტმა დასვა კითხვები: *„ცოლი ქმრის საკუთრებაა? ქალი რომ თხოვდება, ვინაა მისი პატრონი? ოჯახის თავი ვინ არის? წამორტყმა უნდა აიტანოს ცოლმა ქმრისგან? რა შემთხვევაშია ცოლის ცემა გამართლებული? თქვენ რომ ცოლმა გიღალატოთ, როგორ მოიქცევით? თქვენმა მეუღლემ პატრული რომ გამოიძახოს კონფლიქტის დროს, რას იზამთ?"* **საბჭოს აზრით, ჟურნალისტმა ამ კითხვების დასმით გააძლიერა სტიგმა და ხელი შეუწყო დისკრიმინაციას, შესაბამისად, დაადგინა მე-7 პრინციპის დარღვევა.**[724]

> ჟურნალისტს გადაცემაში სტუმრად ჰყავდა ბრალდებულის დედა. საუბრის დასაწყისში წამყვანმა აღნიშნა: *„დღეს ჩვენ ამ ამბავს მედალიონის მეორე მხრიდან შევხედავთ", „ძალიან ძნელია, მაყურებელს მოუყვე, თუ როგორ გადაწყვიტა შვილმა თავისი ყოფილი ცოლის მოკვლა".*
>
> გარდა ამისა, ბრალდებულის დედა საუბრობდა, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალს სხვა მამაკაცთან ჰქონდა სასიყვარულო ურთიერთობა. ამით ის ცდილობდა, აეხსნა, რამ გამოიწვია მისი შვილის აგრესია, რასაც, შედეგად, ქალის დაჭრა მოჰყვა. **საბჭოს აზრით, ამ გადაცემამ გააძლიერა საზოგადოებაში ფემიციდის სტიგმა, შესაბამისად, დაადგინა ქარტიის მე-7 და მე-10 პრინციპების დარღვევა.**[725]

---

[721] GREVIO's (Baseline) Evaluation Report, 2022, 39, para 132, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [02.04.2024].

[722] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, https://www.qartia.ge/qartia [02.04.2024].

[723] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 2022 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება N566, https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/92371-gadatsyvetileba-saqmeze-femina-rusthavi-2-is-araidentificirebuli-zhurnalistis-tsinaaghmdeg [25.04.2024].

[724] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 2023 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება N671, https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/95654-gadatsyvetileba-saqmeze-qalebi-saerthomomavlisathvis-wecf-saqarthvelo-mariam-gafrindashvilis-tsinaaghmdeg [25.04.2024].

[725] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 2020 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება N365, https://www.qartia.ge/en/component/content/article/6013/84938-kavshiri-qsafariq-grigol-chiqovani-nino-chiqovani-nanuka-zhorzholianis-tsinaaghmdeg [25.04.2024].

სატელევიზიო სიუჟეტში ახალგაზრდა გოგოს მკვლელობაში ბრალდებული მამაკაცის ადვოკატი ამბობს: *„საქმეში ფიგურირებს შავი BMW-ს მძღოლი. გარდაცვლილსა და შავი BMW-ს მძღოლს შორის, როგორც ირკვევა საქმიდან, იყო ინტიმური ურთიერთობა. ხალათით ვისთან იყო, ეს არის გამოძიების დასადგენი და გასარკვევი“.* **ძალადობის ფორმებზე ყურადღების გამახვილებისას არ შეიძლება იმის კვლევა, რა დააშავა ქალმა და რატომ მოკლეს ის. ადვოკატი, ამ განცხადებით მკვლელობის გამართლებას ცდილობდა. ვერცერთი მიზეზი ვერ გაამართლებს მკვლელობას, ამგვარად, საბჭომ დაადგინა მე-7 და მე-10 პრინციპების დარღვევა.**[726]

რეკომენდაციები

ჟურნალისტებსა და მედიის სხვა წარმომადგენლებს:

- **გაავრცელონ ზუსტი ინფორმაცია** ქალთა მიმართ და გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებზე.
- ახალი ამბების გაშუქებისას **გაითვალისწინონ გენდერული ასპექტი.**
- **უზრუნველყონ ძალადობაგამოვლილი პირების ანონიმურობის დაცვა** (არ გაამჟღავნონ ისეთი ინფორმაცია, რომლითაც შეიძლება მათი იდენტიფიკაცია).
- **ყურადღება არ გაამახვილონ ქალის გარეგნობასა** ან ჩაცმულობაზე, თუნდაც ნეიტრალურ კონტექსტში.
- **ფემიციდის შემთხვევების გაშუქებისას არ დაუშვან ასეთი დანაშაულების რაიმე ფორმით გამართლება ან/და დაცვა.**
- **სიუჟეტში არ უნდა იყოს მითითება, თუ როგორ „გამოიწვია“ კონკრეტულმა ქცევამ ან მოვლენამ ძალადობა.**
- **უზრუნველყონ ცალკეული შემთხვევების მიღმა უფრო ფართო კონტექსტის განხილვა და გაშუქებისას გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ სტატისტიკის მოყვანა (**სტატისტიკა უნდა იყოს ზუსტი და შინაარსის შესაბამისი, ასევე, აღიარებული უნდა იყოს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ბევრი შემთხვევა პოლიციას არ ეცნობება).

[726] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 2018 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება N205, https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/56608-gadatsyvetileba-saqmeze-phr-i-qimedosqaraidentificirebuli-zhurnalistis-tsinaaghmdeg [25.04.2024].